ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

1860

მარტი.

წელიწადი მეოთხე.

## როდება თხზულებათა:

I. — წიგნი მიწერილი რედაქტორისა-
გან თეიმურაზ ვაკელთან. . რედაქტორისა.
II. — მამი ფარვანიანი. . . . მეფის თეიმურაზისა.
III. — შენიშნვა მამი ფარვანიანის შესახები. ი. კერესელიძისა.
IV. — სოფლელნი და მდინარე. . . თ. გრ. ორბელიანისა.
V. — ღარიბი ყმაწვილკაცის რომანი. ზაქარ ქართლელისა.
VI. — ლექსები ახლანდელის მწერლებისა.
VII. — გვაროვნობა და ტალანტი. . იოსებ მამაცაშვილისა.
VIII. — მოძღვრება. . . . . გაბრიელ ეპისკოპოზისა.
IX. — ფოეირდის ხმარება ყურმნის
სნეულებათვის. . . . იოსებ მამაცაშვილისა.
X. — სხვა და სხვა ამბავი. (ნახე მეორე გვერდზედ).

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## რედაკტორისაგან ყუვალს ი.ამყურაზ ვაჭელის.

---

მოწყალეო ჴელმწიფევ!

თქუენმა შემწეობამ და თქუენგან ჴელის გამართვამ რედაქციის ისეთი საქმე დამართა, რომ სწორეთ გაუძნელდა საქმე. მოლოდინი რომ არა ჰქონია, რომ «ცისკარს» მრავალნი მოითხოვდნენ, — მხოლოდ ორასს წიგნსა ჰბეჭდავდა და რა, რომ თქუენ, თქუენის ღუთისაგან კურთხეულის იმერეთიდამ ბაქარ ქართლელის წიგნი დაგვაბეჭდინეთ, იმდენს წიგნსა გვთხოვენ, რომ ჩუენდა სამწუხაროდ, — ან უარი უნდა მოვახსენოთ ახალს ჴელის მომწერლებსა; ან რაც აქამდისინ არის დაბეჭდილი, ჴელ-ახლად უნდა დავბეჭდოთ. უარის თქმა დიდად გვიჭირს, რადგან ვჰგრძნობთ, ჩუენი ვალია, რომ წიგნი ყოველს კაცს მიუვიდეს, ვინცა ისურვებს; — ჴელ-ახლად დაბეჭდვას შრომაცა და ხარჯიც ახალი მოუნდება. ყოვლის გულს მოდგინებითვი ვეცდებით რომ ამ გაჭირვებისაგან გამოვიდეთ როგორმე; მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გაჭირვება არის სასიქადულო ჩუენთვსა. ჰსჩანს, რომ დიდისნითგან მიძინებული ქართული მწიგნობრობა იღვიძებს და

შესაბამად ამერ-იმერნი მამულის ერთგულო-
ბისა და მამაპაპათ სიტყვერების სიყუარულისა
გამოფხიზლებას აპირებს. რადგან თქუენხართ
შემძრევი მძინარესი, თქუენ მოგვაწოდეთ
მეგობრული ჴელი თქუენის ფარცხანაყანე-
ვითგან და, თქუენს მაგალითს იმერელნი და
მეგრელნიცა მრავლობითა და ყოვლად სა-
ქებარის სიჩქარით შეუდგნენ. თქუენ და
თქუენით მთელს იმერეთისა და სამეგრელოს
საზოგადოებას უნდა შემოგწიროთ მად-
ლობა ჩუენი მხურვალეს გულითა და თქუენს
მხარესა ვჰხადიდეთ ჩუენის ჴელის გამმართა-
ვად და კეთილს იმედზედ დამადგინებელად.
კეთილი საქმე საქებარ-არს კაცთაგან და შე-
საწყნარებელი ღმრთისაგან. მადლობასა ამას
გულის სიწრფელით მოვახსენებთ აგრეთვე კნ.
ზაქარია ერისთავს და უფ. დ. ბაქრაძეს ამ საზოგა-
დოდ კეთილს საქმეში დახმარებისათჳს. ვაჲ
ჩუენი ბრალი, პატივცემულო თეიმურაზ, რომ
ზოგიერთს აქაურს მხარეზედ არა გვეთქმისრა,
საიდამაც სხუა და სხუა საისტორიო მიზეზებით
უფრო უნდა გვქონოდა იმედი, მაგრამ კიდე-
ვაც ვჰსასოებთ, რომ მოუცლელობაა მიზეზი
აქაურებისა და რაოდენიმე მცონარებითი დაუ-
დევნელობაცა. — იყავნ ნება უფლისა.

რედ.

# შამი ფარვანიანი.

თქმული მეფის თეიმურაზისაგან.

---

ღმერთო ყოველთა ცხადად და იდუმალო დაუფარაო,
ვის სერაბიმნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთითა მოე-
ფარაო,
ვინ ისრაილნი განასხენ, ზღუაში დაანთქი ფარაო,
იგ შენთა ნების მყოფელთა, ყოველთა იცავ
ჰფარაო.

ვის მადლობს ღირსად ჯეროვნად, შენი რისამე
ქებისა,
ანუ მიწდომა მცირე რამ, შენისა ჴელმწიფობისა,
ცა და უფსკრული, მთა, ბორცვ შენის შიშითა
დნებისა,
მჴეცნი, ნიანგნი, ფრინველნი, ან რაცა წყალში
შვრებისა.

დიონის ბრძენმან მოგვითხრა, ანგელოსთ გან-
წყობილობა,
იგ ცისა დას-დასი გუნდობა, შესა ანუ წინობა,
წმინდა არსობით ხმობანი, იგ გალობისა ცებილობა,
ვითარც ხილვა შენ, ვითარც ცნობა, ვითარცა მიწდო-
მილობა.
სხუათ ბრძენთა თჳთონ ისიბრძნეს, გულის
ხმითა და ცნობითა,
სოლომონს სიბრძნე შენ მიეც, შენისა მოთმინე-
ბითა,
მახიანა სული ცხოველი, მით ვერვინ მოსანდო-
მითა,
ვითარცა მან სულქმნა ცუდად მყრა, დავითისქნარითა
ხმობითა.
არისტოტელესა დაყნთქა, მისი უფსკრული ცნობანი,
ევოდენ ბრძენი ვერ მისწვდა დააკლდა შენი ცნობანი,
გალილეველნი ყანაბრძმეგენ, უწიგნო სულელობანი,
ჰყავ ვითა თევზნი უხმონი, რიტორითა ჴელოვნებანი.
ეს მიკჳრს ვითარცა მით გიცნეს, ვის და პიცა-
ლოარამან,
მათი ზღჳა სიბრძნე ცნობანი, მიკჳრს თუ მიუ-
ლორამან,
ვითარც მოისმარეს ქსწავლანი, ვითა ვირმა და ლო-
რამან,

გლას მათი სული იმათ ფუც ეშმაკმა მიუღიარემან.
სიბილა ბრძენი საბრძნით, სილაღამან გააკვირა,
იგ გადმოვარდა სამყაროით, ვით ფერისფერი ირაო,
შენი ცნობა ჭ დიდება, იმასცა დამკრაო,
ჯუპარის მოსწავებამან, კარგი რამ გაამარაო.
ბალამ ბოსორელ ბრძენი, გრძნეული, მოგვი,
მისარი,
იგი ვისა სწყევს გრძნებით, იმას წამს სიკვდილ-
ის არი,
მგზავრს ანგელოზი წინ დახვდა, კოხმალი არა
აქვს ისარი,
ჯორმა იხილა დაუდგა, ულახდა ვგს თუ ქვს არი.
ვერც იმათ ვიცნის სიბრძნით, ვერც სწავლა
მოიხმარა,
ვარსკვლავნი იკითხვისვან, ეს უნებურად წამართ,
ბაბილონითა მეფოულმად, ვინ მოგვნი მოიყვანა,
ვინც ცრუ წინათ მეტყველი ეშმაკმან წაიყვანა.
ძე არ აცნობა ფესკრულმან, შენთვის საქმერი
რანიდა,
ცოდვით დამაგობულმან, მართ ვითა იგ ფარანიდა,
თუკი წინწამალები რას ვქნევ, თუ ვინდა მოიცვს
რანიდა,
ქრისტეს მოსა გარ მითა მშრულს მე ჩითი მინა-
რანიდა.

სულ განსაცდელში დავლიე, ჩემნი ჟამნი და
დღენია,
სხუა ვისმე ჩემნი ჰაცრიუნი, არც ვისმე ამგვად
სმენია,
თვალთაგან ცრემლნი უწყალოდ, ნილოსის მსგა-
ვსად მდენია,
ცუდად, უსაქმოდ ყოფნითა, ვა გული გარდამშენია.
გასამლებელად დავსწერე, სანდისხან ესე
რამენი,
გული ამაზედ დავჭყარე, შევრი დღე დავჭყევ
ღამენ,
სრულად ფიქრთაგან ჯდომითა, გული არ მევი-
ლამენ,
ზარსი უგულმა ზრუნვიდა, ბედი დამცვრიდა ბარეთ.
რაც გამეგონა სპარსთაგან, წიგნები ლაყაფიანი,
ანბავი ანუ შაირნი, სალაღობი და წყლიანი,
ლექსი ლექსზე-ვსთქვ, ამბავნი, არც ყოლარ
დავაგვანი,
პირველად სამიჯნურონი, ვით ვარდნი და იანი.
ვარდს ვავაუბნე ვაპარტე, ბულბული მისთჳს
ქლები,
ქალს მოვაგონე ქალ-ქმნილი, ცრემლი ვადინე
ცხელები,
ბრძენთაგან შესაწყნარები, სიცრუე არ საკიცხელები,

ცეცხლმ უკუფიქრე, სულა მაშინ განათქვეებ.
შემოდგომა განვლიერების, ერთმანეთის მეჯავრე,
მე გაბრწყინებით ვგავარნე, სიცოცხლე ფრთით მოვავლე,
რაც რამ კარგი თვითვე ჰსტირე, ცეცხლის თავი
მოუყვარე,
ცეცხლს გინდა ცეცხლს სანსა, გულადურე უჯავრე.
შენი ფარვანას წინასა გინება გარდმოცემანი,
ქალწულნ ცეცხლად ლამპით, ვინცა ვინ მოიხსნას ქე-
ბანი,
არც ჩემის საქმით ნათქვამი, არც გულის მქონდა
ღებანი,
სპარსთ უთქვამს ამით-მამიდად, მათგან არ მოგო-
ნებანი.
შენი სპარსულად სახელსა, ჰქვია მათისა ენითა,
ფარვანა მისთვს მიჯნურად, უთქვამს ვარდს ცრე-
მლითა დენითა.
ყოველთა მიჯნურთა უსაწყლოეს სურვილისა სენითა,
ეგ გაუძლეისავთ ფერიათვს, მაქრად ჩ თავლად
სმენითა.
ფიქრი ქმნა იასამნიელმან, მოლექსეთ მისა ქე-
ბულმან,
კაცმან განთქმულმან სპარსეთში, არ ცუდად მოდ-
მოდებულმან,

გაფინა თჳსი სიბრძნენი, სულ უქმს ბრძენთა კრე-
ბულმან,
მისთა ლაყაფთა თარგმნითა, არცა მე დადუმებულმან.
თქმულა: პირველად ფარვანა, იგ სანთლისათჳს
ხელადო,
დასაბამითგან იგ მისთჳს, გაჭრილი მინდვრად,
ველადო,
მისთა სხივთა და მუქთაგან, უწყალოდ დასწველადო,
იგ მისთჳს ყურბან სადალად, დაფრინვით თავის
მკჳლელადო.
არცა ერთი არის მართალი, ზღაპარი ყოვლის
სხოვნები,
სარგებლად თქმულა კაცთათჳს, ეს ყოლე მოსა-
გონები,
შეექცეს ყური მიუპყრას, სევდითა დანაღონები,
იგი რიცხობაც გამოსჩნდეს, და სიბრძნე მოსაწონები.
ვინ ხართ ენების უფალი, მთარგმნელი დაღ-
რმობილის,
მოდით სიტყვსა მეტრფიალნო სმენად სიტყვსა
ტკბილისა,
ჰსცანით ღარიბთა სიტყუათა, სალიზღად მეწყობი-
ლისა,
ვით ნაკადული ღრმაშია, ჰსწორეთ მიდენილ
მილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდით მკითხველნო, რომელთა ცრემლი ჰსდისთ ნაკადულები,
იგ მოყვრისათჳს საკჳდავად, ვის შეიწირავთ სულები,
ვისაც გწჳავსთ ცეცხლი უშრეტი, გაქჳსთ გული დანაწყლულები,
ნახეთ ფარვანა დამწჳარი, მკჳდარი სულ ამოსულები.

მისგან ისწავლეთ ყოველთა, ქლობა მიჯნურობანი,
სიყჳარულისა ცეცხლშიგან, იგ მისებრ გარდამდმობანი,
იგ ვით თავი გარდაუცს, თქჳენც მიიყოლეთ ცნობანი,
თითი უკაგეთ ყოველთა, ვინც ვერ ჰქმნათ მისოდნობანი.

მას არგეთ რამე საწყალსა, დამწვარსა, დავალებულსა,
მას ტკბილი ამხანაგობა, ასესხეთ დავალებულსა,
ქლი დახურეთ თვალზედა, საკჳდავად დავალებულსა.

ცოცხალს მიუსწრათ, ისმინეთ, იგ მისი ნაუბარები,
რას ეტყჳს თჳსსა დამწველსა, ჰსცანით სიტყვანი მწარები,
საყვარლისათჳს მუქითა, ფრთენი ვარ შემომწვარები,

უცილოდ მოკუდეს დამარხვით, თან მიაცვანეთ ზარები.
სახელი ბრწყინავს, მიჯნურნი სძლევან მის გარეშემოსა,
მას ადიდებენ ვინ ეგრე, ცხოვდა და ნათლად შემოსა,
ლალისა ფერსა ღვინოსა, სმენ ემირულსა ემოსა,
ფარვანას ხედვენ მისთანა, ქალსა, მეშცდარსა მდე-ლოსა.
ფარვანა სანთელს ევლება, მექმნილა მისთვის სადალად,
მკუა და მცნება წასვლისა, მას დაუკარგავს სადალად,
მისმეცი მისდა ბაცრობად, სხუა ვის უნდოდეს სადალად,
მიჯნურსა მისის ბრალისა, გული დასწვა სადალად.
მათ გაუმარჯოს მეჯლისი, მისის საბრალოს მშვერიისა,
იგ იცვის ჩემსა ქალ ქმნილსა, ხედავთ ჭსჯუ-ბსო მშვერიისა,
სრულად ერთობით ცეცხლნი, იგი აჭკნობენ მშვერიითა,
თქუენცა მოიგონეთ მასზედა, ვინც ვისზედ შეიმშვერიითა.
მათ გაუმარჯოს სახმილი, ვინც ვინმე ვისთვის იწოდა,
სურვილმან მათთვის საკუდავად იგ მათთვის დანა იწოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხელეს სხუათა მიჯნურთა, ახლა ფარვანა იწოდა,
აწ მოსთქუამს მისთა ჭირთა და საკუდავად გა-
მოიწოდა.

(ამის შემდგომს იწყობა, ფარვანის და სანთლის ბაასი, რომელსაც დავბეჭდავთ შემდგომს ნუმერში, სადაც იქნება დასასრულიც.)

---

## რედაქციის შენიშნვა.

---

ქართლის ცხოვრებითგან ვიცით რომ, როდესაც კახეთის და ქართლის მეფეთა: თეიმურაზ მეორეს და როსტომს, მოუხდათ ძლიერი ომი თიანეთს, მაშინ როსტომისაგან დამარცხებული მეფე თეიმურაზ დაბრუნდა თავისის დამარცხებულის ჯარით კახეთში, სადაცა მიჰყვა როსტომ მეფეცა და განუმეორა ბრძოლა მაღაროს სოფლის მახლობლად. ამ უკანასკნელს ბრძოლაში თუმცა შეიპყრეს თეიმურაზ და უნდოდათ კიდეც დაჰსჯა, მაგრამ ხვარემან დედოფლის შუამავლობით, რომელიცა იყო როსტომის ბიძის შვილის_შვილი, განუტევეს იმ პირობით, რომ გასულიყო თავის სამეფოთგან და წასულიყო იმერეთს. მეტი ღონე არ იყო, ეს

პირობა უნდა აღუსრულებინა.—1648 წელს როდესაც მეფე თეიმურაზ ყოფილა რაჭაში, თავისს სამეფოთგან განდევნილი, ფიქრისა და მწუხარების შესამსუბუქებლად დაუწერია ეს «შამი ფარვანიანი».—ამასთანავე უნდა ესეცა ვსთქვათ, რომ ქართულს ენაზედ დიდი ნასწავლი და დახელოვნებული ყოფილა, მაგრამ თავისს სამეფოს გარემოებას მომაცდებულის დაწერის იმდენი დრო ველარ მიუცია. მეფის თეიმურაზის თხზულებათაგან წაგვიკითხავს სამი ლექსი, რომელთაცა შეგვიძლია უწოდოთ მოკლე პოემა: ერთი «ვარდ ბულბულიანი» მეორე ეს «შამი ფარვანიანი» და მესამე «ვაზაფხულის და შემოდგომის გაბაასება».—უფ. იოსებ მამაცაშვილი იწერება თავისს წიგნში, ვითომც დაეწეროს კიდევ «დღისა და ღამის ბასი».—თუმცა აქა-იქ მოვიკითხეთ, მაგრამ ვერ სად ვერ ვიპოვეთ;—დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ იპოვება სადმე, არ დავჰზერებთ და ვათხოვებთ დასაბეჭდავად. რომ დავბეჭდავთ, ნამდვილს წიგნს მაშინვე პატრონს დაუბრუნებთ და დაბეჭდილსაც რამდენსამე წიგნს მივართმევთ.

---

ერთის დიდის ბოდიშის მოხდა გვმართებს როგორც საზოგადოებისათვის, ისე ბრწყინვალე კნიაზს გრიგოლ ორბელიანთან: ამ წლის, წარსულის იანვრის «ცისკარში» დავბეჭდეთ ჩინებული ლექსი, «სოფლელნი და მდინარე» კრილოვისა, და ამ ლექსის გადმოღება მივაწერეთ განსვენებულს კნ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მაშინ, როდესაც ეს ლექსი გადმოღებულია კნიაზს გრიგოლ ორბელიანსგან. ამისთჳს, ჯერ პირველად ვითხოვთ კნიაზის გრიგოლისაგან სულგრძელებით მოტევებასა, რადგან ქართული ანდაზაც კარგათ მოგეხსენება «არ ცოდნა არ ცოდვაარო» შემდგომ დიდის გულის მოდგინებითა ვსთხოვთ ყოველს ქართველს, ვისაც კნ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები ეგულება არ დაგვიჭირონ და გვათხოვონ დასაბეჭდავათა. — ამ ლექსის ჴელმეორედ დაბეჭდვა და თვალის გადავლება ჩუჱნისავე თხოვნით ინება კნიაზმა, რადგანაც აქა-იქ სიტყუჱბში ცვლილებაც შენიშნა. —

რედ. კერ.

# სოფლელნი და მდინარე.

(კრილოვით.)

---

სადღაცა ერთსა სოფელსა,
პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდნენ ახლოსა,
მარამ ეს ხევი უხინოდ ყოველ წელს აღელდებოდის
და მაშინ ამა სოფელსა საშინლად გაოხრებდის:
ზოგისას ბაღსა ახდენდა
და ზოგსა სახლებს უქცევდა,
ზოგსა ცხვარს, ქათამს ჰსტაცებდა, ზოგის წის-
ქვილი მიჰქონდა.
და ესრეთ ხარკსა მალითა, ყოველწლივ სოფლითა
მოჰკრეფდა.
ბოლოს ერთს დღესა სოფლელნი
მოთმინებითგან გასულნი;
შეჰკრბენ, იყვირეს, არჩიეს
და ბოლოს ესრედ გადაჰსჭრეს:
რომ წყაროს პატრონს შეჰსჩივლონ არზა მიართონ
მდინარეს,
რომელიც მშიმედ თავდაბლად, განცხრომით ქალაქს
ჩაუდის,
მისგან კაცისა დაჩაგვრა არა სმენია არავის.—

ჩუჱნ შეწუხებას წყაროსთან რა იგი ესრედ მოი-
სმენს,
მაშინ შესტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს და-
ნაკარგსა ჩუჱნს.
ამა იმედით სოფლელნი, მწრაფლ სახიფლელად
წარვიდნენ
და რა ახლოსა მივიდნენ
ნახეს მათ, კარგი რაც ნივთი, წყაროსთან იყო
წალებულ,
სრულებით ყველა მდინარეს თჳთონ მიჰქონდა
შუაგულ!
მცირეხანს დადუმებულნი მწარედ სოფლელნი
უმზერდნენ,
მერე შეჰხედეს ერთმანერთის, და თავთავისთჳს დაბ-
რუნდნენ:
მუნ სამართალი ვით ჰპოვოს, საწყალმან ანუ
უძლურმან,
სადაც ქრთამებს იყოფენ მდივანნი ნაჩალნიკებთან.

თ. გრიგოლ ორბელიანი.

# ღარიბი ყმაწვილი კაცის რომანი.

## მეორე ნაწილი.

---

ივლისის 1.

დრო არის, რომ მოვძებნო მაფი ჩემის აქ მყოფობისა, — ამ ორის თჳს განმავლობაში ქაღალდი რომ აღარ მომიკიდნია და მიმავიწყდა, მანამდისინ ჩემს თანამდებობას უნდებოდი და ვიძიებდი, რა არის საკლდობრ ჩემი საქმე და ჩემი საზრუნველი მეთქი.

ჩემის აქ მოსვლის მეორეს დღეს ქაღალდე-ბისა და ანგარიშის წიგნების შინჯვას მივჰყევ ძე-ლი რაც ჩემს წინამოადგილეს დარჩენია, მამა ჰივარტი რომ ჰრქმევია; და საუზმის დროს წა-ველი ისევ სასახლეში; წინადღის სტუმართაგანი ბევრი აღარავინ იყო. მადამ ლაროკი ამას წინეთ დიდსანს ყოფილა პარიჟში, მანამდისინ მამამთილის სნეულება გამოიწუევდა იქიდამა, და აქ სოფლად დაამწყუდევდა. რაც რამ ანბავი იქ სასიამოვნოდ მიაჩნდა, აქ რასაკვირველია უფრო სასიამოვნოდ ექნებოდა, რადგან დიდს ქუეყანასა და დიდს საქმეებს მოაგონებდნენ. პარიჟს გარდა ეცნობა სხუა დიდი ქალაქებიც უნახავს ევროპაში და იქიდამ გამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვანია ის წიგნების კითხვას და ყოველთვის ახალი ამბვის სურვილი, რომ ბევრათ გარდაემატება პარიჟულს მეცნიერებასაც და გამომძიებლობასაც. მრავალი გაზეთები და ჟურნალები მოსდის აქა და თვალყურს ამით ადევნებს შორიდამ, რამდენიც შეიძლება, ევროპიულს განათლებასა, რომელსაც მსწრაფლ-წარმავალ ყვავილათ და ხილათ გამო-აქვს თეატრები, ჴელოვნებები და ახალ-ახალი წიგნები. საუზმეზედ რომ ვისხედით, ერთს ახალს ოპერაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და მადამ ლაროკმა უფალს ბევალანს რაღაცა ჰკითხა ამ ოპერისა, რომ იმან პასუხი ვერ მოუწერსა; თუმცა, იმას რომ გაუგონს კაცმა, ფესითაცა და თვალითაც სულ იტალიელების ბულვარზედ არის და ოპერის ამბავი როგორ არ უნდა სცოდნიყო. ჩემკენ მოიქცა მაშინ მადამ ლაროკი, მაგრამ იმედიკი არა ჰქონდა რომ მე ამ საქმეების გამეგებიყო რამე. მართლად და საუბედუროდ, თუ ვიცი რამე, ისევ თეატრისა ვიცი, რაც ვიცი, მე იტალიაში ვნახე და მოვისმინე ის ოპერა, პარიჟში რომ წარმო-დგინათ ახლა და ამბავს რომ მადამ ლაროკი კით-ხულობდა. რაც უნდა სიფრთხილით მელაპარაკნა, რაკი შემატყო, რომ ეს საქმე მესმოდა, აღარ შეიძლებოდა, რომ უფრო და უფრო გამოკითხვა-

ში არ შემოსულიყო; პატარასანს უკან მეც მა-
ღირსა და თვით მიანბო რაცკი ახსოვდა თავისს
მოგზაურობაში, რაც მოსწონდა, და რასაცა ჰგრძნო-
ბდა თეატრისა და უმეტესადრე ოპერის მოსასმე-
ნსა. ერთის სიტყვით, ამხანაგურად შემოვირბინეთ
ახლა, სადაცკი ჩინებული თეატრი გვეგულებოდა
ევროპაში, ან საჴელოვნო სასახლეებში და მანამდი-
სინ საუზმე გათავდებოდა, ისე გაერთო ჩემთან
საუბარსა, რომ როდესაც ავდექით, აღარ მომ-
ცილდა და მე მომკიდა ჴელი, რასაკვირველია
აღარ უფიქრნია, რიგი იქნებოდა თუ არა ჴელის
მოკიდება მოჯამაგირესი. შევედით ახლა ზალაში,
დავსხედით და იქ განვაგრძეთ ჩვენი დათანხმებუ-
ლი საუბარი. ამასობაში ის თავისი მაღალმფარ-
ველობითი ყურადღება სულ აღარ გაჰხსენებია,
გულში რომ ცივათ მეტაკებოდა ხოლმე, როდე-
საც ლაპარაკს დამიწყებდა.

ბოლოს გამომიტყდა, საშინლათ მიყვარს თეა-
ტრიო, გულითა მსურს რომ ერთი კომედიის
წარმოდგენა მოვასწრო როგორმე ამ სასახლეშიო
და ჩემი აზრი მკითხა, მე როგორ ვჰგონებ, რომ
მოხერხდებოდეს. მაშინ დაწვრილებით უანბე, რაც
რამ საშინაო თეატრისა მენახა და მახსოვდა პარიჟში
თუ პეტერბურღში. მერე, მეტი არ მომივიდეს და

არ შევაწუხო შენი, წამოვდგე და თავი დაუკარ, შუშას უნდა დავჰკვდე შენი სასახლეს გარეთ რომ მეგონა რვაოდე ვერსზედ. ელდა ეცა მადამ ლაროკს: ყურება დაიწყო, თავისს ბალიშებში შეიხვია, ჴელები თავისს ზურგზედ გაუწყო და მერე მიიხრა თითქმის ჩუმათ:«—როგორ შუ-შას დაჰსვდით? ნეტა რას ლაპარაკობთ.»—მე რომ არ მოვიშალე,—ღმერთო ძლიერო! მიიხრა სწო-რეთ შეწუხებულმა: მერე როგორი გზებია იცით? გაზაფხულამდინ მაინც მოიცადეთ.

—არა, მადამ,—უთხარ მე ლიმილით, ერთს წამსაც ვერ მოვიცდი: თუ გამგებელი ვარ ეს არის, თუ არა და არა ვჰყოფილვარ.

წამოდგა ალენი და მოახსენა:

—მადამ! შეიძლება, თუ ინებებთ, მაშა ჭივარ-ცის ბერლენგოცი (*) შევუბმევინოთ უფალს ოდიოს. გადაფარებული არ არის, მაგრამ მაგარი კია.

თითქო მეხი ჰსტყორცაო, ისე შეჰხედა მადამ ლაროკმა საბრალო ალენს, როგორც თუ ჩემისთანა გამგებელს გაუბედა, დიდი მთავრინა ელენეს შინა-

—(*) ბერლენგოცი—ტელეგა, პავოსკა, პერე-კლადნაია, ურემი, ერთის სიტყვით სასოფლო სა-ცარებელი, მაგრამ ჩუენებური არა, იქაური.

ურის თვალში ნამყოფსა, და როგორა ჰკადრა მამა ჰილარიონის ბერლენგოლცი!

—ჩვენი კაბრიოლეტი ვერ გაივლის თუ? ჰკითხა ალუნს.

—კაბრიოლეტი, მადამ? სწორე მოგახსენოთ, ვერა მგონია; არა დაუმაკლებელი გავლითა; ასეც თუ გაიარა, მგონია სულ გაიაროს... და თუ გაიარა, რა მოგახსენო, იქნება გაიაროს, რადგან ვერ გაივლის.

მე ვჰსთქვ, ქვეითი ძალიან კარგათ გავივლი მეთქი.

—როგორ იქნება, როგორ იქნება, შეუძლებელია, მე ნებას არ მოგცემთ. მაცალეთ, მაცალეთ.. ჩვენ აქ ექვსიოდე ცხენი მაინც გვყავს, რომ ცუდულიათ არიან.... მაგრამ... იქნება თქვენ ცხენზედ ვერა... არა ჯდებოდეთ.

—უკაცრავად, მადამ, რადგან არა; მაგრამ არ გასულავს საჭირო; ქვეითათაც....

—ალუნ! ცხენი შეუკაზმეთ უფალს.. რომელი? შენა ჰსთქვ მარგერიტა!

—პროსპერინო, თითქო დაცინვით სთქვა ბეველიანმა.

—არა, არა, პროსპერინი არა,—დაიძახა მარგერიტამ.

— რატომ პროსპერინი არა! — ვჰკითხე მე.

— გადმოგაგდებთ, სარცხვილად მომიგო ყმაწვილმა ქალმა.

— ოჰო! გადმომაგდებს? იქნება მართლა? თუ უკაცრავად არ გახლდებით, ნებას მიბოძებთ, მადმუაზელ, გკითხო, თქვენცა მეზმანდებით ხოლმე.

— მე დიალ, უფალო, მაგრამ გაჭირვებით.

— მაშ, იმედი მაქვს აღარ გავიჭირდეთ, თუ ერთხელ-ორჯელ მე შევჯემ. ამას მეტი არაფერი აღარ უნდა; პროსპერინი შემიკმაზვნეთ, ალენ!

მადმუაზელ მარგერიტამ წარბები შეიჭმუსა, დაჯდა და ხელი აიქნია, თითქო თუ მარცხი მოსდა რამე ჩემი არა ბრალიაო.

— დეზები თუ დაგჭირდათ, მე მაქვს კარგი და მოგართმევთ, მითხრა ბევალიანმა, რომელსაც სწორეთ ეგონა, რომ ველარ დავბრუნდებოდი.

მადმუაზელ მარგერიტამ რომ ამაზედ საყურ-დურიანის თვალით შეჰხედა, მე ამას არა დავსდიერა და ვჰსთხოვე დეზები. არ გამოვიდა ხუთიოდ წამი, რომ გარედამ ორყულმა ზრაგიზრუყმა პროსპერინის მოსვლა შეგვატყობინა, მლივს მოიყვანეს კიბემდის და რომ გადავჰხედე, სწორეთ კარგი რამ იყო. ნახევარ-არაბი, შავი, როგორც გიშერი. ჩაველ მაშინვე ქუჩით. რამდენიმე ყმაწვილი კაცი და ბე-

ვალლან იმათი მეწინავე, თან ჩამომყვნენ, მგონია კაცთ-მოყვარების მიზეზით, და იმავ დროს სამ-ფანდარა ჩვეით გაეღო ქალებისათვის და მოსყ-ცვებული კაცებისათვის. დიდის სიამოვნებით დავსთ-მობდი, რომ ეს საქმე ასე არ გასამბარაკებულ-იყო, მაგრამ რაღა გაეწყობოდა; მესაფიქრებელი მაინც სულ არა მქონდარა; გამკვებული თუ გა-მოყვცეული ვარ, ცსყნოსნობას მაინც ვერავინ და-მიწყუნებს. ჯერ ფესზედ დგომაც არ შემეძლო, რომ საბრალობელმა მამაჩემმა უნაგირზედ დამ-რგო, დედიჩემის საწყუსრად, და მას აქეთ არაფერი მეცადინეობა არ დაუკლია, რომ თავისი ცოლი გამოვეყვანე ცსყნოსნობაში, რომელშიაც თჳთან ცოლი არა ჰყავდა. (*)

პროსპერინმა ალჳრი ისე შემაკრევინა და ზურ-გზედაც ძალი ისე გადამასმევინა, რომ არ შეძ-რეულა; მაგრამ რა რომ ფესი უზანგს ვაკარე, გასწყა მაშინვე, სამჯერ თუ ორჯერ დასახაცჯავად შეითამაშა, მარმარილოს ქუჩის ზედ გადავლო, რამდენჯერმე ყალსზედ შემდგარმა ცოცხებით თი-თქო ჰაერსა ჰსცემაო და ბოლოს დაწყნარდა როგორც

(*) იქაც კი ყოფილან ჩუწნი როსაბ ამირე-ჯიბის მაღლები.

იყო, მთრთოლარე, აღელვებული.

—ძნელი შესაძლომიათ, მითხრა მეძინიბემ.—გაცყობ, ჩემო კარგო; მაკვრვებს ვითამ თავის გუნებაში, მაგრამ ახლა მაყურე, მე როგორ დავაკვრო.—ამ დროს უზანგში ფეხი აღარ შევდგი, ისე შემოვახტი ზურგზედა და მანამდისინ პროსპერინი ჰფიქრობდა, ეს რა დამემართაო, მე უნაგირში გავიმართე და აღვირი შევიკრიფე, შემოვჰკარ ქუსლი და მივეფინენით ორნივე წაბლის ხეივანსა. თან ცამის ცემა მოგვადევნეს; ბევალ-ლანს მოჰსვლიყო ეს საქმარი ფიქრი და სხვანიც ამას აცყეხნა.

ამ შემთხვევას ჩემს ფიქრში სრულიად არაფერი მნიშვნელობა არა ჰქონდარა, მაგრამ იმავ საღამოზედ ყველას შევატყე, რომ იმათს ფიქრში ღირსება მალიან მომმაცყებიყო. ზოგი რამ სხვა ამ ნაირი თვსება ჩემის გაზდილობისა წამომესმარა კიდევა და ბოლოს ისეთი მნიშვნელობა დამიმკვდრა, რომ სასიამოვნო უნდა იყოს ჩემს მდგომარეობაში; უფრო რიდითა და თავაზით მეკიდებიან. ამასაც კი ყველანი ჰხედვენ, რომ ისეთს არასა ვჩემობ და არას ვმებ, რომ ჩემის თანამდებობის შესაფერი არ იყოს და სხვას რასმე ვანზრახვას მიეწერებოდეს. ჩემს კოშკში ისე ხშირათ

შევიკეცები ხოლმე, როგორც შემიძლია და არცსად იქ ვაკლდები, სადაც უჩემობა არ ივარგებს. ერთის სიტყვით, რაც მე აქ ადგილი მაქვს, მაგრათა ვსდგევარ და მგონია ჩემი გადაყენება მაინც ვე-რავინ მოიწადინოს.

ამ დროს თუთქმის ყოველდღე დიდი წუწუ-ლება არის ხოლმე სასახლეში და ერთხელ სადილათ რომ ვისხედით, ყური მოვჰკარ, ჩემი საკელი ახსენეს და თითქო ჩემს ანბავსა კითხულობდნენ. საიდამაც ეს ხმა მომესმა მივიხედე, ერთი სქელი კაცი უჯდა ჩვერთ მადამ ლაროკს, მასლობელის ქალაქის სუპრეფეკტი, ანუ უეზდის ნაჩალნიკი. ჩემს ვინაობას ისა კითხულობდა; მადამ ლაროკი საკვი-რველი გულმავიწყია მაინცა და ახლა სულ აღარ გახსენებია, რომ მეც იქვე ვჯდევარ და მოუყვა ჩემს ანბავს. ყოვლად შეუძლებელი იყო ჩემგან რომ იმისი ლაპარაკიდამ სიტყვა გამომპარვიყო.—

—ღვთის გულისათვის ნურასა მკითხავთ, ჩემო სუპრეფეკტო! რაღაც გონება მიუწდომელი საი-დუმლოება რამ არის აქა, თორემ... ჩვენ ამასა ვფიქრობთ, რომ მეფის შვილი უნდა იყოს ვინმე ან პრინცი... რამდენნი დაიან აგრე ქვეყანაზედა ვინ იცის... ნიჭიერებას რას იფიქრებთ, რომ იმას არა ჰქონდეს: ცხენოსანია საოცარი, ფორ-

ცეპიანოს დამკჳრელის განვითარებული, მხატვარია, რომ უკეთესი არ შეიძლება, — რა ერთი ვჭხოთქუა, რა ვიცი. ეს ჩუენში კი დარჩეს, ჩემო სუპრე-ფექტო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ადგილმამულის პატრონობისათჳს ვერა მეონია ვარეოდეს და კაცადკი საკჳრველი სასიამოვნო კაცი არის.

ეს სუპრეფექტიც ძალიან სასიამოვნო კაცი არის, თუმცა მაინც ასე ჰგონია და მაშასადამე იმის კმაყოფილებისათჳს ორივ ერთია; — და ამ სასიამოვნო კაცმა დიდის სიამოვნებით და თავისის ვრცელი უბაწყწრების ყელის ხმით უთხრა მაშინ მადამ ლაროკს, ვინ იცის, რამდენი მშუენიერი თვალები ჰსციცინებენ ამ სასახლეშიო და ჰგონია ეს გამგებელიც იმ თუალების ცრფიალი იყოსო, რადგან ცრფიალება არის კანონიერი მამა სიყჳისა და ბუნებითი გამეებული სიამოვნებათაო. მერე ხმა გამოიცუალა და ისე უთხრა:

— მაინც და მაინც, მადამ, თუ ეს საქმე თქუენთჳს საწუხრათ არის როგორმე, — ახლავე გამოვგზავნი ჟანდარმებსა და მე გამოვაკითხვნებ მაგის ამბავს. —

ამ გუარი სუპრეფექტის ერთგულება შორს განვედო მადამ ლაროკმა და დაიმადლოვა კიდეც

ჩემზედ ლაპარაკი; მაგრამ მე კი ძალიან მეწყინა, — რომ ჩემი პირადი თვისება იმდენათ აქვს და თანამდებობის აღსრულებაკი დამიწუნეს.

საქმემ მოიტანა, რომ მეორეს დღესვე ერთის ფერმის პირობა (*) უნდა განმეახლებინა. ვისაც ეს ფერმა ეჭირა, ძალიან გაძოქნილი კაცი იყო და რაკი ეს შევატყვე, მეც ისე მოვექეც, რომ სულ სტყუვასავით ვაყარე კანონები; ამითი დავანახვე, რომ კანონების მცოდნევარ და ჩემთან ეშმაკობით საქმე არ გაიგდება. რა რომ დავაბოლოვეთ, ამ ჩემმა პატიოსანმა კაცმა ერთი მასხარასავით დამრგვალებული მძიმე ქაღალდი ამოიღო უბიდამ ოქროებით გატენილი და სტოლზედ დადვა. მე სრულიად არ ვიცოდი, რამდენი უნდა ყოფილიყო, რადგან არა ჭმართებია, მაგრამ მანამდისინა ვჭმლიდი

(*) ჩუენც გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ, ფერმერობა რას ჰნიშნავს. შენ ადგილ-მამულის პატრონი ბძანდები, მე მემოვევაჭრები ესა-და-ეს ადგილი მაქირავე მეთქი და მაქირავებ რამდენისამე წლითა. შენი მეფერმე მე ვარ მამინა; შენ ჩემგან გაქვს სარგებლობა, მე შენის მიწისაგან; — ვადა რომ შემისრულდება, უნდა პირობა განვაახლოთ.

და ვსთვლიდი გამოწვლილვით მისს ანბავი და აღმო-
ჩნდა, რომ ჩვეულება თურმე ყოფილა, რომელსაც
გამგებელი ფერმერს პირობას გამოუცვლით, ამას
ქრთამად გამოართმევს.— მე ფიქრადაც არ მომ-
სვლია, რომ საკუთრად ჩემთვის გადმეცა ეს
ფული, როგორც ჩემი წინამოადგილე თურმე
ჩადიოდა. მერე რომ მადამ ლუარკის ანგარიში წა-
რუდგინე და ეს ახალი სარგებლობაც გადუწყვიტე,
სწორედ უნდა ვსთქვა, იმისმა განკვირვებამ მე
უფრო გამკრა.

— რას ჰნიშნავს ეს, შემატყობინეთ ერთი?
შეკითხა იმან.

რომ მიუგე და შევატყობინე, რასაც ჰნიშნავდა,
შეკითხა კიდევა, რა არის ეს, ჩვეულება არის,
ან დებულება რამე, თუ არა?

— დიახ, მადამ, რომელსაც პირობა გამოიცვა-
ლება, ყოველთვის ასე შემოაქვთ.—

— ჩემს აქ ყოფნაში ათჯერ მაინც გამოიცვა-
ლილა პირობა და რისთვის არის, რომ აქამდისინ
ამისი სული არა გამიგია?

— ეგ რა მოგახსენოთ!

ამაზედ მადამ ლუარკი თითქო ფიქრის ორ-
მოში ჩავარდა, ისე ჩაიმალა თავისს ბალიშებში,
მძიმედ დაფიქრებული; იქნება პატიოსანი მამა

ჭივარცის ახჲდილიც თვალწინ წამოუდგა, ვინ იცის-მერე მხრები მეწია, მე მემოშხედა, ოქროს და-ჰკიდა, კიდევ მე მემოშხედა, მარც თითქო ვერ დაეწია კიდევ თავი მძიმე ფიქრებს. ბოლოს, როგორც იყო, კრძალვით ვეძრდი აირეხა, უფრო ამოიოხრა და მიიხრა:

— კარგო უფალო, გმადლობთ!

გასამტყუნებელი რამ გამგებელი მყოლია, ფიქრია უთუოდ მადამ ლაროკმა, იმიტომ რომ რამდენიმე დღეში კიდეც გამოაცხადა ეს აზრი. ერთხელ ქალი რაღაც მოგზაურობის ანბავს უკითხავდა; იქ ერთი ადგილის ეწერა, ამ ადგილის საკვირველი ფრინველი იცის, რომ არა ფრინავსო:— სწორეთ ჩვენს გამგებელს ჰგვანებიაო ეს ფრინველიო,—სთქვა მაშინ მადამ ლაროკმა (*)

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს თანამდებობის

(*) აქ ფრანცუზულის ენის ერთი თქმაა უნდა შევაცვლებინეთ, ჩვენი იდიომ-ფრაზ, რომ არ ითარგმნება. ნ/ ვოლ პა—არა ჰფრინავსო და იგივე ნ/ვოლ-პა—არ იპარავსო. არა ჰფრინავსო, ეწერა და ამის მაგიერად არ იპარავსო, ასე მოუხმა მადამ ლაროკს და იმიტომ ჰსთქვა, ჩვენ გამგებელს ჰგვანებიაო.

მართვასა და მორთმას არათუ ღირეული, ბევრით მომეტებული ფასიც დაედვა ახლა, და რადგან თვალითა ჰხედავენ, რომ ყოველს ჩემს საქმეს ბეჯითად ვეკიდები, ჯაფას არას დროს არ ვერიდები, პირმოთნეობა არავისთანა მაქვს და ვალდებულების ასრულებაზედ გულაცრუება რა არის არ ვიცი,— ახლა ალაგის იცყევს, ადგილ-მამულის პატრონობისათვის არ ვარგაო. ამას წინეთ პარიჟში ვიყავ ორიოდ დღე ჩემის დის სანახავათ და უფ. ლობეჰენმა მხურვალეს მადლობით გამავსო, აგრე მომტივნეთ იქცევი და სიტყვა არ გამიცრუვეთ.— მხნეთ იყავი, მკლით მაქსიმე, მითხრა იმან; მხნეთ იყავი და ელენეს მზითევი ექნება. სულაც ვერაფერს გაიგებს და არცარა საწუხარი თქუენ გექნებათ. მერწმუნეთ, რომ რაცკი ამ ქუეყანაზედ სწორეთ ბედნიერების მიემსგავსება, ის გაქუეთ თქუენა, და ღუთის მადლით, ყოველთვის გექნებათ: სიმშვიდე სინიდისისა და სიმტკიცე მამაცური.—

უეჭუელია, მართალს ამბობს ბერიკაცი, რომ მშვიდობიანათა ვარ,—მაგრამ მაინც ბედნიერად ვერა ვრაცხ ჩემს თავსა. ჩემი გული, ჯერ ისე საკმაოდ მომწიფებული არ არის, რომ მხურველის შეწირვა სასიხარულოდ მიაჩნდეს;—და კიდევა მაქუს რაღაც უმაწვილური სურვილიც და უიმედობაცა.

ჩემი სიცოცხლე — ვალი არის, და ეს ვალი მმარ-
თებს უფრო სუსტისა და უფრო საყვარელის სული-
ერისა; მეკი აღარ მეკუთვნის, სულ იმისია. მე
ჩემთვის აღარაფერს არ უნდა მოველოდე. ჩემი
გული აღარ უნდა ჰმღეროდეს, ჩემი თავი აღარ უნდა
ჰფიქრობდეს, თუ არ იმისთვის, თუ არ ჩემი პატარა
ელენესათვის, რომ იმან იცოცხლოს, იმან გაიხაროს.
წელიწადები გარბიან და ირბინონ; გამოვიცვლები
როგორც იქნება; ხნიერობის ზამთარი უფროც
მომეხმარება, უფროც მხნედ მამყოფებს.

ვერ ვიტყვ, რომ ჩემი ახლანდელი მდგომა-
რეობა ისე საწყალი იყოს, როგორც მეგონა;
სულ რომ ფიქრათ არა მქონია, იმაზედ უკეთესიც
არის. — ვსაქმობ, აქა იქ დავდივარ, მარტოყოფნა
მიყვარს და ხშირათ ვარ ხოლმე სასახლიდამ მო-
ცილებული: — ბევრი სახლი იყრება იქა და ვე-
რიდები. ვინ იცის, იქნება ამისგანაც იყოს, რომ
როდესაც მივალ, მეგობრულად დამხვდებიან ხოლმე,
მეცადრე მადამ ლაროკი, სწორეთ კეთილის გუ-
ლით მიმიღებს ხოლმე: ხშირად მომიყვება, ხშირად
მომანდობს თავის გულის ჰასუხსა სიღარიბეზედ და
კაცთმოყვარებიის მოვალეობაზედ. ხან ამას იტ-
ყვს, რატომ იმ ბოშათაგანი არავარ, შვილები რომ
ზურგით დაჰყავთ, — ურემს რომ ეწევიან და სა-

დილის რომ მინდორში იმზადებენ ხოლმეო; ხან ოცუკს, რაცრომ თავი უძლურების მოსავლელათ არა მაქუს განწირულიო, როგორც იმ მოლოზნებს, საკლავად რომ დაჭრქმევიათ: დანი მოწყალებისანი; ან რაცრომ გლეხის ქალი არა ვარ, რომ ხუნისა და მკაში მივხმარებოდე ხოლმე ჩემს ძმასა თუ ქმარსაო. არას დროს კი არ დავიწყდება, რომ თავისს განსვენებულს ქმარს უსაყვედუროს ხოლმე ისეთი ასიოუბული აგებულება, რომ არც ერთხელ არ დასჭირდა მოვლა იმისი, და ვერც ერთხელ ვერ გამოიყენა თავისი საკვირველი ნიჭი ავათმყოფის მოვლისა.—ამასობაში ესეცკი იფიქრა, ჩემს კრესლას ზედამ გადმოსახურავი თუ არა მოუხერხე რა, ქარი დამკრავს საიდანმე და ცუდათ იქნება ჩემი საქმეო. მეორე დილას რომ შევედი, მობანაკებულს კრესლაში დამხუდა ეს წამებული.

მაგდენს საქმარს ვერცა რას სხუმბისას ვიცე-შჳ, ვინცავინ ამ სახლში არიან. მადემუაზელ მარი-გერიტა, ყოველთვის ფიქრით და რაღაც უცნაურის ოცნებით მოსილი, ხან-და-ხან კი ინებებს ხოლმე და დაუმღერს ფორტეპიანოზედ ზოგიერთს ჩემს სასიამოვნოს ხმას. მშვენიერი ხმა აქუს და დიდის განვითარებითაცა ხმარობს, მაგრამ ასეთის

დაუდევნელობითა და ასეთის გულის სიგრილითა, რომ, სწორედ ანგარიშით იქცევა ასე, იტყვის კაცი. — ხან და ხან თითქო გულმავიწყობით დავ-მართება ხოლმე, რომ მხურვალე და გრძნობიანი ლექსი წამოჰსცდება იმისს პირსა; მაგრამ მაშინვე შეინანიებს და დაირცხვენს, ჩემი ჩვეულება, თუ როლი (*) რათ დავივიწყეთ, მაშინვე თავისს გულის შეინვარებაში შევარდება და გახუმრდება ხოლმე.

უფალს ლაროკს ხან და ხან ჰიჯავს ვეთამაშები და ამ მიზეზით მალიან კარგათა ვარ ამ მოხუცებულთან. ზოგჯერ როგორლაც სასაცრად მე-მომაჩერდება ხოლმე; თითქო მეწლი სიზმარი რამ აგონდება, თითქო შემაძრწუნებელი მსგავსება რამე ილუმებს იმისს მამიერალის ხსენებაშიო, მთე-ლი საუკუნოება რომ ამძიმებს და ათასნაირი საქ-

---

(*) როლი აქ რას ჰნიშნავს, ჩემო თეიმურაზ; ჩვენ რომ ვიტყვით ხოლმე, — მე რომ შენი ვიყო, თუგინდ ასე ვთქვამს: მე რომ შენი როლი მქონდესო, მე რომ იმისს როლში ვიყო, — სულ ერთია. ვისაც სხვის წარმოადგენ, იმისს როლში ხარ, იმისს როლსა ჰთამაშობ, იმისს ქერქში იმყოფები.

შეებით რომ არის ავსებული. მაგრამ იქნება ამასაცკი ჰფიქრობდეს, რომ ჩვენგან წანაღები ფული მეტე მომიბრუნოს და ვერ ასერსებდეს; ვინ იცის. მადამ ობრის კი დაჩუწეული ჰყავს, წაღებულისაც გამოართმევს ხოლმე და მოღებულს ხომ რაღა თქმა უნდა. ამ საქმეში მიწლის კორსარს ისე არ ინდობს ეს დედაკაცი, როგორც ის ანგლიჩნებს არ ინდობდა თავისს დროში.

ამ მადამ ობრისა მე სრულიად არა მწამსრა, მაგრამ ხალხის პატივისცემისათჳს უნდა ვჰსცდილვიყავ, იმისი გული მოვეგო როგორმე და მოვიგე კიდეც, ხან ამითი, რომ იმისს წუწუნსა და ახლანდელს იმის ყოფაცხოვრებაზედ საჩივარს ყურს უგდებ ხოლმე, რამდენიც შეიძლება; ხან იმითი, რომ მოვაგონებინებ ხოლმე, როგორი შეძლება ჰქონია უწინა, რამდენი ვეცხლეული, რამდენი სახლის მორთულობა, რამდენი ძვირფასი სამკაული და რამდენი დუქიანი ქელითაითმანი.

უნდა ალვარო, კარგს სკოლაში ვარ და კარგათაც ვისწავლე სრული დავიწყება სიმდიდრის, რომ მქონდა და აღარა მაქვს.—რასაც მე აქ ვჰხედავ, ყოველივე მჭევრმეტყველებით ამ დავიწყების მიქადაგებს, და თუ ჯერ სრულიად ვერ დავივიწყე, აღარა ვსწუხვარ მაინც: ჯერ ეს მადამ

ობორი, უსირცხვილო მჭამელს რომა ჭკავს, ალმაშფოთიებელის გაუმაძღრობით რომ კაცს მადას უკარგავს და გადამეტებულის ქებით რომ საჭმელს აზიზღებინებს; მერე ეს ბერიკაცი, თავისს მილიონებს რომ ზედ აკვდება, როგორც იობი თავისს სანაგვესა; ახლა ეს ჩინებული, მაგრამ ალტაცებული და მაძღარი ქალი, თავისს განუზომელს სიმდიდრეში და ფუფუნებაში რომ სულ იმაზედა ჰფიქრობს, რაც აღკრძალული აქვს, სიღარიბეზედა; და ბოლოს ეს შეუდარებელი მარგერიტა, მშვენიერების დიადემი, რომ ეკლის გვირგვინივით თავს ადგია და განგებას რომ იმისი მოუბილი სიუხვით დაუცვრთავს ყოვლის საგონებელის სიკეთითა.

საოცარი ქალია! — თითქმის ყოველს დილაზედ, როდესაცკი კარგი დარია ხოლმე, ცხენით ფანჯრებს წინ გამოივლის, შაიმედ თავს დაიკრავს და დადგება ბილიკსა, მჭწლის ცისევალავნის ნანგრევებს რომ მიჰყვება. უფრო ხშირად ალუბნი მისდევს ხოლმე მოორიახლოს; ხან თავისს მერვენს გარდა სხვა არავინ ახლავს, შეჩვეული დათვით რომ თანა სდევს ხოლმე. ასე დაიარება სულ ამ არემარეში და შემოსწყვავს ქვეყნს, რომ მოწყალებით ქალი გაუმართოს ვისმე გაჭირვებულსა:

ძრცვი არის მფარველი ამისთვის სატკიროო. თითქმის ოცს გუერნზედ იმრგვლივ ქასი არსად იპოვება, რომ ამ ქალს არ ეცნობოდნენ და ლუჭითისგან მოვ-ლენილად ნუყემინისმცემლად არ მიაჩნდეთ. გლეხკაცები რომ ამისას იცყვან რასმე, მარტო მადმუაზელათ ისხენიებენ, თითქო ბატონიშვილი იყოს მართლა იმათი და ვინ იცის, იქნება ისეც ეგონოთ, რომ იმათი ზღაპრის მეფის ქალი იყოს, რადგან ამაზედ უმეტესი მშვენიერება, ძლიერება და საიდუმლოთ ელასებში საარული ზღაპრიდამაც აღარ მოაგონდებათ.

მინდაკი შევიტყო როგორმე, რა არის მიზე-ზი იმ ღრუბლისა, ყოველთვის რომ შუბლზედ აწევს ამ ქალსა, თითქო გამნელებულისა რისამე ფიქრის ბატონსაო; რა არის მიზეზი, რომ ასე-თის სიამაყით ჰმაღლობს და თვალები თითქო მოისხანებდნენო; რისგან არის სიმწარე და სიმწრა-ლე იმისი საუბრისა. ვითამ ბუნებით თვსება იყოს ეს სასიათის სისმელე და არეულ დარეულობა? არა მგონია! ან იქნება ასე გამომეტყუწლებდეს საი-დუმლო რამ წყსილი, სინანული, შიში ან სიყუა-რული, მლოლნილი რამე იმისი კეთილშობილუ-რის გულისა? კაცი რაც უნდა დამორებული იყოს, მაინც არ შეიძლება ამ გამოკითხვაში არ

შევიდეს, თუკი ამ გუჯარს მდგომარეობაში ამისთანა ქალი სადმე იმყოფება.

გუშინ საღამოს სადილათ შინ დავრჩი მარტო, და ბერიკაცი ალექსი რომ მემსახურებოდა, უევრო-გარ როგორღაც მე ამ ალექსისა და ვჰკითხე:

— დღესა, ჩემო ალექს! დღეს რომ კარგი დღე იყო, არ გისეირნია?

— დიაღ, უფალო, როგორ არა, დილას თან ვახლდი მადმუაზელს

— მართლა?

— თქუენც დაგინახავთ, მგონია.

— ..., ჩემო ალექს! მართალია, სად და სად მოგკრავთ ხოლმე თვალსა.... ცხენოსნობა ძალიან გშუენისთ თქუენა, ალექს!

— მე რა! მადმუაზელს რო ჰშუენის, იმისთანა როგორ იქნება.

— კარგი, ჩინებული ყმაწვილი ქალია.

— ოჰ! ყოველითურთ სრული, უფალო, სახიერებითაცა და ხასიათითაცა, სწორეთ როგორც დიდა იმათი. ერთს რასმე მოგახსენებთ, უფალო! მოგეხსენებათ, უწინ ამ ადგილ-მამულის პატრონი გრაფი კასტენცკი იყო და იმას ვემსახურებოდი. ლაროკმა რომ ეს სახლი იყიდა, მე მოგახსე-ნებ, გული დიდი მქონდა მაშინა და ამ სახლშა

ყოფნა აღარ მინდოდა. აზნაურთ (*) პატივისცე-
მაში ვარ გაზრდილი და კარგა მჯრათ მიზის ყევა-
როების სამსახური, მგონია შემატყევეთ, რომ თქუენც
სიამოვნებითა და ხალისით ეემსახურებით ხოლმე;
რაღაც აზნაურობა გვეყუობათ მაინცა; სწორეთ

(*) აზნაური სწორეთ ქართული ლექსია და
სხუათ არ უნდა მიეწერებოდეს; მაგრამ იმათი
ღირსების გამოსათქმელი სხუა ლექსი არ გაგვა-
ჩნია. აზნაურება ჰნიშნავს თავისუფლებას, უფრო-
სობას, კეთილშობილობას. ევროპიის ქუეყნებში
ბარონებს, გრაფებს, დუკებს, მარკიზებს, პრინცებს,
ყველას ერთი შეკრებითი ანუ საზოგადო სახელი
ეწოდებათ — ნობლეს, — ესე იგი საზოგადოობა კე-
თილშობილთა, აზნაურობა; ჩუენში რომ ვიტყჳთ —
თავად აზნაურნიო, — ჩუენთჳს ეს საკმაოა, რადგან
ჩუენს არისტოკრატიას შეადგენენ მხოლოდ თავა-
დნი და აზნაურნი; — იქ რომ იმდენი სხუა და სხუა
ტიტულები არის, ერთი საზოგადო სახელი არა
მოუხერხდებარა ისეთი, რომ ყოველივე ტიტული
იმაში გამოდიოდეს: ჩუენი თავად აზნაურობაც
ორი ლექსია; ორს კიდევ ისმარებს კაცი
ერთის მაგიერათ და სჯობი თუ ექუსიკი არ მო-
სერხდება.

ფიცით? რომ გვაროვნებით აზნაური არა ხართ?

— მგონია აგრე იყოს, ჩემო საწყალო ალენ?

— მე ეს მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის, ამ ქალების სამსახურმა ეს მასწავლა, რომ თუ კაცს გული კარგი აქვს, გვაროვნობას გულის სიკეთეც კარგათ უდრის; მეტადრე ჩვენ კასტელნიკის ხასიათი რა ისეთი სასარბიელო იყო, ცემა რომ იცოდა ხოლმე თავისი მოსამსახურეებისა,— მაგრამ მაინც ძალიან საწყენია, ასე ვთქვათ, უფალო, თუ მადმუაზელმა კაი გვარის კაცი ვერ შეირთო. მაშინ აღარა მოაკლდება რა იმისს ღირსებას, შესაფერი ქმარი რომ იშოვნოს.

— მე ასე მგონია, ჩემო ალენ, რომ ეს თით-ონ ქალის ნებაზედ არის.—

— შევალიანზე თუ ბძანებით მაგასა, მართალია ქალის ნებაზედ არის; აგერ ნახევარ წელიწადი მეტია, რაც ის დასტრიალებს; არც მადამი ბძან-დება წინააღმდეგი და თითონ შევალიანიც, კაცმა სწორე უნდა ჰსთქვას, ლაროკს გარდა, შეძლებით აქ ყველასა ჰსჯობია; მაგრამ მადმუაზელი ჯერ ამას ანბობს, მაცალეთ, კარგა ვიფიქროო.

— თუკი შევალიანი მოსწონს და როდესაც ინებებს, მაშინ შეირთავს, რათ არის მაშ აგრე დალონებული და აგრე დაფიქრებული, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰსჩანს?

— ჭეშმარიტია, უფალო; ამ ორს სამს წელიწადში სულ გამოცვლილია ჩუენი მადმუაზელი. უწინ, რაღაც რამ ჩიტი იყო მოჭიკჭიკე და ქუეყნის გამამხიარულებელი; ახლა კაცი იტყჳს, გულზე ნაღუელი აწევს რამეო; ნურასკი უკაცრავათ ვიქნები უფ. ბევალიანთან, მაგრამ მე არა მგონია ეს ნაღუელი იმისი სიყვარულით იყოს.

— მომეტებულათ არცკი თქუენ გეტყობათ იმისი სიყუარული, ჩემო კარგო ალენ! მაგრამ რატომ, ჩინებულის გუარისა ხომ არის...

— გუაროვნობა ცუდკაცობას არაფერში უშლის იმასაცა, უფალო; თავისს დროს იმაში ატარებს, რომ ჭრყუნის აქაურ ქალებსა. თუ ყური უგდეთ თქუენცკი შეატყობით მგონია, რომ უკან არ დაიხევს, თუ კი მოახერხა როგორმე და ამ სასახლეში საფაშო ჰარამი გაიჩინა, მანამდისინ უკეთესს გაირიგებდეს რასმე.

ჰატარახანს გავჩუმდით. მერე თქუა ისევ ალენმა:

— ნეტავი ერთი ასიოდ ათასი თუმანი შემოსავალი გქონდეთ თქუენ წელიწადში და სხუა არა მინდარა!

— შენ რათ გენატრება ეგა, ჩემო ალენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—იმისთჳს რომა.... თავი როგორღაც დაფიქრებით დაიქნია და აღარა თქუარა.

25. ივლისა.

ეს თთუჱ რომ იწურება, ამ თთუჱში მე აქ ერთი მეგობარი შევიძინე და ორი მტერი. მტერები არიან მადმუაზელ მარგერიტა და მადმუაზელ ჟელუეგნი. მეგობარი არის ერთი ოთხმოც და რვის წლის გაუთხოვარი ქალი. მეშინია ამ მეგობარს ჯილდოკი არა მოჰყვესრა.

მადმუაზელ ჟელუეენი, რომელსაც მე აქ ანგარიში უნდა გაუსწორო, უმადური რამ არის. რაც მე იმასთან დანაშაული მაქუს, ჩემგან დანაშაულათ კი არა, დავალებათ უნდა მიეღო. მაგრამ ეტყობა მსეც იმ ქალთაგანია, მეტათ გამრავლებულნი რომ არიან ქუეყანაზედა და პატივისცემას რომ ანგარიშში არ აგდებენ; სადაც მარტო იმასა ცდილობენ, თავი მოაწონონ ვისმე, ან თჳთან მოიწონონ და დაიმონონ. მე რომ აქ მოველ, მას აქეთ ვცდილობდი პატიოსნებითი დამოკიდებულება და ნათესაობითი სიბრალული მქონიყო მადმუაზელ ჟელუეენისა; იმისი მდგომარეობა და ჩემი მდგომარეობა, საზრდოს რომ ორნივე ჩუენის შრომისაგან და სხჳს ჴელისაგან გამოველით, ორივ ერთნაირია.

ყოველთვის სიწუხრათ მქონდა, ყოველთვის მებრა-
ლებოდა, სადაც კი ამისთანას მდგომარეობაში
ქალსა ვნახავდი სადმე: არც სად იმათთვის მუწბა,
არცსად თავისნებად ყოფნა, არცსად იმედი უკეთე-
სის ცხოვრებისა. მადმუაზელ ჰელუენი ლამაზი
ქალი არის, ტონიერი, ნიჭიერებით სავსე და რადგან
ამდენს ღირსებას თავისს გულის სიფიცხით ახდენს,
აჩქარებულობით, გამომჩყწნებლობით და მეცნიე-
რების დაჩემებითა, აქაო და მასწავლებელი ვარო,
ვჰსთქვ ჩემს გულში, მადლია რომ ამას კაცმა
უპატრონოს მეთქი. ეს პატრონობა მერე ჩემს თვალში
ვალად გადამექცა, მეტადრე როდესაც ეჭვ აგი-
ლე და მრავალმა სხვა საქმემაც რომ მაგრძნობინა,
რომ ეს ერთი ფრანსუა 1-ის სახით მოხილი
მფლეთელი ლომი გარს ევლებოდა. ეს ორპირობა,
დიდი ღირსება უფ-ს ბევალლანის, ისეთის თვსე-
ბისა იყო, რომ ვინც არ დაუფიქრდებოდა და
თვალს ფხიზლათ არ ადევნებდა, ვერას შეამჩნევდა,
თუ არ სასიამოვნოსა და ზრდილურს სითამამეს. მე-
ტადრე მადამ ლაროკი და იმისი ქალი დიალ
უცხონი არიან ქვეყნიერის მაცთურობისათვის და
დიალ განშორებითა ჰსცხოვრებენ ყოველის ამ
გვარის საქმისაგან, რომ ცოტა ოდენიც არის
ეჭვ თვთან ქალოთ როდისმე. მე ჩემის მხრით

მალიანა ვჰსწყრებოდი, რომ ასე წაქეზებულისა ქალების გულის გამოჭმაზედა ეს დარბაისელი და სიამოვნებას იმაში ვჰპოვებდი, რომ ამ ნაირი გან-ზრახვა ჩამომლევინებინა სოლომე. დაქრთამვით რომ საქმის გარიგებასა ვცდილობდა, რამდენჯერ შეუმალე მე ქალი, ვინ იცის. ერთის მეცადინე-ობასაც კი მალას ვატანდი, რომ ჭელიუენის გუ-ლი გამეგრილებინა როგორმე და შავუმექცია იმ ნუგეშინის ცემისაგან, თავისს გაჭირვებულს მდგომარეობაში და მარტოობაში რომ მოარმიეე კაცისაგან გამოელოდა. არ ვიცი, იქნება გადავა-ჭარბე როგორმე ჩემს გაფთხილებასა და რაც ემყურს მფარველობას აღარ შეეფერება, ისეთი მო-მივიდა რამე; მაგრამ არა მგონია; რაც რამ მე იმასთან ლაპარაკი მქონია როდისმე, ყოველთჳს მოწყუჩწცილი მქონია და ყოველთჳს პატიოსნე-ბითი; მალიან გაფთხილებით ვიყავ რომ ჩემგან სხუა არა ეფიქრებინარა. ამ წინა დღეებში ერთ-ხელ სალამოზედ სიერილისათჳს ყველანი გარეთ ვიყავით. იმ დღეს, უბჭუწლოა, მადმუაზელ ჭელიუენ ყურადღებას შემამცნევდა რასმე და სალა-მოზედ, გარეთ რომ ვიყავით, სიფთხილით მომკიდა ქალი, მერე ქალში ყვავილი მჭირა და კბილებით თითქო ჰსწიწკნიდა; გავიარეთ ორიოდ

ნაბიჯი და მოისმა ცოტა აღელვებულის ხმით:

— თქვენ ძალიან კეთილი კაცი ხართ, უფალო მაქსიმე.

— ვჰსცდილობ, მადმუაზელ.

— სარწმუნო მეგობარი ხართ ჩემი, მგონია!

— დიახ!

— მაგრამ მეგობარი.... როგორი?

— სარწმუნო, აგი თქვენვე სთქვით.

— მეგობარი, რომელსაც.... უყვარვარ განა?

— რასაკვირველია.

— ძალიან?

— უმეტესად.

— ცრფიალებით?...

— არა.

ამ ცარიელს ლექსზედ, კარგა მტკიცეთ რომა ვჰსთქვ და მედგარი თვალიც თან მივადევნე, მადმუაზელ ჟულიენმა თავისი ყვავილი მაშინვე იქით გადისროლა და თითქო მეკბინოს, ისე მომშორდა. ის არის, იმ უბედურს საათს აქეთ— გაკიცხვით მეპყრობიან—რაცრომ არ ვიქურდე— და ამას იქით უთუოთ ვიფიქრებდი, ორის სქესისაგან წმინდა მეგობრობა მართლად შეუძლებელი ყოფილა მეთქი, მგონია დღეს რომ ამ აზრის დამარღვეველი შემთხვევა არ მომეცემოდეს.

იმ ღამეს მეც სასახლეში შეველ დროის გასა-ტარებლად. ვინცა ვინ ამ ორის კვირის განმავ-ლობაში აქ სტუმრათ იყვნენ, თითქმის ყველანი წასულიყვნენ და ისინიღა დამსხდნენ, ვინც ყო-ველ დღე აქ არიან ხოლმე: მღუდელი, ხაზნა-დარი და დოკტორი დემარეტი; ამათ გარდა გენე-რალი (*) სენ-კასტი და იმისი ცოლი, ახლოს

---

(*) მოდი ერთი მე და შენ პატარა ამაზედაც მოვილაპარაკოთ, რისგან არის რომ ვანბობ, გე-ნერალი მეთქი და არა ღენარალი? ეს ლექსი ჩვენ რუსებისაგან მივიღეთ, რუსებმა ფრანცუზებისაგან, ფრანცუზებმა რომაელებისაგან, ლათინურის ენიდამ; მაშ ჩვენც ბარემ იქავ ავავსოთ თასი, სადაც წყარო გამოდის; ლათინურს ენაში ღ სულ არ არის; გ კი არის. ფრანცუზულს ენაზედ ლათი-ნურს გ რომელსაც ე დაჰყვება, ან ი, ჟ-თ გადა-იქცევა: და იმიტომ ანბობენ ჟენერალ; იტალია-ნურს ენაში ჯ-თ გადაიქცევა და ანბობენ ჯენერალ.— რუსულს ენაში მხოლოდ ორი ლექსია და რაც იმ ლექსებიდამ სიტყვები წარმოსდგება ისინი, (*Богъ* და *благо*) სადაც ჩვენებური ღ ისმის გამოთქ-მაში; სხვას ყოველს შემთხვევაში გ-ს ანბობენ. ვინც სწორე რუსულს ლაპარაკობს, თავის დღეში

პატარა ქალაქში რომ სცხოვრებენ. ამ ქალს ეტყობა მზითევი დიდი მიჰყოლია, და მე რომ შევედი, ის და მადამ ობრი ძალიან დათანხმებულს საუბარში იყვნენ შესულნი: ორნივე სიმდიდრის შეუდარებელს სიამოვნებას ადიდებდნენ და რომელი უფრო უმეტესს ქებას იტყოდა, მეორის ამაზედ იყვნენ დაქიშპებულნი.

—თქუენ ძალიან მართალსა ბძანებთ, უთხრა მადამ ობრიმ;—შეძლებისთანა ქუეყანაზედ არა არისრა. როდესაც შეძლება მქონდა, ყველანი საკიცხავათ მყავდა, ვინც ღარიბი იყო; ახლა

---

არ იტყვის, სირცხვილია, არ ვარგა რომ ჰსთქვას: ღენარალ; ღუბერნატორ; ღრუზინ; ღავარიტ; ღრუშნო. უთუოთ ასე უნდა ჰსთქვას და ასეც ანბობენ, სახლებში გარდა: გენერალ; გუბერნატორ; გრუზინ; გავარიტ; გრუშნო! მამ ეს ჩუენ რაღა დაგვემართა, საცა არა მეორის ლ-ს წავსხსირამთ ხოლმე. მართალია მწელია გადაჩუევა, მაგრამ უსაფუძვლოთ, შეპარებით ლაპარაკი ისე ეწყინება ყურსა, როგორც გაუსწორავი ურმის თვლის ჭრიალი და სწყენს რომ რასმე ვსწავლობდეთ მეორის გაუზდელობა ერქუის ჩუენში,—უდელიკატობა მაინც.—

გასაკვირველი რა არის, რომ მდიდრებს მეც ამოჩემებული ვჭამდე, და არცა გშივი.

—ამოჩემებული ამისთჳს არავისა ჭყევხართ, მადამ, გარწმუნებთ რომ არა, მადამ, მაგრამ უეჭუელიკი არის რომ სიმდიდრესა და სიღარიბეს დიდი განსხუავება აქუს. აჲ ამ ჩემმა გენერალმა კარგათ იცის ეს; რომელსაც მე მითხოვა არა გაახნდარა თავისს ხმალს გარდა და ხმალი, თქუენც კარგათ მოგეხსენებათ, მადამ, შეჭამადს ვერ შეაზავებს.

—ოღონდაც, ოღონდაც, ოჰ, ოღონდაც, მადამ, მიუგო ამ იგავით აღტაცებულმა მადამ ობრიმ. დიდება და საჭმელი კარგი რამ არის მოისრობაში; და მეკი, სწორე მოგახსენოთ, კარგი კარგეცა მირჩევნია, დიდებასაცა და საჭმელსაც, განა მადამ?

—დიახ, რასაკვირველია, მადამ; დღესაც მაგას ვეუბნებოდი ჩემს გენერალსა, აქ რომ მოვდიოდით,—განა გენერალო?

—ჰმ!—ჩაახუელა და თავი დაიქნია გენერალმა, იქით კუთხეში რომ ბერიკაცს კორსარს ქაღალდს ეთამაშებოდა.—

—მე რომ შემირთეთ არა გქონდათრა მაშინა, გენერალო; ახლა ხომ არ გადასთქუამთ ამასა.—

— თქვენ და გაათავეთ, წამოიბუტბუტა გენე-რალმა.

— ასიოდ თუმანი რომ პენსია ეძლევა ჩვენს გენერალს, ამითი ხომ ვერ გაიჩენდა კარეტასა. დღესაც ამას ვეუბნებოდი, მადამ, ახალი კარეტა რომ ვიყიდეთ, რბილი, რომ ურბილესი აღარ შეიძლება. ფულიც კი კარგი მივეცი: სწორედ ასი თუმანი დააკლდა ჩვენს ქისას.

— დიაღ დააკლდებოდა, მადამ; მე რომ კარე-ტა მქონდა, სწორედ ას ოცი თუმნათ მიღირდა, ეს ოცი თუმანიც იმიტომ, რომ ვეფხვს ტყავი ეგო შიგა.

— მე მაგ ხარჯს უნდა მოვრიდებიყავ, რადგან მებელი გამოვიცვალე და ახლა ჩვენს ზალაში სხვა-ღარა არისრა, თუ არა ძვრფასი საფენები. სწო-რედ ოთხას თუმნად დამიჯდა ეს მორთულობა;— ამისთანა მივარდნილს ალაგს ეს ხარჯი ცოდვაა, მართალია, მაგრამ... მთელი ქალაქი ფეხქვეშ გვეგება და პატივისცემა ვის არ უყვარს, განა მადამ?

— რასაკვირველია, მადამ, უპასუხა მადამ ობრომ; ყველას სასიამოვნოთ აქვსთ პატივისცემა და იმ ზომითაც ჰსცემენ პატივს, რასაც შეძლებას ეტყუ-ლებიან. მე სასიამოვნოთაც მაქვს ახლა, რომ

პატივს აღარა მცემს, როდესაც წარმოვიდგენ რომ, როგორაც ვიყავი, ისე რომ ახლა ვჭყო-ფილვიყავ, ხომ ჩემ ფეხქუეშ დაეცემოდნენ ყმა-ლანი, ვისაც საკიცხავათა ვჭყევარ ახლა!

— მე დიდ უჭაცრავათ გახლდებით, წამოიძახა დოკტორმა და წამოვარდა ზეზე. მე თქუენ გარ-წმუნებთ, ასი მილიონიც რომ გქონდეთ წლის შემოსავალი, მაშინაც ვერ მნახოთ მე თქუენს ფეხქუეშ დაგებული, პაციონსანს სიცრუეს ვამლევთ. ახლა პაცარასანს გარეთ გავიდე, თორემ მოთმენა აღარ შემიძლება, გული მიწუხს.

გავიდა გარეთ დოკტორი და თან ჩემი წრფე-ლი მადლობა გაიყოლა, რომ ამ სამართლიანის განრისხებით გული დამილბო, ამ დედაკაცების უსჳნიდისობითა და უგვანის ლაპარაკით აღშფოთე-ბული.

თუმცა დოკტორს დემარეცს დიდი სითამამე აქუს ამ სახლში მინიჭებული, მაგრამ ეს ერთი საქმე ისეთი ჩაიდინა, რომ წყეს გარეთ იყო გა-სული და რაღაც მდუმარება ჩამოვარდა ზალაში, ხმა გაკმინდა ყველამ. ბოლოს ისევ მადამ ლა-როკმა დაარღვია ეს მდუმარება და ჰკითხა თავისს ქალსა, რვა საათი არის ჯერა თუ არაო?

— ჯერ არა, დედა! უპასუხა მადმუაზელ მარ-

ვერიცავთ; ამიტომ რომ ჯერ მადმუაზელ პორჭიე არ მობძანებულა.

არ გამოვიდა ერთი წამი, რომ საათი რეკას მოჰყუა და მერვე ჯერ არ დარეკა, რომ კარი შემოაღეს და მადმუაზელ ფოსლენდ დ/პორ-ჭიე-ვალ შემოვიდა ზალაში, თითქო ვარსკვლავთ მრიცხუელის სიფრთხილითა და თვალიერებითა.

ეს მადმუაზელ ფოსლენდ დ/პორჭიე-ვალ წლეულ ოთხმოც და მერვე გაზაფხული რომ დაითვალა, — და შეხედულობით რომ აბრაშუმში შენახულს ლელწამს ჰგავს, უკანასკნელი რიცო არის ერთის მალიან დიდის გუარისა, რომლისაც წინაპართა უმეფნიათ ოდესმე ძუელს არმორიკაში. ისტორიაში კი ნამდვლად არის ეს გუარი გამოცხადებული მეათორმეტე საუკუნეში, (*) რომესაც ისტორია ისხენიებს იოთაელს, კონონ უმართლოს შვილს, ბრეტანიელთ მთამომავლობისას. — რამდენიმე წუეთი პორჭოეთ სისხლი სწუა წარჩინებულს გვარებშიაც დენილა და მავალითად, როჰანებს, ლუზინიანებს, პანტიევრებს, თვითან ალუარებით, რომ ეს სისხლი სიწმინდით არავის ჩამოუდგება. მე მასსოვს, ერთხელ ჩუენის

(*) ჩუენი თამარ მეფის დროს.

გვაროვნობის მოთხრობას (*) რომ ვჰკითხულობდი, ამ საოცარის საყელის ხსენებაც იყო, პორჰოე, და მამა ჩემმა რომ ეს საქმე ძალიან კარგათ იცოდა, დიდის თავის მოწონებით განმიმარტა, სწორეთ ჩუჱნც პორჰოეთ შთამომავლობისანი ვართო. ახლა მარტო ეს ქალიღა არის ამ გუარისა და ქმრის შერთვა იმისთჳს არ უნებებია, რომ დარჩეს კიდევ რამდენსამე ხანს მაინცა, მანამდისინ ცოცხალი ვართ, ხსენება ამ სადიდებელის საყელისა: პორჰოე-ვაელ. ერთხელ როგორღაც ბურბონებზედ (*) (*) ჩამოვარდა ამ ქალთან ლა-

---

(*) აჲ! ჩემო თეიმურაზ! ერთი კარგი თჳსება განათლებისა: თავისს გუაროვნობის მოთხრობასა ჰსწერენ და შთამომავლობა თავისი, ნათესაობა, მოყვრობა, კარგათ იციან. — ჩუჱნ რომ ნათესაობითისა და მოყჳრობის დამოკიდებულების პატივისმცემელნი ვართ, რატომ ჩუჱნცკი ბეჯითად არ ვიცით ჩუჱნი წარმოება და შთამომავლობა. გუაროვნობის ხე ბევრი მინახავს, მაგრამ სწორეთ ისეა, თუ არა, ან ჩუჱნთ წინაპართაგანი ვინ როგორი რამ ყოფილა, ვაჲ შენს მტერს თუ ვიცოდეთ ვინმე.

(*) (*) ბურბონი გვარი არის ფრანციის კორო-

პარაკი. წინდის ჩხირით მოჰქსოვა თავისის ქმრა ფა-რუქის ქაქასა და ჭსოქეა: ბურბონების გუარი, დიდი, კარგი გუარია; მაგრამ (დაავანა ცოცხოდენის სიმდაბლით) უკეთესიცკი არის.

რაც უნდა ვჰსთქვათ, შეუძლებელია კაცმა თავი არ მოისაროს ამ მოსყუცმბულის ქალის წინაშე, შეუდარებლის ღირსებით რომ ასხია სამნაირი მში-მე მოწი დიდებულებისა: მთამომავლობა, სნიე-რება და სილამაზე. ერთმა საწუხარმა დაგამ, აგერ თსუთმეტი წელიწადია საზღურის გარეთ რომ აწარმოებს, სულ ყუაზედ დაიყვანა უმისოთაც მიღებული ამისი საცხოვრებელი: სულ რომ ბევრი ჰქონდეს ახლა, ოც და ათიოდე თუმანი თულა ეძ-ნება წლის შემოსავალი. მაგრამ ამ ნაკლულევა-ნებას ამისი ღირსებისათვს არა მოუკლია რა და სასიათისათვს არა შეუმატებია რა; ისევ ისე თანას-წორიათ არის ყოველ კაცთან, ისევ საამო ზდი-

ლების, როგორც ჩუენნი მეფეების გუარი ბაგ-რატიონი არის. ბაგრატიონებზედ რომ ლაპარაკი ჩამოვარდეს როდისმე და იქ, მაყალითად, კასაბე-რის გვარისა მოესწროს ვინმე, ისიც ასე იტყვს რასაკვრველია: «ბაგრატიონების გვარი ძველი გვარია, მაგრამ უფრო ძველიც კი არისო.»

ლობით ეპყრობა ყველას; არავინ იცის როგორა ჰსცხოვრებს თავისს პატარა სახლში თავისის პატარა მეუღლეთი, — მაგრამ მოწყალეობის გაცემას მაინც ახერხებს კიდეც. მადამ ლაროკსა და იმისს ქალს ისე მიუყვარებიათ ეს კეთილშობილი და ღარიბი მეზობელი და ისეთს პატივსა სცემენ სწორეს გულითა, რომ საქმარის შეძმარიცად: ეს არის ამათ სასახლეში სავანი ყოვლის კაცისგან ყურადღებისა, მხოლოდ მადამ ობრის გარდა. მე ხშირად მინახავს, რომ მადმუაზელ მარგერიტას ძალიან გამხიარულებული ცანცკობისათვის თავი დაენებებინოს და მეორეს მოთამაშეთ ჩასჩერობიოს ვისტში მადმუაზელ პორჭოსს. ისეთი ღამე როგორ იქნება, რომ ვისტი არ მოსწონდეს მადმუაზელ პორჭოესათვის; ქეტრინის ალისხოულიც ის იქნება, რაღა თქმა უნდა. მეც ამასთან მოთამაშეთაგანი ვარ ახლა, კარგათ მიჩნეული და იმ საღამოს, რომელზედაც მე გელაპარაკობ, მღვდელი, დოკტორი და მე მაშინვე გარს შემოვუსხდით ვისტის სათამაშოთ ამ ჩინებულის კოსონ-უმართლოს მთამომავლისა.

ერთი ეს უნდა მოვიხსენოთ, რომ წარსულს საუკუნეში ანგლიის მთავარს ფრანციიდამ გადაჰყოლია ისპანიაში ერთი პაპის ბიძა ამ ქალისა და

რომელსაც მთავარი იქ გამეფებულა ფილიპპე მეხუთედ, ეს ბიმაც, იმისი ერთგული ყმა, იქ დაბინავებულა და დიდს წარმატებაში შესულა. ბოლოს ჰსჩანს, იმას იქ არავინ დარჩენია, გაცივებულა იმისი ოჯახი და რადგან მადმუაზელ პორჰოეს ყოველთვის თვალი უდევნებია, სადაცკი ამისი გვარისა ყოფილა ვინმე,—გამოუცხადებია, მემკვიდრეობა მე მერგება და ისპანიაში დანამთი ბიმის საცხოვრებელი მე უნდა მომეცესო. მოდავეთ გამოსჩენია იქ ერთი მყწლებური კასტილიელი ოჯახი, რომელსაც იქაურს პორჰოებთან რაღაც მოყვრობითი დამოკიდებულება თურმე ჰქონია. აქედამ მემდევარა ეს საწუხარი დავა, ერთის სასამართლოდამ მეორეში გადადის ეს თხუთმეტი წელიწადია და არ იქნა, არა ეშველარა, აღარ მოელო ბოლო. (*) ეს ქა-

(*) ვიცინოთ და ვიხარხაროთ მე და შენ, ჩემო თეიმურაზ! თხუთმეტი წელიწადია დავა სწარმოებს და ბოლო კიდევაც არ მოჰლებიათ, უკვრით ფრანციაში! ჰაიდი!!!.. აბა ერთი აქეთაც შემოიხედონ, მაშინ რაღას იტყვიან.—თქვენი ანბავი ჩვენ არა გაგვიგონიარა; თქვენ იქნება ხუთას ხუთასი წლობით ჰსცოცხლებდეთო და რომელსაც იქნება ხომ მოესწრებით საქმის გათავებას და

ლიც ამ საქმეს აღარ ეხება და იქამდის არის ამისი ფიქრით მოცული, რომ ზოგთ ეზარებათ და ზოგნი დაცინებასაც არ აკლებენ. ამათ შორის თვითონ ეს ჩვენი დოკტორიც არის, თუმცა დიდი პატივისმცემელიკი არის იმისი, და დაურიდებლად ურღვევს ერთს განზრახვას, რომელსაც მადმუ-ზელ პორჭოე გამოჰკიდებია: დაუჯინია, როდესაც საქმე გათავდება და ჩემი სამკვდრებელი ჩამბარ-დება, ერთი დიდი სობოროს ეკკლესია მინდა ავა-შენოო, რომ მომავალს საუკუნოებს იმან შეატ-ყობინოს სახელი აღმშენებლის და გაცივებულის დიდის ოჯახისათ. მძინარეც და მღვიძარეც სულ ამ სობოროს ფიქრში არის და იმის აშენების ანგა-რიშებში. რამდენიმე პლანი გაუკეთებინებია და ხან და ხან ღამესაც ისე გაათენებს, რომ ამ პლანებს ჰშინჯავს, და რაც არ მოეწონება, ან რაც უმე-

---

ჩვენ რომ ათს წელიწადს საქმესა ვდიოთ, სუ-ლიც ამოგვვაო, ასე იტყვან. — აბა თუ მართლა მეცნიერები ხართ, ანგარიშს აიღებთ, რამდენს ჩვენში ისე ამოსვლია სული, რომ საქმე დაბო-ლოვებული არ უნახავს, და რამდენი მოსწრებია საქმის გათავებასა? აბა თუ კაცები ხართ! ჩვენ კი ვიცინოთ, მანამდისინ გაიგებდნენ.

თჳსი მესამკობელი რომ მოაგონდება, კვლასლად ასწორებინებს და კვლასლად მეღის დაწვლილებით ანგარიშებში. თუ ლაპარაკი ჩამოვარდა როდისმე, ისე ლაპარაკობს, თითქო აშენებულიც იყოსო ეს სობორო.—ჩემის სობოროს საკურთხეველში ვი-ყავი; ჩემს სობოროში ჩრდილოეთის მხარეზედ ესა და ეს ნაკლულევანება დავინახე; ჩემს სობო-როს ესა და ეს უნდა კიდევა,—ასე ლაპარაკობს ხოლმე.

—ახლა, მადმუაზელ, წუხელის თქუენი სო-ბორო არ გიშინჯავთ? ჰკითხა დოკტორმა ქალა-დის დარიგებაში.

—როგორ არა, დოკტორო! ერთი კარგი ფიქ-რი მომივიდა კიდევა. ქოროს ძედელი მინდა დავარღუწვინო და კლიისონის ეკკლესიაში რომ ქორო არის, ისე მინდა გავაკეთებინო; თვალთა-თჳს უფრო მსუბუქი და უფრო სასიამოვნო იქნება.

—რასაკჳრველია, აგრე ემჯობინება. ისპანიიდამა? რაღა ამბავი გესმით? მართლა, კარგათ მომაგონდა; დღეს პარიჟის ჟურნალსა ვჰკითხულობდი და სწე-რია, ვითამ დუკა ვილლა-ჰერმოზას შემოეთვა-ლოს თქუენთჳსა, ქორწინებით დაგაბოლოვოთ დავაო. მართალია?

მადმუაზელ პორჰოემ წინ გადმოშუწბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისს სახურავის ლენტა უკან გადიგდო და ჰკითხა: გადაწყვეტილს უარს ვეტყოდით.

—დიაღ, დიაღ, მაგასკი ბძანებთ მართალია, მაგრამ ეს გიტარის ხმა რომ ისმის სოლმე თქვენის ფანჯრების წინა, ეს რაღა არის?

—ქაჰ!...

—ქაჰ, მაგრამ, ეს შავათ მოსილი და ყვითელ საცქვეთებიანი გოგოც ისპანიელი რომ აქა_იქა დაიარება ამ ქვეყანაში, სულ რომ ოხრავს და ჰკვნესის, ის ვიღა არის?

—თქვენ, ჩემო დოკტორო, დღეს როგორო-ლაც მომეტებითა მაცტაროცობით; და რადგან ანბავსა კითხულობთ, აჲ რას გეტყვით: ჩემი ვექილი მწერს მადრიდიდამ, გუშინწინ მომივიდა წიგნი, ცოტა-ოდენი მოთმინება კიდევა და გათავდება საქმეო.

—ნეტა რავქნა! მაშ არ იცოდით თუ?— იცით სადაური მე თქვენი ვექილი? პირდაპირ ფილიბლახის ჯურღმულიდამ არის გამოსული. უკანასკნელს ოქროს გამოგტყუებსთ და მერე თქვენზედვე დაიწყებს ხათხათსა. რა კარგს იქმოდით მადმუაზელ, რომ მაგ ამაო ფიქრს თავიდამ მოიშორებდეთ და მშვიდობით იცხოვრებდეთ თქვენთვისა!... რათ გინდათ მე მილლიონები, ერთი მიბძანეთ?... მეუღრობა და პატივისცემა გაკლიათ

თუ?.... სხუა რა გინდათ კიდევა? თქუენი სობოროტზედ კი აღარას გიტყუი, სასაცილოა.

—ჩემი სიბოროტე სასაცილო იმათთჳს არის დოკტორო, ვინც თჳთან არიან სასაცილონი; მე ჩემს სიმართლეს ვეძებ და სასამართლოებს ვებრძჳ: საკუთრება მე მეკუთვნის, ასჯერ მაინც ვამოცონია ეს მამიჩემისაგანა, და არას დროს არა ვიქ, რომ სხუას დარჩეს ვისმე ჩემის გუარის უცხოსა, როგორც თქუენ, მაგალითად, ჩემო დოკტორო; ან როგორც ეს უფალი,—და ჩემსკენ შემოიხედა.

მეც ისეთი სიუმაწჳლე მომივიდა, რომ ვიწყინე და მაშინვე მიუგე: ჩემზედ თუ ბძანებთ მაგასა, მადმუაზელ, შემცთარი ბძანდებით; ჩემი გუარი უცხო არ გასდევს თქუენის გუარისა;—დამოკიდებულობა ნათესაობითაცა ყოფილა ჩუენში და მოყურობითაც.—

ასეთი მხნჳლი სიტყუა რომ გაიგონა მადმუაზელ პორჭოემ, მარაოსავით გაშლილი ქაღალდი ნიკაპზედ მიიფარა, სკამიდამ წინ მოიწია და შემომხედა, ვნახოთ ერთი, ტჳნი როგორა აქუს უმაწჳლ-კაცსაო; მერე დიდის გაკჳრვებით ისევ თავისი მოთმინება შეიმოსა, კოლოფიდამ ბურნუთი ამოიღო და ცხჳრთან რომ მოსაწევად მიჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყნარებით მითხრა:

— თქჳენ მაგას განმიმარტავებთ, ყმაწვილო!

რათ წამომცდა ეს სასაცილო თავის მოყვარება მეთქი, შემრცხჳა, იმისმა მოჩჳენებით შემოსვლამ შემაძრწუნა და პასუხის მაგიერად როგორღაც თავი დაუქნიე. ვიცი ისე გავათავეთ, რომ კრინტი აღარავის ამოუღია. ათი საათი იყო შესრულებული და თავის დაღწევა რომ განვიზრახე, მადმუაზელ პორჭოვმ მომკიდა ჴელი: — უფალი გამგებელი ინებებს, თუ არა, ჩემს გაცილებას სეივნამდისინ?

თავი დაუკარ კიდევა და გავსწლო. გავიარეთ ცოცაოდენი და მყჳდრით ბაღში. პატარა გოგო ფანრით წინ მიგვიძღოდა; ამას მისდევდა მადმუაზელ პორჭოვე, დაფიქრებული, გაჩუმებული; მე ჴელი მივაწოდე, ცივი უარი მითხრა და მეც გაჩუმებული მივდევდი, თავდახრილი და უმადური ჩემის აჩქარებისა. რამდენიმე ვიარეთ ასე და ბოლოს მითხრა მოხუცებულმა ქალმა:

— მერე? უფალო, რატომ არ ლაპარაკობთ? ჩემს გჳარს თქჳენ გჳართან დამოკიდებულება ჰქონია როგორც ამბობთ და რადგან ეს ისეთი ამბავი არის, რომ მე ჩემის გჳარის მოთხრობაში სრულად არსად გსმენია, ძალიან დამავალებდით, რომ

ამიხსნილეთ და განმანათლებლეთ.

ჩემს გუნებაში ვსთქვ, ჩემი საიდუმლო მაგ-
რათ უნდა დავიცვა, თორემ წახდა საქმე მეთქი
და ასე უპასუხე: აბა, ღმერთო! იმედი მაქვს,
მადმუაზელ, რომ არავის შეჭრისსავთ უბრალო
ხუმრობისათვს, საუბარში რომ უნებლიეთ წამოს-
ცდება კაცსა და მოუცდებებით.....

—როგორ ხუმრობისათვს! სახუმროთ რა მი-
გაჩნიათ აქა? ან რას არქმევთ ახლანდელს დროში,
ჩემო უფალო, ისეთს ხუმრობას, რომელსაც მო-
ხუცებულსა და უპატიოსნოს ქალსკი უბედავთ და
კაცსკი ვერავისა ჰკადრებთ? ჰა? ამისთანა ხუმ-
რობას თქუენ რას ეძახით?

—მადმუაზელ! თავის დასაღწევს საშუალობას
აღარას მიცემებით და სხუა ღონე აღარა მაქუსრა,
უნდა თქუენს პატიოსნებას მოვენდო. არ ვიცი
მადმუაზელ! მანსე დ/ოცრივის სახელი გაგიგო-
ნიათ როდისმე, თუ არა?

—მე მანსე დ/ოცრივებს ძალიან კარგათ ვი-
ცნობ, ჩემო უფალო, ძალიან კარგი და ძალიან
ჩინებული გუარი არის დოფინურრი; მაგრამ
თქუენ რათ, თქუენი სიტყუა ამას საიდამ რას
შეეხება?

—დღეს მე ვარ წარმომადგენელი ამ გუარისა!

—თქუჱნ?... თითქო მეხსცა გაოცებული და ისე მკითხა: მანცე დ/ოცრივი ხართ თქუჱნა?

—მამრი, დიაღ, მადმუაზელ!

—ეგ ხსუა არის: მაშ ასლაკი ქელი მომე-ცით ჩემო ბიძაშვლო, და თქუჱნი ანბავი ისე მიამ-ბეთ.—

ამ მდგომარეობაში აღარ ივარგებდა, რომ და-მემალა რამე და უამბე ყოველივე. ამ ჩემთჳს სამწუხარო ანბავს რომ გათავებდი, მივადექით ერთს მაღიან პატარას და მდაბალს სახლსა, რო-მელსაც ცალს გვერდზედ რაღაც სამკურნელებსავითა ჭქონდა მოდგმული.—შემობძანდით, მარკიზო, გთხოვთ ინებოთ.—შევედით ერთს პატარა ოთახ-ში; ფიცარქნით იყო დაგებული, კედლებზედ და-მეწყობული ქაღალდი ჭქონდა გაკრული და ზედ ათიოდე პორტრეტს მეწლების პორტრეტები ეკიდა, სამთავრო მოწით იყვნენ დასაცულნი; ბუხრის თავზედ იდგა მეწლის დიდებისაგან დანამთი ჩინე-ბული ბრინჯაოს საათი, რომელიც თავისის მო-ყვანილობით მზის მაცხოვრებელს ეცლის წარმო-ად-გენდა. რამდენიმე მეწლი კრესლა და ერთი მეწ-ლი ცხასცი.—ეს იყო ამ სადგომის მორთულობა. ამასთან საკვრელი სისუფთავე და ჭაერი, სასია-მოვნო სუნნელებით დაკმეული.

—დაბძანდით, მითხრა მადმუაზელმა თვთან რომ ტახტზედ ჩამოჯდა,—დაბძანდით ჩემო ბიძა-შვილო; თუმცა მართლათკი ნათესაობა აღარა არისრა ჩუენში და არც შეიძლება რომ იყოს, რადგან,—ჩუენშიკი დარჩეს ესა,—ანნა ბორჭოეს და ჭუეგო-შანსეს ისე დამართვათ, რომ უშვილოთ გადასუ-ლან;—მაგრამ, თუ თქუენი ნებაც არის, ჩემთვს დიდად სასიამოვნო იქნება, რომ როდესაც მარტო-ვართ, ბიძაშვილურად მეკიდებოდეთ. ჩემს ამ ქუე-ყანაზედ მარტოობის გრძნობას მაინც განვიქარვებ. მამ აგრე ყოფილა თქუენი საქმე, ჩემო ბიძაშვი-ლო, რაღა? ძნელია, რაც აქამდინ დაგმართვათ; ამას თქმა აღარ უნდა. ჩემს აზრს კი მოგახსე-ნებ დასამშვიდებლად და ნუგეშინის საცემლად. ჯერ ესა, ჩემო საყუარელო მარკიზო, ხშირათ მითქუამს, კაცი როდესაც ამ სამეფოს ხალხში არის გარეული, უწყის რომ მხატვრები იყვნენ და ახლა კარგეცვებით დაბძანდებიან; თავისს სიღარიბეს თვითონვე ჰგრძნობს, მართალია, მაგრამ სული მა-ინც კეთილშობილური უდის, დიდათაც ერჩევა ამ ხალხში თავისის ჰაცოსნებითა და ღირსებითა. მე ეჭვ არც ამაზედა მაქუს, რომ ღმერთის ნება რამდენიმე ჩუენგანი დაემლასკებინა და ამით ქუეყნისათვს ეჩუენებინა; რომ ამ საუკუნოებაში,

რომელსაც გაუზღველობა არის ჩამოვარდნილი, ნივთიერებისა და ფულის სიყვარული, — რამდენიმე კიდევაც ვიპოვებით ისეთნი, რომ, გვჭირს მართალია, მაგრამ არც ბუნებითი ღირსება გვაკლია, არც პატიოსნება, არც სახელოვნება, რასაც ვაჭრობით ვერავინ იპოვნის, სყიდვით ვერავინ იყიდის. როგორც მე მგონია ეს არის, ჩემო ბიძაშვილო, განმართლება ღვთის სამართლისა, თქუენზედ და ჩემზედ რომ არის მოვლინებული. უნდა მოწიწებით ვემორჩილებოდეთ და სულით არ დავეცემოდეთ. ჩემის ანგარიშით, მარკიზო, მე სიღარიბისათვის ვარ ამ ქუეყანაში გაჩენილი და არა ვჰსწუხვარ; ვისაც თავისს გავრცელებულს სიცოცხლეში მამა უნახავს ღირსი თავისის სახელისა, ოთხი ძმა მამის ღირსნი, მშობლის ქუეყნისათვის თავგანწირულნი და ტყვითა თუ ფოლადით უდროოთ სიცოცხლე მოკლებულნი, — ვისაც წარმავლად უნახავს ყოველი საგანი თავისის სიყვარულისა, პატივისცემისა და სარწმუნოებისა, — მეტად მდაბალი სული უნდა ჰქონდეს, რომ ზრუნვაშიდა შევიდეს, რადგან ეს და ეს საჭმელი არა მაქუსო, ან ეს და ეს მორთულობა რადგან მაკლიაო. უეჭუელია, მარკიზო, მარტო ჩემის თავისათვის რომ ვჰზრუნავდე, აქეთ-იქით ძალიან ადვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავჰსცემდი ჩემს ისპანიურს მილიონებსა; მაგრამ მე, კეთილის მაგალითისათჳს და შესაბამად ასე მგონია, რომ არ უნდა ისე გაცივდეს ქუეყნიერებაში ჩუენი სისხლი, რომ ღირსი და მკჳდრი სახსენებელი არა დარჩესრა იმისი, არა დარჩეს — რა ისეთი რამ სახსოვარი, რომ შეეფერებოდეს ამ სახლის დიდებასა და სარწმუნოებას, რომელსაც ყოველთჳს მტკიცედ აღვიარებდით. აჲ რისთჳს განვიზრახე, ჩემო უმჯროსესო ბიძაშვილო, ზოგიერთის წინაპარის მიხედვითაც, და მანამდისინ ცოცხალი ვარ არ გადავჰსთქუამ ამ განზრახუასა, რომ, თქუენც რომ გსმენიათ, ის ღუთის სათნო შენობა მოვასდინო, თუ ღმერთმა შემაძლებინა.

რა რომ შემატყო, ეს ჩემი განზრახუა არ დაიწუნაო, დაფიქრდა მოხუცებული და კეთილშობილი ქალი და მანამდისინ თავისს წინაპარებზედ შეჩერებული დარჩა თვალი, პორტრეტებიდამ რომ ფერმიხდილად გამოიყურებოდნენ, საათის რაკირუკს გარდა ამ სახლში არარა ისმოდარა. — აქ იქნებაო, ჰსთქუა მერე მადმუაზელმა, — აქ იქნება წესდებულება ერთი ეკკლესიაში აღსასრულებელი: ტიბიკონი მიეცემათ ღუთის მსახურთა, ყოველს დილაზედ ჰსწირავდნენ ჩემისა და წინაპართა ჩემთა სულის საოხად. კარის ბჭეზედ იდება ქუა მარმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილოსი, ზედ წარუწერელი, — და ეკკლესიაში შემავალნი ფერხით გადასთელავენ. ეს სარქუელი დაედების ნაშთსა ჩემის აქ მყოფობისას. —

მოწიწებით მოვიხარე თავი მოხუცებულის წინაშე. მაშინ ნარნარებით გამომართვა ჴელი და მითხრა: — მე არავარ ისე გამოსულელებული, ჩემო ბიძაშჳლო, როგორც ანბობენ. მამაჩემს სიცრუე არას ოდეს არ უთქუამს და ყოველთჳს მარწმუნებდა, რომ თუ ისპანიაში ჩუენი გუარის რტო გარდავიდა, ჩუენა ვართ იმისნი მემკვიდრენიო. ჩემდა საუბედუროდ უეცარი სიკუდილი ეწია და ვერ მოასწრო, რომ ეს სიტყუა საკმაოდ განემარტებინა; მაგრამ მე როგორც იმისი ლაპარაკის ეჭჳ არა მაქუს, ისე ჩემის სიმართლის ეჭჳ არა მაქუს. ესკი, რომ თუმცა სულელი არავარ, მოხუცებულთ მაინც ვარ და იქაურებმაც კარგათ იციან ჩემი ანბავი. თხუთმეტი წელიწადია მაცდევინებენ; მოკუდება და საქმეც გათავდებაო; დიდხანს არ მოუნდებათ მოლოდინი, უეჭუელია; კარგათა ვჰგრძნობ, რომ ამ ცოტას ხანში დამჭირდება შეწირვა უკანასკნელის მსხუერპლისა.... ჩემი საბრალო სობორო, ჩემი სურვილი და ყოვლის ჩემის გარდასულის მაგიერი იმედი, სხუას ველარას ჰნახავს, თუ არ ერთს ცალიერს ქუასა, ჩემის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფლავის ქჳასა. —

— გულმოკჳდინებით გაჩუმდა მოხუცებული. ძლიით ორი მსხვილი ცრემლი მოიწმინდა და მითხრა მწარე ღიმილითა:

— მომიტევეთ ჩემო ბიძაშვილო? თქჳენი უბედურებაც გეყოფათ. მომიტევეთ.... და ახლა დრო არის; წაბძანდით შინა, თორემ ვინ იცის რას იტყვიან; — ბოროტი ენა მრავალი არის ქჳეყანაზედ.

გამოთხოვებაზედ კიდევა ვთხოვე, თქჳენ გებარებოდეთ ჩემი საიდუმლო, რომ გაცემამ უარესი არ დამმართოს მეთქი და აღმითქჳა: დარწმუნებული იყავით, რომ გაუფთხილდები თქჳენს მშვიდობასაცა და თქჳენს ღირსებასაცაო. მაგრამ შემდგომ დღეებშიკი ეჭვ შემომივიდა იმისს გაფთხილებაზედ: მადამ ლაროკმა რომ ყურად-ღება და პატივისცემა ერთი ორად გამიმრჩობლა, შევატყვე, რომ გაუცივარ იმასთან მადმუაზელ პორჭოეს. რაი ინებეთ მეთქი, რომ ვჰკითხე, არ დამიფიცა და მითხრა, ჩემის ოჯახის პატივის-ცემა ითხოვდა, რომ მეთქჳა მადამ ლაროკისა-თვსაო და დარწმუნებულიკი იყავით, რომ ის არა თუ სხჳასთან, თავისს ქალთანაც არ გაგამხელო-სო. —

სწორეთ შემაძრალა თავი იმ ღამინდელის საუბრით მადმუაზელ პორჭოემ, და გსთქვ, მოვესმარები როგორმე, რომ შრომა შეუმსუბუქო და რაც შემიძლია შევეწიო მეთქი.—მეორეს დღეს საღამოზედ იმისი საბოროს პლანები გავშინჯე და აქა-იქ ჩემის კარანდაშით ზოგი რამ გავასწორე. იმა ჩემგან ეს მონაწილეობა; მერე მეც შევეჩვე ამ საქმეს: თითქმის ყოველ ღამე, ვისცი რომ გათავდებოდა, მოუჯდებოდი ხოლმე ქაღალდებსა და განზრახულის შენობის პლანს თვითოს რასმე შესამკობელს მოუმატებდი.

ამას გარდა სადავოს საქმის წარმოებაშიაც ვეწეოდი რაც შემიძლებოდა, ქაღალდებს უჩხრეკდი, არზებს უწერდი და რასაცკი მოვასწრებდი საქმის კეთილად დასაბოლოვებელსა, ჩემს შრომას არა ვჰზოგავდი. საწყალობელი თვითონაც მეტყოდა ხოლმე, სწორეთ დაღალებული ვარ თქვენგანაო, თვალები დასუსტებული მაქვს და მე ველარ ვახერხებ ვერც ძველის ქაღალდების გარჩევასა და ველარც ბევრს წერასაო; და სხვის შეწუხებასკი ვერავისსა ჰბედავდა, მაინც იცინიან და უმეტესი მიზეზი რათ მივსცე დაცინებისაო. ამასობაში დიდი რვეულები გადავშინჯე და ბოლოს გული დავაჯერე, რომ საქმეში გამარჯვების იმედი არა იყოა.

უფროს ლობიეზესაც გვაშინებს საქმე და ისიც ამ აზრისა არის; მაგრამ, მანამდისინ მოისურვებდა, უნდა ეს აზრი დაუმალოთ ჩვენს მოხუცებულს ნათესავსა მეტად მწველი განქარვება უკანასკნელის იმედისა. ერთხელ ეგეგონა, რომ მეწლის რეგულებში, ეგრე რომ გამონახული არა მქონდა, მაგრამ სასარგებლოს რასმე საბუთის გამოკიდით და დიდიდამ მოკიდე-ბული მუადლეველის უკანასკნელს ას მოუქმედე რეგულისა გამონახვით. რაღა თქმა უნდა, რომ არცერთმეორი აქედამ გამოვიდა. მეორის დილას პორჭომეთ კვლი მომაწოდა და დიდის თავაზით პაცვარა თავისს ბაღში შემიწვია, საუზმე იქა ჰქონ-ით მომზადებული. ზაფხულის სიცხეში პაცვარას სასლში ყონა უფრო შემაწუხებელია და ბაღში ჰსიამოვდა რასაკვირველია. სიღარიბის საჭმელებს პაცვიკი გვეც, რაცკი შეიძლებოდა და ჩვენს მასპინ-ძელს რომ ჩვენ მაღა სასიამოვნოდ მიაჩნდა, სა-უბარი უფრო მხიარულად იწყო და ბოლოს სიცუფა ჩამოვარდა ლაროკობზედ.

—ვაგვნდობით და გიცევთ, — მითხრა მე, — რომ ეს მეწლი კორსარი მე არ მომწონს. ამ ქვეყანაში რომ მოვიდა, კარგათ მახსოვს, ერთი მეჩუწული მაიმუნი ჰყავდა, კაცურად მორთული და თითქო სიცუფასაც აგონებდათ. ეს პირუტყვ

წორეთ ღვთის რისხვა იყო ამ ჩვენს მხარეზედ და შეუწუხებელი არავის დარჩენია იმ ერის კაცს გარდა, რომელსაც არც ზიარობა ჰქონდა და არც გვაროვნობა. ანბობდნენ მაიმუნი იყო და მე-ცა მჯეროდა, მაგრამ მეკი მგონია ნეგრი იყო (არაბი), ამით უმეტესად, რომ, ნეგრების ვაჭრო-ბასა სწამობდნენ იმის ბატონს.—ცხონებული მვ-ლი იმისი, მადამ ლაროკის მეუღლე, დიდი კარგი კაცი იყო; იმას არა დაუწუხებოდარა;—ქალები-სომ, მადამ ლაროკი და იმისი ქალი, ომდენი სიკეთე ღმერთმა თქვენ დაგმართოთ, რამდენი სიკეთითაც ისინი მეშკობილნი არიან; ადამიანის ჭირისაგან ისეთი ქება არა ითქმისრა, რომ იმათ არ მიუწერებოდეს.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ლობეს გარედამ მძიმე ხმა მოგვესმა ცხენის ფეხისა და კიდევაც დავჰკრეს გარეთი კარი.—

—რაო? ვინახარ მანდა? ჰკითხა მადმუაზელ პორჭოემ.

—კარი გამიღეთ ფრანციის ბედისაო, მოგვა-ძახა გარედამ ხმამ მწუხარემა და ნაცნობმა.

—როგორ? თქვენა ხართ ეგა, ჩვენო მფარცხა-ლო? გაიქეცით, გაუღეთ კარი, ჩემო ბიძაშვილო. კარი გააღე თუ არა, შერვენმა კინაღამ ძირს

დამცა, ისე შემოვარდა ბაღში სიცხისაგან შეწუხებული და თან შემოჰყვა მადმუაზელ მარგერიტა; ცხენიკი, მანამდისინ კარს გაუღებდი, ლობეს გამოაბა.

—გამარჯვება, უფალო, მითხრა მე ისეთის სახით, რომ ჩემი აქ ყოფნა თითქო სულ არაფრად ჩააგდო;—თითქო იცოდა, რომ აქ ვიქნებოდი.

—მშვიდობა თქვენს მოსვლას ამ პაპანაქებაში ჩემო კეკლუცო, უთხრა მადმუაზელ პორჭოემ,—და მიამბორეთ ერთი, თუ საწყენი არ იქნება. სიცხეში სიარულიკი დაგცყობიათ, ყმაწვილო: ლოყები შეგბრაწვათ და თვალები თითქო გარეთ გამოსვლას ეპირებენ. აბა რა მოგართვა, ჩემო ოცნებაო!

—აბა ვნახოთ მართლა, რას მითავაზებთ: რაღა გქონიათ? აღარაფერი. უფალს ოდიოს აღარა გადარჩენიარა;—მაინც არა მშია; მწყურიაკი.

—მაგ ყოფაში სასმლის ნებას ვერ მოგცემთ და მაცალეთ... მეონია მარწყვ იყოს კიდევ რამდენიმე ამ კალათში.

—მარწყვ? ოჰ! უკეთესი რაღა შეიძლება. ეგ კალათი წამოიღეთ მაშ, და მე წამომყევით თანა, უფალო ოდიო?

მანამდისინ მე ამ კალათის წასაღებად გამოვბრუნდი, მადმუაზელ პორჭოეშ ცალი თვალი დაიხუჭა, მერე ღიმილით და სიამოვნებით თავისს საყვარელს ქალს მიადევნა, რომ მიდიოდა,— და მითხრა ჩუმათ:—შეჰხედე, ჩემო ბიძაშვილო, ერთი შეჰხედე, თუ ღირსი არ არის, რომ მეც ჩუჱნევანი იყოს!—

მადმუაზელ მარგერიტამ დაუწყო მარწყუს ძებნა და რამდენსაც დაინახავდა, იმდენს სიხარულით შეჰკივლებდა ხოლმე. მე თან მივსდევდი და სამში ერთს კალათში ჩამიგდებდა და ორს მოთმინებისათჳს თჳთან შეაკნატუნებდა. ახლა გვეყოფაო, რომ იფიქრა, გამობრუნდა და მოვედით ისევ მადმუაზელ პორჭოესთან. რაც კალათით მოვიტანეთ იმას შაქარი მოვაყარეთ და მიირთვეს კბილებმა, სწორეთ საგანგებო კბილებმა.

—ოჰ! რა მიამა! ახლა, ჩემის სიამოვნების შესავსებლად უნდა ძუჱლის ანბავს მომიყვეთ, უძვირფასესო ჩემო მადმუაზელ, იმ ხნის ანბავსა, რომელსაც თქუჱნც კარგი მეომარი ყოფილხართ,— უთხრა მადმუაზელ პორჭოეს.

მაშინ მოჰყვა ისიც და მართლად რომ სასიამოვნოთ მოგვითხრო ისეთი ანბები, რომელიც ისტორიის ეკუთვნის. ახლა უფრო დავაჯერე გული

ამ მოხუცებულის აღმაცებულს გრძნობაზედ და პატიოსნებაზედ, რადგან არცარა მტრის ღირსება დაამცირა და არცარა მოყვრის ნაკლულევანება დაჰფარა; სწორედ ისე მოეპყრობოდა, როგორც ჭეშმარიტებასა და პატიოსნებას შეეფერება.

მადლობის გამოსათქმელად გადაეხვია უმაწვილ ქალი, დაჰკოცნა, მერე თავისი მალლი გაალვმა და სთქვა, ახლაკი დროა შინ წასვლისაო. სრულიად არ დავფიქრებულვარ, რომ სასახლისაკენ მეც მაშინ წავსულიყავი, ამიტომ რომ ჩემი მგზავრობა ამ ქალს ვერაფრით ვერ შეაწუხებდა. ისე მდაბალი მნიშვნელობაც რომ არა მქონდეს ამათთან, მაინც მადმუაზელ მარგერიტა ისეა გაზდილი, რომ ჩემი იმასთან მარტო ყოფნა თუ არ ყოფნა სულ ერთია იმისთვის. დედას ანგლიურათა ჰყავს გაზდილი; ამ გაზდილობით ქალი გათხოვებამდის სრულიად თავისუფალი არის; ჩვენ ფრანცუზები კი მაშინ ვაძლევთ ნებასა და სრულს თავისუფლებას ქალსა, როდესაც შეცთომას საშუალი აღარა აქვს. (*)

---

(*) ანგლიაში, და ამერიკაში უმეტესად, ესეთი საზოგადო ჩვეულება არის, რომ გასათხოვარი ქალი სრულიად თავისუფალია და რაც უნდა მარტო იაროს, თუ არ დიდს პატივისცემას, სხვას ვერა-

ასე ერთად გამოვედით ბაღიდამ; ცხენზედ რომ ჯდებოდა მე უზანგი დაუჭირე და მერე დავადექით გზას სასახლისაკენ. ცოტას ხანს უკან მითხრა:— ჩემის მოსვლით მგონია დაგიშალეთ და უდროოთ მომივიდა; სიამოვნებაში იყავით.

—ეგ მართალია მადმუაზელ, მაგრამ რადგან დიდი ხანია იქა ვარ, არა თუ შეგენდობათ, მე მადლობაცა მმართებს თქვენი.

—გეტყობათ ძალიან ყურს უგდებთ ჩვენს საბრალო მეზობელსა. დედაჩემი დიდი მადლიერია თქვენი.—

—შვილი თქვენის დედისა?—ვჰკითხე მე სიცილით.

—ოჰ, მე, მე აგრე ადვილი აღსატაცებელი არა ვარ. თუ ამას განიზრახავთ, რომ მე თქვენ შემოგკვროდეთ, ამდენი სიკეთე უნდა იქონიოთ, რომ კიდევაც მოიცადოთ რამდენიმე ხანი. სწორე მოგახსენოთ, ჩვეულება არა მაქვს, რომ ადვილათ გაფასო კაცის ყოფაქცევა, რადგან უფროსი ერთად

---

ვინ რასა ჰკადრებს. ფრანციაში კი გათხოვებამდინ ქალი შეკეტილში არის და რა რომ გათხოვდება, მაშინ აილებს თავსა და თავისუფლების მომშლელი აღარავინა ჰყავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სავანი ორ ჯუარი აქეთ სოლმე. მე ალვარებ, რომ თქუენი ყოფაქცევა მადმუაზელ პორჭოესთან შესახედავათ ძალიან კარგსა ჰგავს; მაგრამ....

—ეს რომა ჰსთქუა, დაფიქრდა პაცვარასანს, თავი მაღლა აილო და მიიხრა მერე სიმწარით და საწყენად:—მაგრამ... ვინ იცის, მე სრულად დარწმუნებული არა ვარ, რომ იმისთჳს არ მელე-ბოდეთ, შემკვდრეობა მე დამრჩესო.

ვიგრძენ, რომ ცუდმა ფერმა გადამკრა. მაგრამ მაშინვე ვიფიქრე, რა რიგი იქნება, რომ მე ამ უმაწვლს ქალს პამპრაუქობით გავჰსცე პასუხი მეთქი, დავმშვდდი და დალონებით მიუგე:—ნება მიბოძეთ, მადმუაზელ, რომ წრფელის გულით შეგიბრალოთ.

ჩემგან ეს ძალიან გაიოცა:—მე შემიბრალოთ, უფალო?

—თქუენ, მადმუაზელ! შესაბამის პატივისცე-მით განგიცხადებთ სიბრალულსა, რომლისაც ღირსი ყოფილხართ.

—სიბრალულსა? მკითხა კიდევ, ცხენი შეა-ყენა და მძიმედ შემომხედა განრისხებულმა და გაამაყებულმა: უკაცრავად; მაგრამ მგონია ვერ გავიგე, რას ანბობთ.

—ძნელი გასაგები აქ სრულიად არა არისრა

თუ კეთილისა ბოროტად მიღება, იჭჳნეულება და გულის სიმშრალე მწარე ნაყოფი არის დიდხნიერებისა გამოცდილებისა, ქუეყანაზედ ისეთი შესაბრალისი აღარა არისრა, როგორც გული, სიყმაწვილეშივე დამჭნარი და წამხდარი ურწმუნოებისაგან. —

— თქუენ სწორეთ არ გაგეგებათ, რას ლაპარაკობთ მანდა, შემომძახა უჩუეულის ხმით; — და გავიწყდებათ მგონია, ვისთანაც ლაპარაკობთ!...

— მართალია, მადმუაზელ, მიუგე მე სიმდაბლით და თავის დახრით: ცოტა არ არის არ ვიცი, სად და ვისთან ვლაპარაკობ, მაგრამ თქუენგანვე ვარ წაქეზებული.

— მაშ თქუენის ფიქრით იქნება ბოდიშის მოხდაც მე მემართოს თქუენთანა.

— უეჭუელია, — მიუგე მე მტკიცედ: აქ თუ ერთერთს ბოდიში ჰმართებს ვისმე, უეჭუელია თქუენა გმართებთ: თქუენ ბედნიერებით მდიდარი, მე ვარ ღარიბი; თქუენ შეგიძლიათ თავი დაიმდაბლოთ.... მე აღარ შემიძლია.

ერთის წამს გავსწუმდით: პირი მოკუმული, ძელები გამლილი, სახე გაცრეცილი, ყოველივე მოასწავებდა იმისს გულის მფოთვისა; — მაგრამ უეცრად თავი მოიდრიკა, წკეპლა მისს დაუშვა და

მიიხრა:

— მაშ მომიკვდით! — იმავ წამს გარდაჰკრა ცხენს წკეპლა და ქარივით გამშორდა.

მას აქეთ აღარსად მინახავს.

30. ივლისი.

საეჭვოთ მრიცხუწლობა (*) იგ არის დროს არ გაცრუვდება, როგორც მაშინ, როდესაც ქალის ფიქრსა და გრძნობას ანგარიშობს. რა მაფიქრებინებდა, რომ რაკი მე და მადმუაზელ მარგერიტას

(*) მრავალს ბოდიშს ვიხდი შენ წინაშე, გულითად საყვარელო ჩემო თეიმურაზ; მაგრამ ცოცხალეენს განმარტებაში აქაც უნდა შევიდეთ. რა როგორ დასჭირდება კაცსა ვინ იცის: იქნება ჩუენც დავჭირდეს როდისმე ქართული ლაპარაკი ისეთს საგანზედ, რომელზედაც ასლა თუ არ უცხოს განზედ, არ ვლაპარაკობთ. Le calcul des probabilités; Теорія вѣроятностей უნდა ქართულად გამოვსთქუათ როგორმე. — მატემატიკის შემეცნებით ორგუარი რამ სათვლელი არის, რომ კაცს შეუძლია გამოანგარიშება: სარწმუნოთ მრიცხუწლობა, ესე იგი

ისეთი შეჴრიალება მოგვივიდა, ადვილადლა შეიძლე-
ბოდა ჩუენგან ერთმანეთის ნახვა; და ორი დღე
ისე გავატარე, რომ სასახლეში ფეხი არ შემიდ-
გამს; ეს მოკლე დრო არც კი იკმარებს, რომ

---

ისეთის რისამე თქმა, რომ უეჭუელია არის
ქუეყანაზედა, უეჭუელია არსებობს; მაგალითად:
ფული; ხალხი; ცხოვარი; სტ-ლ-ს; ავერი; ზომა
სივრცისა, სიღრმისა, სიგანისა, სიმაღლისა, სიზ-
ქისა და სხუა და სხუა,—ანუ ანგარიში ისეთისა
რისამე მნიშვნელობისა, რომელიცა თუმცა ჭკუით
მიუწდომელია, თვალით უხილავი, მაგრამ
კაცობრივს გონიერებას კი გამოსაზღურულიცა
აქუს და დაყოფილიცა,—მაგალითად-დრო.—ერთს
საქმეს რომ ერთი საათი დრო დასჭირდებოდეს,
ასი ათასს სწორედ ამისთანას საქმეს რამდენი წე-
ლიწადი, თთუე, კვირა, დღე და საათი მოუნდება,
ამას მეცნიერი სარწმუნოდ გამოიანგარიშებს. ეს
ანგარიში იყო, რომ 1850-ში ვარსკულავთ მრი-
ცხუელებმა ჰსთქუეს—მომავალს წელიწადს ამა
და ამ დღეს, ამა და ამ საათზედ მზე დაბნელდება
და ამდენს ხანს გასწევს იმისი ბნელად ყოფნაო;
ამ ანგარიშით არის, რომ კოპერნიკმა.. მაგრამ
საღამდის მიჴყავს ადამიანის გონება ამ სარწმუნოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან თავისი ამაყი გული დაიმშვიდოს მეთქი, ასე ვფიქრობდი; მაგრამ გუშინ დილაზედ ჩემს კოშკში

ანგარიშსა, — ამაზედ ლაპარაკის ადგილი აქ არ არის.

2-დ საეჭვროთ მრიცსუწლობა, ესე იგი ისეთისა რისამე თუქლა, რომ არ ვიცით არის თუ არა, მაგრამ შეიძლებაკი რომ იყოს, ან ყოფილიყოს, ან იქნეს; — ისეთისა რისამე ანგარიში, რომ ჰსთქუას კაცმა, დასაეჭვრიაო; მაგალითად: მე და შენ ვიცით გარემოება სწორედ 30 საქმისა. აქ, თუ სხუაგან სასამართლოებში რომ უწარმოებიათ; ეს ოც და ათივე საქმე, ერთი ერთმანერთზედ ანგარიშით ზედ-შესმით, წარმოებაში ყოფილან 90 წელიწადს და ოცი იმათგანი სამართლიანათ გადაწყვეტილა, ათი უსამართლოთ. ახლა რომ დაგვჭირდეს რის-თვისმე გამოანგარიშება, 12 სხუა საქმე რამდენს ხან გასწევს და როგორ გადაწყდებაო, ვიტყვით, ეს თორმეტი საქმე უნდა გადაწყდეს ოც და თე-ქუსმეტს წელიწადზედ, რვა სამართლიანათ გადა-წყდეს და ოთხი უსამართლოთ. სამართლის ქება დიდი არ არის ესა, მაგრამ მაგალითი წინ გვი-ძევს. ამ გუარს ანგარიშს თავისი განსაზღვრება აქუს. ამისი გზაც ასე შორს მიდის, რომა, რო-

რომ ფანჯარასთან ვსაქმობდი, ჩემი სახელი მოესმა, სწორეთ ის ხმა მეძახდა, დაუძინებელ მტრათ გადაქცეული რომ მეგონა, და მტრობის მაგიერად კი ახლა თითქო მეგობრობას მოასწავებდა.

—უფალო ოდიო! შინა ხარით თუ არა?

წამოვჰხტი მაშინვე და რომ გადავხედე, მადმუაზელ მარგერიტა დავინახე, ნავით მოსულიყო, ნავი ნაპირზედ მიეყენებინა, თავისს თავსახურავსა ჰბერტყედა დილის ცვარით დანამულსა და ჩემსკენ იყურებოდა.

—აქ გახლავარ, მადმუაზელ,—მიუგე იმავ წამს.

---

გორც სარწმუნოთა ანგარიშმა მზის დაბნელება ერთის წლის წინათ შეგვატყობინა, ისე საჯეროთა ანგარიში, ესა და ეს მოჰხდებაო, ხან და ხან შეუცთომელად გამოგვაცნობინებს; და უფრო კი პირველ ვაჭრის ანგარიშის წასახმარებელია.—ეს არის ის ანგარიში, რომელსაცა ჰქვა ფრანცუზულად: Le Calcul des probabilités; რუსულად: **Теорія вѣроятностей.** ახლა ქართულად ამისი დასახელება, როგორც მე ვასახელებ, ივარგებს თუ არა, ქართველების ნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არ წამოხვალთ, არ გამოისეირნებთ?

ორ დღეს რომ ისე მწუხარეთ ვიყავი და ახლა რომ ეს ვნახე და გავიგონე, სიზმარშიკი არ ვიყო მეთქი, ვიფიქრე და ვჰკითხე:

—როგორა, მადმუაზელ!... რასა ბძანებთ?

—ვინდათ გამოისეირნოთ თუ არა ჩუჱნთანა: მე ვარ, ალენ და მერვენი.

—დიაღ, როგორ არა, მადმუაზელ!

—მაშ ალბომიც (*) თან წამოიღეთ.

ჩავირბინე მაშინვე და მივედ.—დღეს კარგს გუნებაზედა ყოფილხართ, როგორც ვეტყობათო,—მითხრა ღიმილით.

მე რაღაც წავიბუტბუტე, ვითამ ყოველთჳს კარგს გუნებაზედა ვარ მეთქი, გადავჰხტი ნავში და გვერთ მოუჯდე მადმუაზელს.

—აბა, მოუსვთ ახლაო,—უბძანა ალენს და ეს ალენიც, აქაო და მენავეობა კარგათ ვიციო, მოჰ-ყვა ნიჩბების სმასა და ქნევასა: კაცს რომ მო-რიდამ ეყურებინა, მერა არის, აფრენსა ცდილობს და ვერ მოუხერხებიაო, იტყოდა.—მერე მე მო-მიბრუნდა მადმუაზელ მარგერიტა და მითხრა:

—მე რომ არ მოვსულვიყავი და თქუჱნის

(*) სამხატურო რვეული.

შეკეტილის კოშკიდამ არ გამომეყვანეთ, თქუჱნ ხომ თვითან არ გამოსვლოდით; ეს ორი დღეა რაც იბუცებით.

—მადმუაზელ, მე გარწმუნებთ, რომ თქუჱნი პატივისცემა.... თქუჱნი რიდი რომ....

—ახა ღმერთო! რის პატივისცემა, რის რიდი!... იბუცებით და ეს არის. ცხადია, ჩუჱნა გჯობნებივართ. დედაჩემი აზნობს, და რაცგამ აზნობს მაგლენი არა გამეგებარა,—რომ ვითამ დიდის გაუფთხილებით უნდა გვეკიდებოდეთ. მოწიწებით თავის მოდრეკა დამაბარა თქუჱნ წინაშე და აჰა, მომიდრეკია.

—რასაკვრველია გულითადის მადლობის გამოცხადება აღარ დაუგვანე.

საქმეს ბარემ შესრულებაც უნდა მეთქი, ვჰსთქვ და ისეთი რამ ადგილ-მდებარეობა მინდა გაჩუჱნოთ, რომ თქუჱნებურს სურვილს შეეფერებოდეს: ჯერ ეს მშუჱნიერი ზაფხულის დილა, მერე ეს ტყე, შიგ პატარ-პატარა მწუანობი მინდურები; აქ სინათლე, იქ სიბნელე; ეს ფრინველების ჭიკჭიკი და ესეც ნავი, ამ ბუნებითს ტალავარში რომ საიდუმლოთ მიჰსცურავს... ხომ გიყვართ ამისთანა სანახავები და კმაყოფილი უნდა იყოთ.

—მშუჱნიერებაა მადმუაზელ!

—აკი ვჰსთქვ.

მართლად რომ კმაყოფილი ვიყავი: წყალს რომ მივსდევდით, ნაპირზედ ახალი მოთიბულის თივის ბულულები ეწყო და ჰაერი გავსილი იყო საამო სუნნელებითა; აქეთ-იქით დიდრონი ხეები თითქო უკან გარბოდნენ და ხან უცხარის სინათლით გაგვანათებდნენ, ხან ისევ ჩრდილში გაგვახჳევდნენ; ათას ნაირი ბუზი და ფუტკარი ყვავილებზედ დაჰფრინავდნენ და მხიარულად ჰზუზუნებდნენ. ნაპირებზედ აქა-იქა მომდგარი გძელ რქიანი ძროხები შეფისხმოდნენ და გარბოდნენ; ალენი ყოველს ნიჩბის მოსმაზედ შემომხედავდა ღიმილითა და რაღაც ნაირის მფარველობის სახითა, თითქო სადაც მე ვარ, იქ ნურას ინაღვლიო; უფრო ახლო მადმუაზელ, თავისის ჩჳეულების წინააღმდეგად სულ თეთრით მოსილი, მშჳენიერი, მიმცაცებლად ალყჳავებული, ნარნარის ჴელით თავისის თავსახურავის ლენცებს ცჳარისაგან იბერტყდა და მეორეს ჴელით მერვენს ეთამაშებოდა, ცურვით რომ მოგვდევდა თანა.—დიდი თხოვნა არავის დასჭირდებოდა ჩემთან, რომ ქჳეყნის დასასრულამდინ ასე მევლო ამ პაწარა ნავით, ოღონდკი ამავე მდგომარეობაში ვჰყოფილვიყავი.

ტყეს რომ გავსცდით, მკითხა მადმუაზელ

მარგერიტამ:—სად მიმყავხართ, რატომ ამას მაინც არა მკითხავთ.

—არა, არა, მადმუაზელ! ჩემთჳს სულ ერთია, სადაც უნდა მიგყავდეთ.

—ფერიების ქუეყანაში მიმყავხართ.

—აგრე მგონია.

—მადმუაზელ ჭყლუენი რომ ამისთანას საქ-მეებში უფრო დახელოვნებული არის, ის ხომ გეტყოდათ, რომ რასაც აქ თითქმის ოთხმოცი ვერსტის სივრცეზედ ტყესა ჰხედავთ, ეს იმ ბრო-სელიანდის დანაშთენი ტყვერია, სადაც თქვენის მეგობრის მადმუაზელ პორჭოეს წინაპართ თურმე უნადირნიათ გველის მპყრობელთა და სადაც ამ მერ-ვენის პაპისპაპა მოუჯადოებია, თჳთან გამოჩინე-ბული ჯადობაზი, ერთის ვიღასაც ქალსა, საკვლად ვივიანეს. პატარახანს უკან მიგ შუაგულ ამ ტყვე-ში შევალთ. და თუ ეს არ იკმარებს, რომ თქვენ-მა ფიქრმა მაღლა აღგიტაცოთ, იცოდეთ რომ ამ ტყეში ათასნაირი გზა არის მეწლებურის კელ-ტების სარწმუნოებისა, სულ ქჳთ დაფენილი და ადვილად შეგიძლიათ ფიქრით გამოისახოთ ყოველს ხეს ქუეშ თჳთო დრუიდი, თეთრით მოსილი, და თითქმის ესეც წარმოიდგინოთ, ვითამ ოქროთ დაფერილს ცელებს ახლაც აპრიალებდნენ მუხზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი იმათი სალოცავის ღანამთაც არის აქა; ვ-ფიქრობ, რომ იმისი გადაცემა თქუენთვის ძალიან სასიამოვნო იქნება და რადგან მიგნება ადვილი არ არის, ვჰსთქვ, მე მიუძლურები ძეთქი და მიეძლურებით იდეს, თუ ერთს პირობას მომცემთ, რომ არ დამაყრუოთ თქუენის აღტაცებულის აჰითა და ოჰითა, ეს რა მშუენიერება ვნახეო, ეს რა საკვირველებაო და სხვანი და სხვანი; ამნაირის სიხარულისას მე სულ ვერაფერს გავიგებ.

— ეგრე იყოს, მადმუაზელ! ჩუმათ ვიქნები.

— ძალიან გიხოვთ.

— ბატონი ბძანდებით. სახელად რას არქმევთ ამ სახსენებელსა?

— მე სახელად ვარქმევ მსხვლი ქუაბის ვროგას, სხვას არაფერსა; — ანტიკუარნი (*) ზოგნი ამბობენ ღოლმენი არისო; ზოგნი — კრომლექიო; ხალხში კი მიუგდითს ეძახიან და რატომ ეძახიან, არა ვიცი. —

შევედით ხეობაში. პატარახანს უკან რაღაც ყრუ და განუწყუეტელი გრგვინუა მოგვესმა, თითქო კლდიდამ გადავარდნილს მდინარის ხმოვანებაო; ხეობაც ისე შეიწროვდა, რომ მეტი აღარ იქნე-

(*) ძუელებურის საქმეების გამომეძიებელნი.

ზა; მარცხენეს მხარეზედ აღიმართებოდა სულ ფი-ქალი კლდე; მეხსა და ნამჳ, ხავსიანებით და სუ-როებით გადაბმულ-გადმობმულნი, შეჰყვებოდნენ მარჯვენეს მხრიდამ სულ მაღლა იხემამდინ და იქიდამ გამოკიდებულნი აჩრდილობდნენ ამ მდი-ნარესა, რომელიც თითქო ძირს ურეცხდა აქეთს კლდესაცა და იქითს მაღლობსაცა; ჩვენ წინ ორას ან სამასიოდ ნაბიჯზედ სულ აქაფებული იყო ეს მდინარე და თითქო იქავე ჰქრებოდაო, რომ იმას იქით აღარა ჩნდა.—

—ახლა მარჯვენივ! მიიხედე, მიიხედე! —უბძა-ნა ალექს მადმუაზელმა და მანამდისინ ალეგნი ნავს ნაპირის სეზედ აბამდა,—მსუბუქათ გადასცა მეჩუ-ნეზედა და მკითხა:—აბა, ახლა როგორა ხართ, უფალო! ჯერ კიდევაც არ წაქცეულ ხართ, არ გაშეშებულხართ,—გულს არ შემოგყრიათ სიამოვ-ნებითა? ანბობენკი, საკურველი რამ სანახავი არის ეს ადგილიო. მე იმიტომ მომწონს, რომ გრი-ლა აქა. მამ ახლა თან წამომყევით,—თუ რომ გეჰბედავთ,—და იმ საკელოვანს ქვების გროვასაც გაჩვენებთ.

ისე მხიარულად და ისე მარდად არას დროს არ მინახავს, როგორც ახლა იყო მადმუაზელ მარ-გერიტა. ჩაუარა მინდორი ორის გადაფრენით

გადიარა და შევიდა ზქელს ტყეში. ისეთი ხშირი იყო ეს ტყე და ისეთ ნაირათ დაწნული, რომ კაცი თუ ამას გაატანსო, ვერავინ იტყოდა; მაგრამ ქალიკი მალიან ადვილად მიუძღოდა და მე და ალენს სწორეთ გვიჭირდა საქმე. როგორც იყო მივატანეთ დაკაწრულებმა ერთს პატარა სინათლეს; ცოტაოდენი ადგილი იყო მოვაკებული და ეტყო-ბოდა, რომ მთის წჳერიც ეს იყო. ერთი უშჳე-ლებელი პრტყელი ქჳა დავინახე, ხუთსა თუ ექჳსს სჳეტზედ მდებარე და წყჳდიადის ტალავარის და-მჳცემი; უეჭჳელია, მსხჳერპლის შეწირვა აქ ექნე-ბოდათ ძჳელს წარმართებსა. ამ ნაშენმა და ამ ტალავარმა ძჳელებურის დროების ზღაპარ-სიტყჳა-ობითი მოთხრობა თითქმის განაცოცხლა და თვალ წინ წარმოგჳყენა მაშინდელი ჩჳეულება სულის შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელი. მადმუაზელ მარგერიტაც რომ დაფიქრებული შეჰყურებდა ამ რამდენსამე საუკუნოებაში თავდანებებულს და მი-ვიწყებულს სალოცავს,—მე შიგ შეველ დავათვა-ლიერე ყოველივე, გამოველ ისევ გარეთ და სა-ტყჳას მივჰყევ კჳლა. ნახევარ საათს ამ საქმეში ისე ვიყავ გართული, რომ ჩემს გარემემო რა იყო, რა არა, არარა გამეგებოდარა; ამ დროს მადმუაზელ მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— არ გინდათ, ერთი ველლედაც (*) გაჩნდეს აქა, რომ თქჳენ მსახურობაში სულიერიც იყოს ვინმე? — მაშინ ავიხედე და დავინახე: ამ ქალს მუხის ფოთლების გვირგვინი ედგა თავზედ და თითქო სალოცავად გამზადებული ველლედათ, სწორედ ისე გამომეცხადა. მივიდა და სალოცავის კარის ბჭეზედ დადგა გარშემო რომ ჩრდილი იყო გახშირებული და მზის შუქი არსაიდამ მოდიოდა, იმისი თეთრი ტანისამოსი ისე მეჩჳენებოდა, თითქო მარმარილოს ქჳსაგან ყოფილიყოს ეს მლოცავი გამოქანდაკებულიო; საკვირვლად ჰმშჳენოდა და დარწმუნებული ვიყავ, თჳთონაცა იცოდა ესა. ისე შევჰყურებდი, რომ სათქმელი სიტყჳა ვეღარა მოვახერხერა და თჳთან მითხრა: — თუ გიშლით ჩამოვდგები. — არა, ღჳთის გულისათჳს არა! — მაშ რაღას უყურებთ? ალენიც აქ დააყენეთ, ეს ვითამ ბერი იქნება იმათებური და მე მოლოზანი. — სწორედ ოცნებასა ჰგავდა, რასაც ვჰხედავდი, მაგრამ ჩემს მსახურობაში კარგათ გამოვიდა. რომ გავათავე, მომისლოვდა მარცერიცა და დაჰხედა მსახურობას.

---

(*) ველლედა — ქალი მსხუერპლის შემწირველი, ამ სალოცავის მსახურებად შემდგარი.

—ჰო, გვარიანათ გამოსულაო, ჰსთქვა. მერე მოიგლიჯა თავისი გვრგვნი, იქით გადააგდო და მითხრა: ახლაც იტყვო, რომ ბოროტი ვიყო?— არას დროს არ ვიტყვ მეთქი, მიუგე და რომ მკითხა, თითქმის ამასაც ვიტყოდი, არცკი და-შვენების სურვილი გქონებიათ მეთქი, მაგრამ აღარ უთხარი: რაღა ქალი იქნებოდა, რომ ეს სურვილი არა ჰქონიყო. მითოლოგიით რომ ღმერ-თების ანბავს მოგვითხრობენ, ან ისინი რის ღმერ თები იქნებოდნენ, უკვდავებას გარდა რომ ცოტა-ოდენი თავის მოწონების სურვილიც არა ჰქონ-იყოთ.

გამობრუნებულნი ერთს ბილიკს დავადექით და ჩამოვედით ისევ წყლის პირს:—აქედამ ისე ნუ წავალთ, ეს წყალი რომ კლდიდამ ძირს ეცემა ისიც არა გვნახოთ. ეს ჩემთვისაც კი ცოტა გასარ-თობი იქნება. მერვენ აქეთ, მერვენ! კარგი მაღ-ლი ხარი განა! აბა აქეთ!—

პატარა გავიარეთ და იმ ადგილს წავადექით, საიდამაც მდინარე ძირს ეშვებოდა რამდენისამე მწვერთის სიმაღლიდამა და გრიალით არე_მარეს აყრუებდა. დაბლა გარეშემოზღუდვილი ტბა იყო, ღრმა და მარად აღელვებული, რომელშიაც ეს მდინარე ზეიდამ ვარდებოდა; გარს სულ მწვანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერდობები ევლო, მაგრამ ნაპირები კლდის ქუწ-ბითა და ლოდებითა ჰქონდა მოფენილი და მზეს იმათი გამოშრობის მალა აღარა ჰქონდა; რადგან შხეფი ზედ დასდიოდათ მოუწყუეტლად. ამ ცხიდამ აქა-იქ თუ გაჰყონავდა ეს წყალი, თორემ გასავალი არა ეტყობოდარა; მაგრამ ცოტა მოშორებით ისევ იმავე მდინარედ მიდიოდა.

—ეს მართალია, ნიაგარა (*) არ არის,— მითხრა მადმუაზელ მარგერიტამ ხმის ამაღლებით რომ ამ წყლის გრგვინვაში სიტყუა გაეგონებინა;— მაგრამ გამოცდილის კაცებისაგან გამიგონია, რომ ესეც კარგი რამ სანახავი არისო. თქუენც ხომ მოგწონთ? კარგი და პატიოსანი. ახლა იმედი მაქუს, რომ რაც აქ გვკვრით და რასაც შეჰხარით ცოტა ჩემს მერვენსაც წილს დაუდებთ. მერვენ აქეთ!—

(*) ნიაგარა, როგორც მოგეხსენებათ, ამერიკაში რომ ერთი საკვირველი წყლის-კუწთება არის იმას ჰქვია, მთელი დიდი მდინარე რომ კლდიდამ მირს ეკუწთება და თითქმის ოთხმოცს ვერსტზედ რომ ისმის იმისი ხმოვანება. საკვირველი რამ სანახავი თურმე არის და მრავალნი ვანვებ მიდიან იმის სანახავათ.

ტერრა-ნოველი მალი მივიდა თავისს პატრონთან და თრთოლით შეჭყურებდა, რას მიბძანებსო. მაშინ ქალბატონმა თავისი თეთრი კელსახოცი დაგრიხა, დაამრგვალა, და წყალში გადისროლა, სადაც მდინარე გადასავარდნელს კლდეს უახლოვდებოდა. თითქო ლოდი რამ ჩავარდა წყალშიო, მერვენმაც იმავ წამს შიგ ტყაპანი გაიდინა და გამოეკიდა კელსახოცს. როგორც მშვილდისაგან მოსხლეტილი ისარი, ისე გააქროლა კელსახოცი დაქანებულმა მდინარემ და ის იყო, კლდესაც მიატანა და მერვენმაც სტაცა კბილი. გამობრუნდა გამარჯვებული და მშჳდობით გამოვიდა ნაპირზედ. მადმუაზელ მარგერიტა მიეფერა ტაშის ცემით და ქებით. ახლა მეორეთ, ახლა მესამეთ, მეოთხეთ და მეხუთეთ თუ მეექვსეთ რომ გადისროლა კელსახოცი, არ ვიცი დაღალულობისაგან დაემართა თუ თვალი მალე ვერ შეასწრო, მერვენს ერთი წუთი დააგჳანდა და კელსახოცი შეიტანა წყალმა მკლოვანს რალასაც ბალახებში, ზედ იმ გადასავარდნელს კლდესთან რომ წყალს ზევით მოჩანდნენ. მერვენიც თან შეჭყვა და აგერ გამობრუნდებაო რომ ვამბობდით, გამობრუნდა, მაგრამ კელსახოცს თავი დაანება, გაფაციცებული ტოტებს იქავე აპარტყუალებდა, — და ჩუენ შემოგვყურებდა სამ-

წუხარო ყეფითა და წუწუნით.

— ახ ღმერთო! ეს რა ემართებათ, იკივლა მადმუაზელმა.

— უთუოთ ბალახებში გაება როგორმე; დააღწევს თავსა, ფიქრი ნუ გაქვსთ.

მაგრამ ცხადი იყო, რომ ველარ აღწევდა თავსა; იმედი აღარ იყო, რომ გამოსულიყო როგორმე; ბალახებში რომ გაება, ამას გარდა მდინარის ქაფი ზედ თავზედ გადასდიოდა და თვალით აღარ ახედებდა. თჳთქმის უძრავადღა დარჩა საწყალი პირუტყჳ; ეტყობოდა რომ უფრო და უფრო გაეხჳა დახლართულს ბალახებში და ბოლოს ისეთს ყმუილს მოჰყვა, რომ კაცს გულს უკლავდა. მაშინ კელი წამავლო მადმუაზელ მარგერიტამ და თჳთქმის ყურში წამომჩურჩულა საზარლად ფერ გადაკრულმა:

— დაირჩო ეს არის... წავიდეთ... წავიდეთ აქედამ...

შევჴედე, შესაბრალებლად იყო გამოხატული იმის სახეზედ მწუხარება, სიბრალული და მისი; თვალები ცრემლებით ჰქონდა ავსილი.

— იქამდინ ნავის ჩამოტანა ყოვლად შეუძლებელი არის მეთქი, მე უთხარი; — მაგრამ, თუ ნებას მომცემთ, ცურვა ვიცი ცოტათ და მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიყვან ამ უფალს.

— არა, არა! მაგას ნუ იფიქრებთ... ძალიან შორს არის აქედამ... და წყალიც ძალიან ღრმა არისო ამბობენ; მეტადრე იქ არის თურმე ძალიან საშიში.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მადმუაზელ! არა მო-შავსრა. გავიძრე მაშინვე ზევითი საცმელი, ზა-ლისზედ მივაგდე და შევსცურე წყალში იმ ანგა-რიშით, რომ გადასავარდნელს ადგილს არ დავა-ხლოვებულიყავი. ძალიან ღრმა იყო მართლათ,— მეტადრე საწყალს მერვენს რომ მივატანე, ფეხი სულ ვეღარ მოვიკიდე. არ ვიცი ძალაკი ყოფი-ლა რამე იქა, რომ მდინარეს დაურღუწვია, თუ ბალახოვანი მიწის ანაგლეჯები ჩამოუტანია წყალსა და იქ შეუყენებია როგორმე, მაგრამ რაღაც რამ კი არის ისეთი, რომ ეკლოვანი ბალახებით და ბუჩქებით არის ეს ადგილი სავსე და ფესვები აქვს რაღაზედაც მოკიდებული, ერთი ერთმანერთში დახლართული, გადაბმულ-გადმობმული. რაღასაც რაცრის მოვჭკიდე ფეხი, რომელზედაც ბუჩქი იყო წყალში შემდგარი და გამოვიხსენ მერვენი. რა რომ განთავისუფლდა, ყოველივე ღონე თი-თქო ხელახლად მიეცათ, მაშინვე ნაპირისაკენ მოუსვა და მეკი იქ მივანება თავი. რაც ძალის

ერთგულების სახელი აქვს განთქმული, ეს საქ-
ციელი დიდ არ მკადრებს იმ სახელსა; მაგრამ
კაცებშია დიდსანს ნამყოფი და მგონია ცოცხალნი
ფილოსოფოსობაცკი ამიტომ დასწავლებია ამ ბაციო-
სანს მერვენსა: მეკი თავი დავაღწიო და სხვამ
რაც ერჩიოს ისა ჰქნასო. მეც რომ დავაპირე,
მერვენს გამოვეკიდები მეთქი, შევატყე, რომ
ახლა მე ვიყავ დაბმული: თითქო ბაწრებითა
მქონდა ფეხები დასლართული, ისე მომდებიყო
ბალახის ფესვები და ეკლოვანი ცოცხები. ერთი
მუხლი გამოკრულივით მქონდა და ვატყობდი,
ცუცქვილიდა ძრომა მომდიოდა, რომ გამოხსნას
გაპირებდი. ღრმა წყალში რომ კაცი იყოს და
რასაც ფესი მოჰკიდოს, არა უმაგრდებოდესრა,
ყოველგან უსხლტებოდეს, რაღა გონება უნდა
შეჰრჩეს იქა, მეცადე როდესაც აქაფებული მდი-
ნარე თავპირზედ დასდის და თვალის ახელის სა-
შუალს არარ აძლევს. თქმა არარ უნდა, დიდ
ცუდს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მეჰხელე
როგორც იყო, ნაპირს. მადმუაზელ მარგერიტა
ალენს დამოჰკიდებიყო მხარზედ და გადმომყურებდა
სულშეგუბებული, ნაცრის ფეროვანი, თითქმის
უსულო და უგონო. ვჰსთქვ ჩემს გუნებაში, რა
მენაღვლება, ჩემი ბედკრული სიცოცხლე აქ დას-

რულდეს და ამისმა მშვენიერმა თვალებმა დამი-ცრიოს მეთქი, მაგრამ განვაგდე მაშინვე ეს სულმოკლეობის ფიქრი;—რაც რამ ღონე გამა-ჩნდა დავიქნიე დაბმული მუსლი, მსლათველი ბა-ლასები დავჭგლიჯე, დაფხრეწილი თეთრი ქალ-სახოცი კისერზედ შემოვიგდე და გამოველ რო-გორც იყო ნაპირზედ.

მადმუაზელ მარგერიტამ თავისი ათრთოლე-ბული ქალი მომაშველა.

—რა უგუნურებაა, რა უგუნურებაა აგრე თავის გაწირვა; მერე რისთვის,—ერთი მალლისგულისა-თვის,—მითხრა.

—ეს მალლი თქვენი იყო მეთქი, მეც ისე დაბლა უთხარი, როგორც ის მეუბნებოდა; თითქო აწყინაო ეს სიტყუა, გამომტაცა თავისი ქალი, მოუბრუნდა მერვენს და დაუწყო წკეპლით ცემა:— შე საძაგელო, შე სულელო პირუტყვო!...

მე ბალახზედ ვიდექი და სულ წყაროები მდი-ოდა: რომ არ ვიცოდი რა მექნა, გამომიბრუნდა მადმუაზელ მარგერიტა და ტკბილის ხმით მითხრა:

«უფალო მაქსიმე, თქვენ ნავში ჩაბმანდით და როგორც შეგეძლოთ ისე ჩქარა იარეთ, რომ გაცვეთ როგორმე ნიჩბების ხმარებითა. მე და ალუნი ცურვით მოვალთ, გზა ასე უფრო მოკლეა.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მომეწონა ეს ფიქრი, გამოვეთხოვე, მეორეთ შევხვე კიდევ მერვენის პატრონის ქალსა და ნავში გადავჰსხდი.

შინ რომ მიველ და ტანისამოსს ვიცვლიდი, გამიკვირდა, პატარა დაგლეჯილი ქალსახოცი რომ თან გამომყოლიყო. სრულებით აღარ მომგონებია, რომ პატრონისათვის მიმეცა. ახლა იმას ხომ მაინც დაკარგული ჰქონია, და მე დამრჩეს მეთქი, ვჰსთქვ, ამ დასველების და განსაცდელის მოსაგონებლათა მეთქი.

საღამოზედ წავედ სასახლეში. მადმუაზელ მარგერიტა იმავე ამაყის სახით დამხვდა, წარბშეკრული და ცხვირ-აწეული. ჩუმჩულება რომ იყო იმისი და გასაოცრათ რომ ეწინააღმდეგებოდა დილანდელს იმისს მხიარულებასა და გულკეთილობას. სადილათ რომ ვისხედით, უფალი ბევალლანიც იქ იყო და მადმუაზელი თვითან მოჰყვა დღევანდელის მგზავრობის ამბავსა, ვითამც დასაფარავი სულ არა ყოფილიყო და თავის მერვენს რომ მრავალი ქება შეასხა, ჩემი სრულიად არა ჰსთქუარა, მე თუ მაფთხილებდა ამითი, რომ მე არა წამომცდენიყო რა, — ძალიან შემცთარი იყო, ამიტომ რომ ტრაბასი ჩემი თვისება არ არის. — ამ მოთხრობაში ბევალლანმა დაგვაჯერა თავისის

გულშემატკივრობის ყვირილით.—როგორ! მად მუაზელ მარგერიტა ასე შეწუხებული იყოს სადმე, საწყალი მერვენი ასეთ საშინელს განსაცდელში მგულებოდეს და მე, ბევალანი, იქ არსად ვიყო! ოჰ! თავი ცოცხალი რაღათ უნდა მინდოდეს! ბარემ ჩამომარჩონ ის ემჯობინება!—იმისი ჩამომხსნელი რომ ჩემს მეტი ქვეყანაზედ აღარავინ იქნებოდეს, დამიჯერეთ არ ავჩქარდებოდით წამომელაპარაკა ალენი, შინ რომ გამომყვა გამოსაცილებლად.

გუშინდელი დღე ისე მხიარულათ არ გათენებია, როგორც გუშინწინდელი. დილაზედ ადრე მადრიცკიდამ მოსული წიგნი შემომიტანეს, მწერდნენ, მადმუაზელ პორჭოეს გამოუცხადეთ, იმედი სრულიად აღარა არისრა, რომ საქმე კეთილად დაბოლოვდესო. იქაური ვექილი მწერს, მაგდენი იმედი აღარც მოდავეს აქვსო, რადგან თჳთან მმართებლობამ აცქვცა ყურები ამ მილიონებზედა და ახლა კელმწიფის საზინა წამოედავა, უცხო კაცის დანაშთი ბეითალმანი არის და კელმწიფეს უნდა ეკუთვნოდესო.—ვჭსთქვ ახლაც ჩემს გუნებაში, რომ კაცმოყვარების გულით უნდა დაუმალოთ ეს ამბავი ჩემს მოხუცებულს მეგობარსა მეთქი; მაგრამ მადამ ლაროკსაც დავეკითხები მეთქი და ნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუადღევს წაველ სასახლეში, არათუ მომიწონა ჩემი ფიქრი, ქება და მადლობაც ისეთი მითხრა ჩემის განზრახვისა, რომ არ ვიცოდი, რისთვის მეუბნებოდა. მეტადრე მაშინ უფრო გავჰკვრდი, როდესაც მითხრა: ახლა დრო არის განვიცხადოთ უფალო, რომ უგულითადესათ გმადლობთ ყოვე-ლის თქუენის მზრუნველობისათვს; მე იქამდისინ შევეჩვე თქუენს ყურადღებასა და თქუენს პატიოსნებასა, რომ ნეტავი შეიძლებოდეს,—თქუენთან კი ბოდიშს ვიხდი, რადგან ეს ჩემი სურვილი თქუენსას ვიცი არ ეთანხმება,—მაგრამ ნეტავი შეიძლებოდეს, რომ სამარადისოდ ასე განუშორებ-ლად ვიქნებოდეთ.... ღმერთსა ვჰსთხოვ, მხურ-ვალეს გულით ყოველივე სასწაული მომივლინოს რაცკი ამ ჩემის სურვილის აღსასრულებლად საჭირო იქნება.... რადგან თუ არ სასწაულით, არ შეიძლება, ვიცი.»

რა აზრით იყო ეს მხურვალე ლაპარაკი, სულ ვერა გავიგერა, მაგრამ, რაც შეიძლებოდა, მადლო-ბა მოვახსენე ამ ჩინებულს დედაკაცსა და გამოველ გარეთ, პატარა მივიარ_მოვიარო, გული გავაყო-ლო რასმე მეთქი.—

დაფიქრებულმა ვიარე რამდენიმე ხანი, საათი თუ მეტი, არ ვიცი და სადაც გუშინ მერვენი და

მე ცურვას ვვარჯიშობდით, სწორედ იმავე ადგილს წავედი. სულ ფიქრათ არა მქონია იქ მისვლა, მაგრამ ასეკი დამემართა. ჩამოვჯექ ერთს ჯირკზედ და ამ მარტოობაში თვალწინ წამოვიყენე გუშინდელი ჩუენი სეირნობა, მოქმედება, ლაპარაკი და მივანებე თავი ფიქრებსა.—ვჰგრძნობდი, რომ გუშინდელი ჩემი სიამოვნება საკვირველის თჳსებისა იყო; მეორეთაც რომ შემხვდეს როგორმე ისეთივე საქმე, არა მგონია ისე გულის დამატკობელი იქნებოდეს: ეს რაღაც რამ მოულოდნელი იყო და, სწორე უნდა ვჰსთქვათ, უმანკოებითი. ან რა წარმატება უნდა მიეცეს ამ გულის ტრფიალებასა, ჩემის სიყმაწვილის გამამხიარულებელსა და გამაბრწყინვებელსა? რაც გუშინ იყო, იყო და გათავდა. სულ ერთი თავი იყო ჩემის რომანისა. ერთი ფურცელი; ამოვიკითხე კიდეცა და გავათავე. დიდებულადკი იყო დამატკბობელი ის ერთი საათი, ის ერთი ჩემის ტრფიალების საათი, რომ არ მიფიქრნია, არ მიანგარიშნია, მოლოდინი არა მქონია; და ტრფიალების სახელიც მაშინ დავარქვ იმ საათსა, რომელსაც სიმთვრალისაგან გამოვჰფხიზლდი, თუმცა ამ დათრობაში მე ბრალი არა მქონიარა. ახლა ჩემი სვნიდისი გამოღვიძებული არის: ამ მღვმარებაშ

ცხადად დამანახვა, რომ ისეთის სიყუარულის გზას დავსდგომივარ, რომელიც ჩემთჳს ყოვლად შეუმლებელი არის, სასაცილო,—უფრო უარესი კიდევა,—უგუნური და დამნაშავეობითი. დრო იყო რომ გონებაზედ მოვსულიყავ და ჩემს თავს ვკითხალიყავი: მე საწყალი, ყოველს საცხოვრებელს მოკლებული, სად ჩემი მდგომარეობა, სად ამ მიუწდომელის ნეტარების იმედი!—

ასე ვარიგებდი ჩემს თავს ამ უდაბურს ადგილსა,—თუმცა ამისთჳს აქ მოსვლა სულაც საჭირო არ იყო,—და ამ ფიქრში რომ ვიყავი, უცებად რაღაც ლაპარაკი მომესმა. წამოვდექ და დავინახე ოთხი თუ ხუთი კაცი ნავიდამ ნაპირზედ გადმოსულიყვნენ და ჩემსკენ მოდიოდნენ. პაცვარა რომ ვაცალე, მადმუაზელ მარგერიტა გიცან, უფროს ბევალიანისათჳს მოეკიდნა ხელი და ისე მოდიოდნენ; თან მოსდევდნენ მადმუაზელ ჟულიენი, მადამ ობრი, ალენი და მერგენი. მდინარის ხმოვანებისაგან იყო, რომ მანამდისინ თჳთქმის ზედ არ წამომადგნენ, ვერა გავიგერა და მალიან მინდოდა გავქცეულიყავ როგორმე, მაგრამ აღარ შეიძლებოდა: ჩემი აქ ყოფნა არავინ გაიკვირა, მადმუაზელ მარგერიტას კი თითქო ეწყინა რომ დამინახა და მალიან ცივად დამიკრა თავი, მე რომ დავუკარ.

უფ. ბევალიანი წყლის პირზედ გადადგა და

დაჰგლეჯდა თავისის აღტაცებულის მხილით: ოჰ! რა მშვენიერებაა?... ოჰ! რა საგანგებო ადგილი ყოფილა..... ოჰ! რა სანახავია!... ყოველ სახის კალამი თუ აწერს ამას; სალვატორ-როზა თუ გამოჰხატავს!...

დასცხრა როგორც იყო და მერე ითხოვა, ანა ერთი ის ადგილი მაჩვენეთ, მერიენი რომ განსაცდელში იყო. ახლა კიდევ მოუყვა მად-მუაზელ მარიეტიკა მერიენის გამარჯვებას და არათუ ჩემი ქალის გამოღება სრულიად არ ახსე-ნა, მერიენს ისე აქებდა, რომ ჩემი მიმშველება სულ საფიქრელიც აღარ იყო. ლაპარაკში ცხადად ეტყობოდა, რომ ჩემი წყენა უნდოდა, თითქო საწულრათა ჰქონდა, რომ გუშინ ისე ლმობიერათ იყო ჩემთანა.

მადმუაზელ ჭილუეგნი და მადამ ობარი ჩაეცივ-დნენ, ერთი დღესაც ვნახოთ ასე ნაქები მერიენის ვარჯიშობაო; უმაწვილმა ქალმა მოისმო მალე და დასწყმული კლოსსტიცი წყალში გადაუგდო. მერ-ვენმა რომ გადაგდებულს თვალი მოჰკრა, თან გადაყოლის მაგიერად წყლის ნაპირს დაჰყვა, ისევ ამოიღკრა, ასლა ისევ ჩაუქროლა, ჰქნა დამაყ-რუებელი ყეფა, მდუოთვა, ერთი ყოფა, ერთი ანბავი; მაგრამ წყალშიკი ფეხიც აღარ დაისხმოდა. ამ გო-ნიერმა მერვენმა ორი საქმე დაამტკიცა ამით: ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ესა, რომ სამინლაოთ ვჰსწუხვარ ქალბატონის ქალსასოცისათვისაო და მერე ესა, რომ მეც კარგი მეხსიერება მაქვსო. ჰსჩანს ამ პირუტყვში გულის თქმაზედ სწორედ გონიერებასა ჰქონია უფლება, რომ მადმუაზელ მარგერიტას აღარც რისხვა გაუ-ვიდა იმასთან და აღარც წყალობა. რამდენს ემუქრა, რამდენს ეხვეწა, არ იქნა, აღარა გაუწყრა; აღა-რას გზით აღარ ანდო იაკი ამ გონიერმა მალემა უგუნურსა, მაგრამ მაცთურს მდინარეს. იმდენის ქების შემდეგომ ასეთი შეურყეველი განდრეკილება მერვენისაგან მართლად სასაცილო რამ იყო; სხვა-ზედ უმეტესი სიცილი მე მერგებოდა, და თუმცა არც მე დამიზოგავს, მაგრამ სხვანი სულ იფხრო-წებოდნენ; მეტი ღონე არ იყო, ბოლოს თვითანაც უნდა გაეცინა.

—სასაცილოა მართლა, მაგრამ მე ეს მეორე ქალსასოცი მეკარგებაო, ჰსთქვა ბოლოს დროს.

—მე მომყნდეთ, მადმუაზელ, უთხრა ბეგალო-ლანმა: ან მე კაცი არა ვჰყოფილვარ, ან ამ ათის მინუტში ის ქალსასოცი თქვენი ქალმოგე იქნება.

ეს რომ ქალმა გაიგონა, ერთი თვალი გადა-მომკრა, თითქო ამას მეუბნებოდა: ნუ გგონიათ, თქვენს გარდა სხვა არავინ იპოვებოდეს ჩვენს თავის გამწირველიო, მერე ბეგალოლანს უპასუხა:—ღვთისგულისათვის, ნუ იქთ მაგისთანა უგუნურე-

ზანა: წყალი ღრმა არის და ძალიან საშიში.... შეცადე იქა.... ერთი ხელსახოცისათვის როგორ უნდა. ..

—ეგ ჩემთვის სულ ერთია, მიუგო ბევალლონმა! თქუენ ნუ გენაღვლებათ. ერთი მითხარით, ალენ! დანა გექნებათ რამე თანა!

—დანა? იკითხა გაოცებულმა მადმუაზელ მარგერიტამ.

—დიაღ, დანა! მაცალეთ, მე მაცალეთ.

—გაცალეთ, მართალია, მაგრამ დანა რათ გინდათ?

—ერთი ჯოხი მინდა გამოვსჭრა.

უმაწვილმა ქალმა შეჰხედა ერთი და უთხრა:—მე მეგონა შეცურვას აპირებდით.

—ოჰ! შეცურვას? უკაცრავათ, მადმუაზელ! ჯერ ერთი ეს რომ, საცურავი ტანისსამოსი არ მაქვს.... მერე ეს, რომ უნდა გამოგიტყდეთ, მე ცურვა სულ არ ვიცი.

—რაკი ცურვა არა გცოდნიათ,—ცივათ მიუგო ქალმა,—საცურავი ტანისსამოსი თუ გინდ გქონიათ თუ გინდ არა, სულ ერთია.

—სწორეთ მართალსა ბძანებთ,—სასაცილო ხიწყნარით მიუგო ბევალლონმა; მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ ინებებთ, რომ მე აქ დავიხრჩო,—განა? თქუენ ხელსახოცის გამოტანა გნებავთ, სხუა ხომ არაფერი?—რა რომ მე ამ ხელსახოცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგართმევთ, თქვენი სურვილიც აღსრულდება; მგონია ასე იყოს.

— მაშ კარგი. წაბძანდით და გამოსძერით თქვენი ჯოხი, უთხრა შევალიანს მადმუაზელ მარგერიტამ.

მაშინ შევიდა შევალიანი ტყეში და მოგვესმა კიდეც იქიდამ რამდენიმე რტოების ლეწა და ჩასაჩუხი. ბოლოს გამოვიდა და გამოიტანა ერთი კარგი გრძელი თხილის ტოტი, ფოთლებს აცლიდა და ჰსწმენდდა.

— მაშ ჯოხით იქით ნაპირს გინდათ გადასწვდეთ თუ, ჰკითხა მადმუაზელ მარგერიტამ, ამასობაში ცოტათ მომხიარულებულმა.

— მაცალეთ, ასა ღმერთო! მე მაცალეთ ერთი. —

აცალეს. გაათავა მზადება თავისს გრძელის ჯოხისა და გასწია ნავისაკენ. მაშინ მივხვდით, რომ ნავით აპირებდა გაღმა გასვლასა, გადასავარდნის ზევითა, და რაკი ერთხელ გაღმა გავიდოდა, ქვესასოცს იქიდამ ჯოხით ადვილად მისწვდებოდა და გაიტანდა. ეს განზრახვა რომ შევატყეთ, ყველამ ერთხმად დაუწუნეს, რადგან, ქალებს მეტადრე, უფრო ისეთი საქმე მოსწონთ, რომ ცოტათი მაინც საშიში იყოს — სხვათათვის.

— ეს რადა კაცობაა, ეს რადა კაცობაა! უფალო შევალიან!

— ეჰ, ეჰ, ეჰ! რაღა კაცობაა, და ის კაცობაა, ქრისტოფორე კოლომბმა რომ კუერცხი დასვა: საქმე მოიგონებაა.

სწორეთ დამჯდარი განზრახვა იყო ეს განზრახვა, მაგრამ ჭხჩანს ისე უნდა მომხდარიყო რომ ბოლო ვერ გაეცხანებინა. პირ და პირ იქიდამ გავიდოდეთ, სადაც ნავი იყო დაბმული, ისე კი არა და ვითამ ვაჟკაცობას უფრო გამოვიჩენ, გადასავარდნელს რომ ახლოს გაუვლით, ქუწით ჩამოიწია და ისე დააპირა გასვლა. შუა წყალს როგორც რომ დაადგა ნავი, იქ წყალი, რადგან მალიან დაქანებულად მიდის, რასაკვირველია მეტად ჩქარია და შევატყვეთ რომ ნიჩბებით ვეღარას ახერხებდა ბევალლანი, წაართვა წყალმა ნავს თავი და ცოტა რომ კიდევ დაბლა დაეწია, ჩემს მტერს დამართვა, რაც იმას დაემართებოდა; ვეღარცა-რა იმის მჭალისას გავიგებდით, ვეღარცა რა სორო-ცისას; ეს იმანაც კარგათ იცოდა; თავისი გმირული ღონე მოისმარა, შუაწყალს გასცდა როგორც იყო და გაღმა ნაპირს მიუახლოვდა; მაგრამ რომ აღარა დარჩა რა, გაკვლებულივით ისკუპა ერთი და გადახტა ნაპირზედ; ამითი რასაკვირველია ნავს ფეხი უკუჰკრა და გადიკარგა ნავი.

მანამდისინ ის ამ გაჭირვებაში იყო, ჩვენც იმას თითქმის პირდაღებულები შევჰყურებდით;

რა რომ გადარჩა, იმისი ტრაბახიც მოგვაგონდა და როდესაც კაცს ამნაირი საქმე დაემართება, მაყურებლებს რომ სიცილი არ აუტყდეთ არ შეიძლება; უმეტესი მხიარულება აღარ იქნება, რაც ჩვენ შეგვხვდა. უნდა ვჰსთქვა, რომ ამ ჩვენს ხათაბალაში იმისი უბედურება კიდევაც არ იყო გათავებული: ნაპირზედ რომ გადახტა, ის ძალიან დაქანცებული იყო და სისუსტით მოხიბული; ფეხი მოიკიდა თუ არა, წაუსხლტა მაშინვე და უკუღმა გადმოეშვა; მაგრამ რაღასაც ფეხსა სცადა კლდე და რამდენსამე ხანს იმას ებღაუჭებოდა, რომ ფეხები ვეღარ მოიკიდა და სულ ტყაპატყუპით გაჰქონდა წყალში. რასაკვირველია თვითონაც ჰგრძნობდა, რომ სასაცილოს მდგომარეობაში იყო და ამ მდგომარეობას თავი უნდა დაეღწიოთ, მოიზიდა როგორცკი შეეძლო ის ფეხ, რომელიც კლდით ეჭირა და ამითი ფეხი შეიმაგრა თუ არა, ფეხ კლდეში შემოაწყდა და ზღართი გაშხერა წყალში. ვჰკუდებოდით, ვიხოცებოდით სიცილით. მე მგონია მადმუაზელ მარგერიტას ამისთანა დღესასწაული თავისს დღეში არსად ენახოს. მთელი ეს არე-მარე იმისმა კასკასმა ასე გაავსო, რომ წყლის გრგვინვაც აღარ ისმოდა; ჰხარხარებდა, ჰკასკასებდა, ტაშს უკრავდა და იძახდა: ბარაქალლა, ბარაქალლა, უფალო ბევალლანო! ოჰ! რა მშვენიერებაა... ოჰ!... რა საგან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებოდა;... ოჰ რა სანახავია! ჟორჟ-სანდის კალამით თუ აღწერს... სალვატორ-როზა თუ გამოჰხატავს... ოჰ! მოვჰკვდი... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!...

ბევრალიანი ამასობაში გავიდა როგორც იყო ხმელზედ. მოუბრუნდა იქიდამ ქალებს და რაღაც ლაპარაკი დაუწყო, მაგრამ წყლის შხუილმა არა გაგვაგონარა. რასაც მიმოსვრითა და ჴელით გვანიშნებდა, იმითიკი მივხვდით, რომ ასე და ასე დამემართაო გვიამბობდა, თითქო ჩვენ არა გვენახოსა. —

— დიალ უფალო, დიალ, — უპასუხა მადმუაზელ მარგერიტამ ქალურის შეუბრალებლის კისკისითა და სიცილით, — ჩინებული იყო, სწორედ ჩინებული იყო; უკეთესი აღარ შეიძლება, ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგიშალოთ.

რა რომ ეს მხიარულება დაუცხრა, თავისებურად წარბები შეიყარა, მე გამომიბრუნდა და გადავარდნილს ნავზედ დამიწყო ლაპარაკი, თუ პოვნალა შეიძლება უნდა მოვაძებნინოთ; მაგაზედ უკეთესი ნავი ჩვენ აღარ გვეგულება და ნუ დაკარგვნებთო. მე აღუთქვი, სხვა ოსტატებს მოვაყვანინებ და მოვაძებნინებ მეთქი; მერე ჩვენ მხიარულებით სასახლისაკენ გავსწიეთ და უფალმა ბევრალიანმა მარცხო-გადიარა გაღმის ფერდობი; საცურავი ტანისსამოსი არ ეცვა და რა ექნა, როგორღა მოვიდოდა ჩვენთან.

(შემდეგი იხილეთ აპრილის წიგნში)

## ცოდვილის სინანული

სოფლის ღელვისგან აღტაცებულმან,
გადავსცდი მცნებას გცოდე მამაო!
და ვაჲ! დღეს სცნო ბოროტმა სულმან
სოფელი ესე ცრუ და ამაო!
ვგრძნობ, სახიერო! ეს ბოროტება
გამოუთქმელი და საშინელი,
თუმცა სხჳათ ბოროტთა აღემატება,
მაგრამ შენდობას მაინც მოველი!
რადგან ზეცად, შენ, აჰა, მოგმართე,
ამაოდ ნუ ჰყოფ ჩემს სინანულსა!
კეთილისათჳს გზა წარმიმართე,
მალმეც, ვჰსთრგუნვიდე ბოროტსა სულსა!
შენანებულს შენ არ მოიძაგებ,
ნუგეში ამით მე მემატება!

ჰ სულგრძელებას შენსას ვადიდებ,
ოდეს მეზვერე გამახსენდება!

აკ. წერეთელი.

1859-სა წელსა. მკათათვს კბ-სა დღესა.
ს. პეტერბურღი.

---

# ღირს-სახსოვარი კოშკი.

---

შენ მოაგონებ შენსა მხილველსა,
დროსა ნეტარსა, წარსულსა მუწლსა!
ამაყად დგევ ყოველს ქართუწლსა,
თუ ვით ჰსცხოვრებდენ იმ დროს, იმ წელსა!
მოვედ რა ახლოს ჭ რას გიხილე,
ვით ცა გაწმელო, მყის მოგილხინე,
ერთის მხრით გული თითქმის მიცემდა,
ვით ოცნებაში რაღაც მიკვრდა!
გიმზერდი ფიქრით, ოხვრით, მწმუნვარე,
იდუმალ შენს წინ ცრემლები ვღვარე.
მშვენივრათ აგრე აღშენებული,
ერთხელ შენც იყავ ყოვლად ქებული!
ყოველს კუთხიდამ დაგიწყე მზერა,
გარნა ვერ ვპოვე ვერსად წარწერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსები.

ნეტა ვინ იყო, რომელმან აგრე
ალამკო ცურფად შენი სიმაგრე!
შენ ხარ სახსოვრად მეფლიდ ქართველთა,
ნეტამც ვიცოდე, ვინ აღაშენა?
როდის, რას დროსა, რომელსა წელსა
შენ შეუქმნიხარ რომელს მეფესა?
მომითხარ აბა, პასუხსა ველი,
შენსა მიდამოს ვჭვრეტ სიამით,
ვიმზერ გულ-წრფელი შენი ქართველი
და ვინუგეშებ მხოლოდ მე ამით:
რომ მომაგონებ დროთა წარსრულთა,
მამულისათვის თავ-გამსრულთა,
მარამ შენ ისევ ვით აწინდელი,
ისევ ცურფა ხარ კმასაყოფელი!
გარე-გმოსიეს თითქოს ის მალი,
ოდეს გფარვიდა ერეკლეს ხმალი!
რა ველარ ვჰპოვე აქ ქორონიკო,
განსვენებითა კეთილად მსურს იყო,
აგრე მფლობელურ შეურყეველი,
აგრე სიმაგრით შენ უძლეველი!

დიმ. ყიფიანი.

15 ივლისს. 1859 წელსა.

(ლერმონტოვიდგან.)

---

წმინდის უდაბნოს კარებთან
იდგა წყალობის მთხოვარი,
მშიერ-მწყურვალი, ტანჯვისგან
უღონო, ფერ-მკრთალი, გამხმარი.

ლუკმა უნდოდა არა სხჳა,
ტანჯჳას უჩხრობდა სახეც მის,
მარამ ვიღამაც საწყალის ქჳა,
ჩაუდო ჴელსა გაწოდილს.

ესრეთ შენგან სიყვარული,
ვითხოვე ცხარეს ცრემლითა;
მისებრივ გრძნობანი ჩემნი,
განკითხულ იქმნენ შენგნითა!

თ. რ. ბარათოვი.

1854 წელსა.
ტფილისი.

---

# გვარიშვილობა და ტალანტი.

გერმანიელი მხატვარი გოლბეინი მიწვეულ იყო ანგლიაში კოროლის გენრიხის VII-სა მიერ და უნდა მიელო ხოლმე კოროლისაგან ჯამაგირი იმ პი-რობით, რომ, უნებურად კოროლისა, ჴელი არ ეყო არა ვითარის საქმისათჳს. ერთს კარის ქალს ჰსუროდა თჳისი პორტრეტი ჰქონოდა, რომ თავისს საყუარლისათჳს ეჩვენებინა, და ისეთის გულმოდ-გინებითა ჰსთხოვა გოლბეინს მიღება ამ შრო-მისა, რომ ის თანახმა შეიქნა, მაგრამ ასრე, რომ პორტრეტი უნდა გადეღო საიდუმლოდ, დაკე-ტილს ოთახში. ერთმა ლორდმა მოიწადინა მაშინ გაშინჯვა მხატვრის სადგომისა და სწორეთ იმ დროს მივიდა, როდესაც მხატვარი ქალის პორტ-რეტს იღებდა. მოსამსახური, რასაკვირველია, უკრ-ძალავდა და არ უშვებდა, მაგრამ ის ძალით შეუ-ვარდა ოთახში. ამ თავხედობამ განამწარა გოლბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი: სცაცა ლორდს საყელოში ყელი, გაიზიდა გარეთ, ჰკრა ყელი და კიბიდამ გადააგდო. ვიდრემდის ლორდი თავისს გონებაზედ მოვიდოდა, მხაცვარმა წინ გაურბინა, პირ და პირ კოროლთან გასწია, დაეცა მის წინაშე და მოახსენა თავისი დანაშაული. ერთს საათს უკან გამოცხადდა ლორდიცა კოროლთან და მოახსენა: თუ კმაყოფილება თქჳენის დიდებულებისაგან ვერ მივიღე, მაშინ თჳთან მე გარდავასდევინებ გოლბენსა.

—თუ სიცოცხლე ძჳრფასი არის თქჳენთჳს, მილორდო, თქჳენ არ გაბედავთ იმის ყელის ხლებას, ამისთჳს რომ მე ვიკრძალავ ამას.

—მაგრამ, თქჳენო დიდებულებავ, წარმოიდგინეთ ჩემი ხარისხი და უკანასკნელობა მხაცვრისა.

—თქჳენ სცდებით, მილორდო, შჳდის გლეხიდამ შემიძლია მე ეხლავ შევადგინო შჳდი ლორდი, როგორც თქჳენ ხართ, და შჳდის ლორდიდამ ვერც ერთს გოლბენს ვერ შევადგენ.

ეს ვსთარგმნე ამ წლის იანვრის ილლუსტრაციის ჟურნალიდამ და ამ შემთხვევაში შესაძლებელი არის მოვიხსენიოთ შემდეგში ქართული ანდაზა და დავმატოთ მცირედი ჩემი აზრიცა.

დიდისნის ნათქჳამია ჩჳჱნში:
    ფილოსოფოსნი შემოკრბენ,
შექნეს ამაზედ ცილობა:
გჳარი სჯობია, სახელი,
საქმე, თუ კაცის_შვილობა?
ათასად გვარი დაფასდა,
ორიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვით არ არის,
ცუდია გვარი_შვილობა.

თანახმად ამისა ანბობს ანგლიის ჩინებული მწერალი ლორდი ბრუმი, რომ ვერა ვითარი მაღლა სახელმწიფოთ დაწესებისა ვერ განაძლიერებს კეთილშობილთ საზოგადოებასა, თუ მას არ ექნება სიმდიდრე, ანუ ნიჭიერება, ანუ ნამსახურობა, რომ განერჩეოდეს ამითი დანაშთენის საზოგადოების ნაწილისაგან.

ქართლსა, კახეთსა, იმერეთსა, გურიასა და სხჳა კავკასიის მხრის ნაწილებში, სადაც ბუნებითი ენა არის ქართული, სცხოვრებენ მრავალნი თავად_აზნაურნი; რასაკვირველია, უმეტესს იმათ წინაპართაგანს ნამდვილის სამსახურით მოუპოვებიათ თავისი ღირსება; ჩჳჱნ ქჳჱყანაში ჯილდოდ ყოვლის კეთილის საქმისა ეძლეოდათ მამული, ანუ ხელობა რამე, რადგან სხჳა ნიშანი დაჯილდოებისა მაშინ

ჩუენში არა ყოფილარა დაწესებული; ამისაგამო კეთილშობილნი არ იქნებოდა არ გამრავლებულო-იყვნენ; ისეთი მდაბალი გვარი არ არის, რომ თავისს ქუეყანაზედ დიდი ნამსახურება არ მოუ-მღოდეს, რომელსაც თავისს მრიელს და მოუსვე-ნებელს მეზობლებთან მარადის აქუნდათ ბრძოლა მრავალთა საუკუნეთა გამავლობაში; ამას გარდა, რომელსაც მაჭმადიანთ წაგვართვეს ქუეყნები, მაშინ იქ მცხოვრებნიცა კეთილშობილნი ქრისტი-ანენი გადმოვიდნენ შუა საქართუელოში და აქ დარჩნენ სამარადისო საცხოვრებელად. ქართუელ-ნი და იმერნი ყოველს საუკუნეში, რომელსაც იყვნენ მცირედ შესვენებულნი მტრისაგან, აღმოაჩენდენ ხოლმე სწავლის მოყვარებასა; თამარ მეფის დროს ლიტერატურა ევროპელთა მაღალს ხარისხზედ იყო მიწევნილი, მაშინ, როდესაც აწ ფრიად განათლებულს სახელმწიფოებში იმყოფებოდა მხოლოდ სიბნელე და გაუზდელობა; შოთა რუისთაველი და სხუა თამარის დროჲს მწერალნი ამტკიცებენ ამ ჩუენს სიტყუასა; უკანასკნელს საუკუნეებშიაც თჳთ მეფენი და შვილნი მათნი იყვნენ ჩინებულნი მწე-რალნი: თეიმურაზ, ვახტანგ, ვახუშტი, კათალიკო-ზი ანტონი 1-ი და სხუანი. მეფის ირაკლის დროს იყო დადგენილი რექტორად თელავის

სასწავლებელისა, მრიელი ნასწავლი, კეთილშობილი დავით ალექსიშვილი.

ახლანდელს დროს, როდესაც ჩუჱნი ქუჱყანა განთავისუფლებული არის გარეშე მტერთაგან; როდესაც თჳთ მოადგილემ დიდისა ერთ მთავრისამან, მეამაგლობითა ჩინებულის ნამსახურებითა და მწერლობითა ჩუჱნის თავადის გრიგოლ დიმიტრის ძის ორბელიანისათა, გამოუჩინა ჟურნალს თჳსი მაღალი მფარველობა, როგორ ვალდებულნი არიან საზოგადოდ ამ მხრის თავად-აზნაურნი, რომ ჴელი გაუმართონ და შეეწივნენ თავისს ბუნებითს, მამაპაპათ ლიტერატურასა და მით დაამტკიცონ თავისი ჭეშმარიტი მამულის სამსახური. თუ არა, მაშ უნაყოფოსა ქართველობასა სხუა რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თავის მემამულეთა შორის? ვნუგეშობთ, რომ ეს არ იქნება, რადგანაც არამც თუ კარგის გვარის მქონებელი, არამედ მთელი ივერიის ხალხი მრავალს საუკუნოებში ყოველთჳს ერთგული ყოფილა თავისის ქუჱყნისა; ამაზედ ლაპარაკი საჭიროაც არ არის, რადგან უკეთესი მოწამე არის ისტორია ჩუჱნი.

იოსებ მამაცა-შვილი.

---

## მოძღურება

### დღესა წმინდა ნინას ხსენებისასა.

> « მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ხედვიდით გამოსვლასა მას ცხორებისა მათისასა, ჰბაძვედით სარწმუნოებასა მათსა. » (ებრ. იგ, ზ.)

წმინდა მოციქული პავლე გვამცნებს ჩუენ, რათა მოვიხსენებდეთ სულიერთა მოძღუართა ჩუენთა, რომელნი გეტყოდეთ სიტყუათა ღმრთისათა; გარნა პირუელი, რომელმან გვითხრა ჩუენ ქართველთა სიტყუა ჭეშმარიტისა ღმრთისა და გვასწავლა ღმრთაებრივი სარწმუნოება, იყო ნეტარი დედა ჩუენი ნინა. — წმინდა სახარებასა შინა თქმულ არს, რომელ ოდეს იესო ქრისტე პირუელად მოვიდა გალილეად და იწყო ქადაგებად ხარება, მაშინ ერი რომელი სხდა ბნელსა იხილა ნათელი დიდი და, რომელნი სხდეს საფლავსა და აჩრდილსა სიკუდილისასა ნათელი აღმოუბრწყინდა მათ. სწორედ ეგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა ჩუენს მამულში, ოდეს წმინდა ნინა მოვიდა შორით და ასარებდა წინაპართა ჩუენთა სიცრუესა საუკუნოესა ცხოვრებისასა ნაცვლად კერპთ-მსახურებისა და გონებათა დაბნელებისა, მაშინ გამოუბრწყინდა მათ ნათელი დიდი, და პირუტყუთ მსგავსნი უმეცრებითა, მკუდარნი სულითა მამანი ჩუენნი, შეიქნენ მემკვდრენი უბრწყინვალესისა ქსწავლისა.

რითი შეგვიძლია გადავუხადოთ წმინდა ნინას ესოდენი ქველის-მოქმედება ჩუენდამი? რა სამადლობელი, ანუ რომელი მსხუერპლი იქნება თანასწორი ღუაწლთა, შრომათა და ვნებათა, რომელნი იტჳრთა მან ჩუენის განათლებისათჳს? რა შეგჳძლია მივაგოთ მას ნაცვლად დაუფასებელისა მადლობისა, რომელი ზეცით გარდამოუვლინა მან ქუეყანასა ამას? წმინდა იგი და ღმერთშემოსილი მოძღუარი უეჭველად სუფევს აწ სასუფეველსა ღუთისასა, შორის ყოველთა წმინდათა და მიუღიესცა გვირგვინი მოღვაწებისა თჳსისა, და რა შეგვიძლია მიუმატოთ ჩუენ ნეტარებასა მისსა?

გარნა წმინდა მოციქული პავლე, რომლისა სიტყუანი ჩუენ დავსდევთ დასაწყისათ მოძღურებისა ამის, შეგვეწევა ჩუენ ამ შემთხუევაში და გვასწავებს რომლითა სახითა შეგვიძლია გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხადოთ მადლობა ჩუენი წმინდათა წინამძღუართა ჩუენთა: «ხედვიდით, იტყჳს იგი, გამოსვლასა მას ცხოვრებისა მათისასა, ჰბაძვიდით სარწმუნოებასა მათსა.» და რა სახით შეეჳძლოა გადვიხადოთ მცირეთ მაინც, დიდნი და უფასონი ქველის საქმენი წმინდის ნინასი. წმინდა ნინამ ისრეთ შეიყვარა მამული ჩუენი, და ისრეთ ნაცრობდა ჩუენის სულის ცხოვნებასა, რომ თავი თჳსი დასდვა მსხვერპლად ჩუენთჳს, და თუ ახლა გჳხილავს ყოველთჳს მეცადინედ სულის ცხოვნებაზე და მზამავად მისა, ამაზე დიდი სიხარული მისთჳს არარა იქნება, და ჩუენის მხრიდგანაც უკეთესი მადლობა მისდამი არა შეიწირება.

ამისთჳს, ძმანო, აზრი, ანუ ბოლოთ, რომლისათჳსცა თანამდებ ვართ მოხსენებად მოძღუართა ჩუენთა, უნდა იყოს ის, რათა ვბაძვიდეთ, ესე იგი: მივემსგავსებოდეთ სარწმუნოებასა, ანუ მთელსა ცხოვრებასა მათსა ამისთჳს, რომელ მთელი ცხოვრება მართალთა სხუა არარა არს, გარნა სარწმუნოება მათი. გარნა მოვიხსენებთ რა მთელს ცხოვრებასა წმინდას ნინასსა, ვჰპოვებთ მრავალთა სათნოებათა, რომელთაგან საკმაო იქნება ჩუენთჳს ვბაძვიდეთ მხოლოდ ერთსა, ესე იგი ერთგულებასა და სიყვარულსა მისსა სარწმუნოებისადმი.

ღირსმან და ნეტარმან დედამან ჩუენმან ნინამ, უმეტეს ყოვლისა სოფლისა შეიყვარა სული ქრისტესი, უმაღლესად ყოვლისა ბედნიერებისა და სიტკბოებისა ქუეყანასაზედა; შეიცნა მან სიყვარული ღუთისა და შესწირა თავი თჳსი სარწმუნოების წარმატებასა; სიყვარულმან ღუთისამან მისცა მას ესოდენი ძალი და მოთმინება, რომელიც ძლივ იპოვნება შორის მამათა, არათუ სუსტთა დედათა შორის. სიყვარული ღუთისა გაუმსუბუქებდა მას მძიმესა ტჳრთსა მოღუაწებისასა, რომლითა მოუნადირა ქუეყანა ჩუენი ქრისტე ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა.

და ჩუენცა ძმანო, უნდა ვცდილობდეთ ყოველთჳს, რომ უმეტეს ყოვლისა შევიძინოთ სიყვარული ღუთისა და ერთგულება სჯულისა ქრისტესისა, ასრე, რომ სარწმუნოება მიგვაჩნდეს უმაღლეს ყოვლისა ბედნიერებისა და მზად ვიყვნეთ შეწირვად მისთჳს თჳთ ცხოვრებისა ჩუენისა ამისთჳს, რომელ კაცს არა აქუს არცა ერთი ნიჭი უძვირფასესი სჯულისა და არა გაუჩნდება არცა ერთი სასოება უტკბილესი საუკუნოჲსა ნეტარებისა.

სარწმუნოება და სასოება საუკუნოჲსა ნეტარებისა არს ის ნიჭი, რომელი უფროს ყოველთა ნიჭთა ჩუენთა ამაღლებენ ჩუენ ყოველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყუთა ზედა; რა დიდი რაჲმე იქნებოდა ჩუენთჳს, თუ პირუტყუთა უმჯობეს ყოფილვიყავით მხოლოდ გარეგანითა სახითა, ესე იგი: შესამოსლითა, სადგომითა და საჭმლითა; გარნა ოდესცა კაცი მეცნიერ არს ღუთისა, მისწრაფება მისდამი გონებითა, და აქუს სასოება საუკუნოდ მისთანა ყოფნისა, ამით იქნება იგი უძჳრფასესი ყოვლისა ქუეყნისა და სწორ უსხეულოთა ძალთა.

ხოლო ვინაჲდგან ღირსი ესე წინამძღუარი იყო დედაკაცთაგანი, ამისთჳს დედაკაცნი უმეტესად შეიძლებენ, და ვალიც აქუსთ იპოვნონ მის ცხოვრებაში მრავალნი კეთილნი მაგალითნი, და მაშა სადამე ჯერ არს, რათა ყოველთჳს სცდილობდენ ბაძვად სარწმუნოებისა მისსა, წარმოადგენდნენ სიყვარულსა მისსა, მოიხსენებდენ სიმშჳდესა და მოთმინებასა მისსა, ახსოვდესთ გულს მოდგინება მისი, და არ დაივიწყებდნენ ყოველითურთ სახიერებასა მისსა. განსაკუთრრებით ახლანდელნი დედაკაცნი და ჭაბუკნიცა მიიღებენ დიდს სულიერს სარგებლობას, თუ არ დაივიწყებენ სიწრფოებასა და ერთგულებასა ნინასსა, ვინაჲდგან აწინდელნი ქალნი და ჭაბუკნი, მომურნე არიან ბაძვად არა წმინდის ნინასსა, არამედ სხუათა უცხოთა, ხოლო არა ნინასა მსგავსთა პირთა, ცდილობენ რა და-

ვიწყონ ზოგნი ძველნი კეთილნი ჩვეულებანი და მიიღონ ნაცვლად ახალნი არა სრულიად კეთილნი. უეჭუელად, ჰსწავლა და განათლება კეთილი რამე არს, და ფრიად საჭირო ყოველთა ხალხთათჳს, ხოლო ჯერ არს შენიშვნად, ვითარმედ მითჳსება ჭეშმარიტისა განათლებისა, და მიღება ნამდჳლად კეთილთა და სასარგებლოთა ჩვეულებათა, ისრე ადჳლი არ არის, როგორათაც ზოგნი ფიქრობენ, ვიდრემდის მოშურნენი განათლებისა მისწვდებიან ნამდჳლსა განათლებასა; ვიდრემდის ხალხი მიითჳსებს კარგთა, სასარგებლოთა ზნეობათა. მრავალნი ცუდნი აზრნი, უსარგებლო ჩჳეულებანი და განრყუნილნი ზნეობანი უნებლივ და უმეცრად შემოიპარებიან მათ შორის. ცხადად არს მიზეზი ამის, ვინაიდგან ყოველი კაცი უადვილესად მიეჩვევა ყოველსა ცუდსა, ვიდრე კარგსა, მიიღებს რასმე გარეშესა, უსარგებლოსა და მავნებელსა, ვიდრე მტკიცესა, ჭეშმარიტსა.

ახლანდელი ჩჳენი დროება ცხადად ამტკიცებს ამ აზრსა: ჭეშმარიტი განათლება და ნაყოფი მისი შორს არს ჯერეთ ჩჳენგან, ხოლო მავნებელნი ნაყოფნი ცრუჲსა განათლებისა, ესე იგი მრავალნი მაცთუნებელნი ჩჳეულებანი განმანათლებელთა ჩჳენთა მივიღეთ უკმაყოფილესად. განცხადებით

ვ̃ცეჳ, რომელ მრავალთა შორის პირთა ქართველ-თაგანთა, რომელნი ჰხადიან თავსა თჳსსა განათლებულად, უმეტესს ნაწილს მიუღიეს მხოლოდ ზოგნი გარეგანნი, და ამისთჳსავე, ამაო და უსარგებლო ნიშანი ცრუ განათლებისა, და არა თჳთ ნამდჳლი განათლება. არა ვგონებ, რომელ ჩოხის გამოცვლა ევროპიულ შესამოსელზე, ანუ თავსაკრავისა სხუა თავის სასურავზე, საკმაო იყოს განათლებისათჳს; არა ვგონებ, რომ ვინც, თჳთქმის, სარწმუნოება დაივიწყა, და აივსო თავი მრავლითა ამაო სურვილითა და უსაფუძვლო აზრებითა, ვინც მგელი, წრფელი და მშიშე ყოფაქცევა დაუტევა და შეუდგა ახალთა ქარიანთა ზნეობათა, ის კეთილგონიერმან კაცმან, შერაცხოს განათლებულთა შორის. როგორ არ იფიქროს კაცმა მიმხედველმა ახლანდელთა, ვითომც განათლებულთა ჭაბუკთა, ნეტავი მათ ჩოხის მაგიერათ, გონების მცონარეობა დაეტევებინათ, ნეტავი ახალ მოდის შესამოსლის მაგიერათ შეემოსათ შრომისა და სულიერი წარმატების სიყვარული, ზომიერებით ცხოვრება და ყოფაქცევა; აგრეთვე დედაკაცთა ჩუენთა ფუფუნების და მორთულობის სიყვარულისა და სხუათა, რომელნიცა ვერ ითქმიან. ცუდთა ჩუეულებათა წილ ესწავლათ ოჯახის კეთილად მოვლა, შვილთა გონი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად გაზდა, საზოგადოობის ზნეობათა განწმედა და განმშვენიერება... ბოლოს მარტო ეს ვიფიქროთ: რა განათლება უნდა იყოს ის, რომელიც კაცის გულს გააგრილებს სარწმუნოებისაზედა? ხოლო ვინ არ იცის, რომ ზოგნი ახლანდელნი განათლებულად შემრაცხველნი თავისა თჳსისა ქაბუკნი, არათუ გულგრილ არიან სჯულზედ, არამედ უმეტეს ამისა, არარად მიაჩნიათ სარწმუნოება. რა მისცა მათ ამ ცრუ განათლებამა სარწმუნოების წილ? თუ ღვთისაგან განაშორა იგინი, ვისაკენ მიაქცია? თუ ერთგულება ეკკლესიისა და სასოება, რომლითა იყვნენ აღვსებულნი მამანი ჩუენნი განუქარვა გულიდგან, რითიღა აღუვსო იგი? ვგონებ, რომ აღუვსო ყოვლითა ამაოებითა სიცრუვითა. ასრე იცის ცრუმან განათლებამან; ეს არის მწარე ნაყოფი ზედაპირისა და მხოლოდ საჩინო განათლებისა! ესენი არიან მემდევრნი სუსტისა და არამედ მიწევნილისა ჴსწავლისა. სრულიად უსწავლელი დიდად სჯობია ზედა პირად ჴსწავლულსა. ამისთჳს რომ პირველმან იცის თავი თჳსი, მდაბალ არს გულითა და ესე ვითართა მიეცემა მადლი სარწმუნოებისა, ხოლო უკანასკნელნი განათლებულ არიან, მეცნიერად მიაჩნიათ თავი თჳსი და დასასჯელად ამისა ღმერთი წაართმევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით სარწმუნოებისა.

ამისთჳს, ძმანო, კრძალულ და მღჳძარე ვიქნებოდეთ; ვინაჲდგან დრონი ესე ჩუენნი მძიმე არს და მაცთუნებელი მრავალთათჳს, ნუ დავივიწყებთ კეთილმსახურებასა ჟამთა ჩუენთასა, ვინაჲდგან ნაცვლად მისსა ვერა რას მოგჳცემს იმის ფასისას ჩუენნი ახალი დროება.—ამინ.

გაბრიელ, ეპისკოპოსი გურიისა, ვიკარი საქართუჱლოჲსა.

გოგირდი, ვითარცა ღონის-ძიება წინააღმდეგომ ყურძნის სნეულებისა.

---

ფრანციაში, უკანასკნელს დროს გამოცადეს გოგირდის მოქმედება სნეულს ყურძენზედ და სხუა ხეხილებზედა. გამოცდილებამ აჩუენა, რომ წმიდად დანაყილი გოგირდი, არამც თუ ყურძენს დაიცვამს სნეულებისაგან და განაქარვებს მომწამვლელს სოკოს—ოიდის (საკვლი სნეულებისა), ალუბალზედაც კეთილად მოქმედებს, ქლიავზედ, ვაშლზედ და მსხალზედ, თუ რომ მშრალი წმიდად დანაყილი გოგირდი მოეყრება მშრალს ცვილს ჭაერში აყვავებისა ანუ ნაყოფის გამოსვლის დროსა. მაშინ მოვა დიდი მოსავალი და ნაყოფი იქნება კარგის თჳსებისა. თავთავიანს მცენარეებზედ გოგირდი არ აჩუენებს თჳთქმის არავითარსა მოქმედებასა. კარტოფილისათჳს კი სასარგებლო არის, ფურცლები ყვავილიანის მცენარეებისა, რომელთაც მოეყრებათ წმიდათ დანაყილი გოგირდი, მიიღებენ მუქს მწვანე ფერსა, და ყვავილები უმეტესს ბრწყინვალეს ფერს. 1857 წელს, ერთს დეპარტამენტს ერთში დააყარეს წმიდათ დანაყილი გოგირდი ვენახებს 70,000 დესიატინამდის, რომელზედაც მოხმარებულ იქმნა გოგირდი უმეტეს 500-ის

ფუთისა (*). ფრანციის სამხრეთში შეუნიშნავთ, რომ ვაზები, მოყრილნი წმინდად დანაყილის გოგირდით, ისხმენ ყურძენს უფრო სქელს კანიანს და ღვინო იმისაგან გამოდის უმეტესად ფეროვანი. ამას გარდა გოგირდის მოქმედებით ვაზებს გამოსდის უმეტესი ყლორტები და ყვავილნი ნაყოფიერდებიან უსრულიადესად. ასახოცად ოიდიისა ყურიან ყურძენს წმიდად დანაყილს გოგირდს სამჯერ და, გორაკებიანს ადგილებში, რომელიც არ არის დაფარული ქარისაგან, ოთხჯერ და ოჳთ ხუთჯერაც წელიწადში.

გოგირდი ვერ დაიცვამს ყურძენს სნეულებისაგან სამარადისოდ, არამედ განაქარვებს მას მხოლოდ დროებით; ამისგამო, ყოველგზის, როგორც გამოჩნდება ვაზზედ ოიდი, უნდა განასლდეს მოყრა გოგირდისა. პირველად უნდა მოეყაროს მაშინ, როდესაც გამოდის ყვავილი, თუნდ ოიდი არ იყვეს ჯერ გამოჩენილი, ამისთჳს რომ ამ დროს გოგირდი სოკოების ბუდესაც განაქარვებს, და ნაყოფის გამოღებასაც შეეწევა.

ითარგმნა კავკასიის ადგილ-მამულის პატრონობის საზოგადოების 1858 წლის ზაპისკებიდამ.

იოსებ მამაცა-შვილი.

---

(*) გამოცდილებით აგრონომისა დერიშანისათა ტფილისში აღმოჩნდა, რომ ერთს მუშას ათის საათის გასვლამდის, შეწევნითა უენის და ფრანცის აპპარატისათა (ძარღლისა), შეუძლიან მოაყაროს გოგირდი 600 ვაზსა, დაუღალავად, ამასთან ახმარება წმიდად დანაყილი გოგირდი სამს გირვანქამდის.

# სიმართლის ჭორიკანობა.

დიდი ხანია ამ ცისკრის უპატივცემულესთ მკითხველებთან ლაპარაკი მსურს, მაგრამ აქამდის სხუა და სხუა მიზეზები მაბრკოლებდნენ. ამ ჟამად მრავალი აზრი მაქუს გამოსაცხადებელი, და არ ვიცი, რომელი დავიწყო და როგორ ვილაპარაკო. მე მხოლოდ ეს ფიქრი მაწუხებს, რომ არ ვიცი, რა უფრო სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ჩემთა მკითხველთათჳს? სხუა და სხუა ქუეყანის რომ მოვჰყვე; ჩუენს საზოგადოობაზედ რომ დავიწყო ლაპარაკი, ჩუენს სულზედ და ხორცზედ, ვაჲთუ ამ პირველსავე შემთხუევაში მრავალნი დამემდურნენ და ჰსთქუან: სხუა ქუეყნების ამბავი რა საჭირო არისო, ჯერ ჩუენიც რომ არ ვიცითო; და თუ ჩუენს თავზედ ლაპარაკს შევუდგე და სხუა და სხუა ჩუენნი ღირსება თუ ნაკლულევანება წარმოვსთქუა, ვაჲთუ ამაზედაც გამიწყრენ და სთქუან: ეს ამბები რა საჭირო არისო, ვინ არ იცისო.

ამას გარდა, ჩუჱნს თავზედ ლაპარაკი ცოტა ძნელიც არის, ამისთჳს რომ ჩუჱნ ქართუჱლებს, როგორც მოგეხსენებათ, პატარა ამპარტავნობა გვაქუს და ჩუჱნის ნაკლულევანების გამოცხადება არ იქნება რომ არ ვიწყინოთ. მაშ რა ვქნათ, როგორ დავმალოთ ეს სწორე ამბავი, ამ ახლოხანებში რომ მოხდა? არის ქუჱყანაში, არცა ყოფილა, არც არის და არც იქნება სრული, საზოგადო, მთელი ერის განათლება: ყოველგან ასეა, რომ ზოგნი წინ არიან წასულნი, ზოგნი უკან დარჩენილან, როგორც მაღალი ხე ზოგს ტოტი რომ ცამდინა აქუს ასული და ზოგი რომ დედამიწას ძლივს ასცილებია; ამითი ვინუგეშოთ თავი და მოუყვეთ იმ ჩუჱნის საზოგადოების ნაწილსა, რომელიც გონიერებით და მსჯელობით უკან არის დარჩენილი და ისე მოქმედებს, როგორც მუშტის კრივის სამართლის დროები რომ ყოფილა, იმ დროებს შეეფერება. ახლანდელს დროში კი შეიძლება ცოტაოდენი ნება ვიქონიოთ და ზოგი ერთი ამბავი შესაბამის თავისუფლებით წამოვჰსთქუათ, — თორემ კი პატიოსნების და წესდებულების წინააღმდეგი არა იყოს რა.

პირველად მოგილოცავთ საყვარელნო ქართველნო, ორ სასიამოვნო ამბავსა: ერთს სიბრძნე

სიტყვიერის წიგნის დაბეჭდვას, და მეორეს ერთის უმაწვილის კაცის რუსეთში გასანათლებლად გაგზავნასა.

მადლობა ღმერთისა, მლოვს ერთი ქართული წიგნი დაიბეჭდა! ეს დიდი და იშვიათი ანბავია ჩვენში. ან როგორ არ უნდა იყოს დიდი ანბავი! თითქმის ამ ათის წელიწადში წიგნი არ დაბეჭდილა რა ჩვენს ენაზედ ამ ცისკრის გარდა.. უმართლესად გითხრათ ეს ანბავი სხვაგან არსად წამოგვცდესთ, რომ ანგლიჩნებმა და ან ამერიკელებმა არ შეგვიტყონ, ისინი რას იტყვიან? სხვა არა იყოსრა სასაცილოდ აგვიღებენ; იმათს ქვეყნებში წელიწადში იმდენი ფურცლები იბეჭდება, რომ ერთი-ერთმანერთს გადააბან ცამდის აწვდება. ერთხელ მახსოვს, ცისკარში განცხადება ეწერა, რომლითაც თ. ერისთავი გვაცნობებდა თავისს წადილს, — ყველა ქართული წიგნების დაბეჭდვას, მაგრამ ამ კეთილმა განზრახვამაც ისე ჩაიარა, როგორც მრავალს სხვა სასარგებლო აზრს ჩაუვლია აღუსრულებელსა. ბევრსკი უთქვამს, თუ არ უნდოდათ დაბეჭდვა, რაღათა გვპირდებოდნენ, მალას ვინ აცანდათ. მაგრამ რატომ? იმედიც კარგია: ამას მაინც იტყვიან, ამა და ამ დროს ჩვენ-ცა გვქონია კარგი განზრახვაო; არც თუ ჩვენც

ვასლავართ მართალნი ამ საქმეში; ნეტავ რომ დაგვიდგეს და რაღაც შევსცქერივართ, ვითამ რას ველით? ყველაფერს ხომ მთავრობა ვერ გაგვიკეთებს. მთავრობა ერთია, ხალხი ასი ათასია. ჩვენ თუ არას ვიმეცადინებთ, ჩვენის სარგებლობისათვის თუ ჩვენზე არ ვაგვარებთ ქვეყანას, მარტო მთავრობამ რა უნდა ჰქნას. როგორც მოეხსენებათ ლაპარაკი ქართველებს ხშირად გვიყვარს და როცა ლაპარაკში მიზეზის ძებნაზედ მივარდება საქმე, მაშინვე მშობლებს წავსწვდებით ხოლმე: ვისი ბრალია თუ არა მშობლებისა; ბალღებისათვის თუ იმდენს ფულს გვართმევენ, ერთხელ ამ გვარი საქმისათვის გამოგვართონო. «მიზეზ მიზეზს დოს მართალი აკლიაო.» ერთი მიბძანეთ თქვენი ჭირიმე, აქ მშობლებისა რა ბრალია; თუ გსურთ, თქვენ თვითონ შეაგროვეთ ფული და ისე კეთილად მოიხმარეთ, როგორც ამჯობინებთ. ძმებსა და დედმამას რომ ადვილად ვაყვედრებით ხოლმე, ჩვენი თავის ბატონობა თვითონ ჩვენზე უნდა შევამლოს; დაუდევრობა კი მაშინ უფრო მძიმედ დაგვაწვება ხოლმე ზურგზედა, როდესაც საზოგადო საჭიროება გაგვიჩნდება ხოლმე; და ამას კი აღარა ვფიქრობთ, რომ საზოგადო საჭიროება ის არის, როდესაც ყველას უჭირს. რაც მთავრობა-

სადან იქნება ჩუენი ყოვლის გასამართავი, იმაში მართლები დის წარვედსმარებიან; და რაც მოიერთბას არ მყესება, იქ მართმადლიც ის არის, რაც მე ვარ, შენა ხარ, ის არის, თქუენა ბმანდებით და ისინი ჰსუდვევენ. მწყობა ბაქარ ქართუელისა არ იყოს, მარცხი ერისა და ოისგა არა, ყვეღისა ვემართებს.

რა არის ამ სიტყვებში სიბრძნე და რა არის სიცრუვე, ეს თქუენ გამოიცანით, საკვირველნი მკითხველნი და მე მხოლოდ ეს ნება მომეცით, რომ ორიოდ სიტყუა კიდევ მოგახსენოთ: ერთს სამოგადოებაში დიდი დავა იყო, უნდოდათ შეიტყოთ ეს ახალი სიბრძნე სიცრუის წიგნი ვისგან არის გამოცემული. ერთი ამბობდა უ. ჩუბინოვისაგანაო, მეორე უ. ცოპამისაგანაო; სხვანი კი ამბობდნენ: მგონი რომ ყოველივე თავისს სახელს უთუოდ გამოაცხადებდნენ. მაშ ვისგან არისო? ჰკითხეს იმათ, — უ. პეტერბურგელის სტუდენტებისაგანაო. თუმცა საქმე და ვნახე არც იმათ გამოუცხადებიათ სხვა და სხვა მიზეზებისაგამო, მაგრამ სწორედ ვიცით, რომ იმათგან არის გამოცემულიო.... რადგან ასე ჰსწორედ ჰსცოდნიათ, — ვფიქრობ რომ ვერ გაუბედავთ უ. სტუდენტებს თავისს სახლის და გვარის გამოცხადება; უნდა

იმალებოდეს ცუდი და სათაკილო. კეთილი და სასიქადულო რათ უნდა იმალებოდეს. აგრე რომ ყოფილიყო არ იქნებოდა გასაკვირველი, მაგრამ ეხლა სწორეთ მოგახსენოთ, ამ გვარი შიში ცოტა უცნაურიც არის. მე მგონია უ. სტუდენტებს თვითონაც კარგათ მოეხსენებათ ეხლანდელი გარემოება, რომელშიაც ამ ჟამად ვიმყოფებით. უმიზეზო ეჭვები არას დროს არ ვარგა. ვინ რას ეტყოდა რომ თავისთი გვარები გამოეცხადებინათ; ვინ რა დანაშაულობას იპოვიდა ამაში! იქნება ეფიქროს ვინმე, რომ ჩვენი განათლება არ უნდოდეს ვინმე! მაშ მაგდენი ყმაწვილები რათ იზდებიან ხელმწიფის საზინის ხარჯით? იქნება ეფიქროს ვინმე, რომ ჩვენს ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭვდა საწყენოდ მიაჩნდეს ვინმე! მაშ რათ დაუბეჭდავს მაგდენი ქართული წიგნი იმპერატორის სამეცნიერო აკადემიასა? ღუთისმოყუარისათვის რა საფიქრებელია ესა; მაშ შევატყობინეთ ღუთისმოყუარისათვის, რამ დააბრკოლა უ. სტუდენტები რომ თავისი სახელი არ გამოაცხადეს და ახლა, არ ვიცით ვის უნდა შევსწიროთ მადლობასა სიბრძნე სიცრუის მშვენიერად დაბეჭდვისათვის? რა გაეწყობა! დაუსახელებლად უნდა დავლოცოთ: ღმერთმა გვიცოცხლოს კეთილი სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენცვები და გვიმრავლოს იმათი ღირსი ამხანაგები: იმათგან ველით საზოგადოდ სასარგებლო საქმეებსა; იგინი უნდა იყვნენ ჩვენნი განმანათლებელნი; იმათ უნდა გადმოიღონ ჩვენს ქვეყანაში ახალი სწავლა, ახალი აზრი, ახალი მდგომარეობის მოწყობა; იგინი უნდა იყვნენ წინამძღვარნი ჩვენნის საზოგადოებისა და მოციქულნი კეთილ-ზნეობითის განათლებისა.

ათას ხუთასი წიგნი დაუბეჭდიათ სიბრძნე სიცრუისა. ორასი ქალაქის ვალში მიუციათ, დანარჩენი აქ გამოუგზავნიათ გასასყიდათ. მადლობა უნდა შევსწიროთ უ. ნიკოლაოზ ჭავჭავაძეს და იმისს თანა შემწეებს, რომელთაც შრომა მიუღიათ, ამ წიგნების გასყიდვაზედ. ეგრეთვე გმადლობთ უ. იუნკერს მოძღვაროვს,—ხუთ დღეში რომ ოთხმოცი წიგნი დაარიგა. დიდ მადლობას უძღვნით უ. დიმიტრი აფხაზს, სამასი წიგნი რომ აუღია იმ პირობით, რომ თუ ვერ დაარიგა ფასი თვითან გაიღოს, აგრეთვე გმადლობთ იმათ, ვისაც თვითო წიგნის მაგიერათ ორორი და უმეტესი აუღიათ და გმადლობთ ყველა ჭეშმარიტს ქართველსა, ვისაც სიამოვნებით მიუღია ამ წიგნების დაბეჭდვა. ამასთან არ შემიძლიან გული არ მოვასხენო, საყვარელნო მკითხველნო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთის შემძლებელს ჩუენის საზოგადოებისაგან ყიდვის მაგიერათ, დაუცინიათ კიდეცა და უთქვამსთ: რა საჭირო არის, რომ მაგაში ფული არ მივსცეთო; ქალნაწყვეტებიც ბევრი გვეყოლია შინაო. ორის შემძლებელის კაცისათვის ეთხოვნათ, რომ ერთი წიგნისცარის ფულით, მაგრამ იმათ უარი ეთქუათ, მერე რომ არ მოაშველებოდნენ, სანახევროთ ეყიდნათ ერთი წიგნი. ამისთანას საქმეს ახსნა აღარ უნდა. ნამდვილს ამბავს მოგახსენებენ, რომ უ. ჩუენი სტუდენტები კიდევ აპირობენ სხუა ქართული წიგნების გამოცემასა. ღმერთმა კეთილად აღასრულებინოს ეს სურვილი.

ეს ხომ კარგი ამბავი იყო. ახლა სხუა უნდა მოგახსენოთ: ერთი ყმაწვილი კაცი გაგზავნა სასწავლებლად პეტერბურღის უნივერსიტეტში. პირველი აზრი ამ საგანზედ ეკუთვნით, როგორც შევიტყვეთ, ორს ყმაწვილს კაცსა, რომელთაც საქელის გამოცხადება კარგი ექნებოდა, მაგრამ ნება არა გვაქუს. ერთს იმათში ეთქუა მეორისათვის: ამა და ამ ჩემმა მეცნობებმა ერთი ყმაწვილი ქართველი მიქესო და იმისი სრული თხზულება წამიკითხესო; სწორეთ გითხრა ძალიან მომეწონა და იფიქრე ჩემი გაკვირვება, როცა მითხრეს რომ მაგ მშუენიერის თხზულების ავტორი (დამწერი,

შემისუზუწლი) სასწავლებელში არსად ყოფილა და ამ მცირე ჟამში ვილასაც უხუწნებია რუსული ანბანი; იქიდამ უმოძღვრელად თჳთან შეჭყოლია ჰსწავლისა და ისე განუვითარებია თავისი თავი რუსულს ენაში და გაუხსნია თავისი ცოდნება, როგორც დიდ კარგს და დიდისხის მოწაფესაო. ცოდვა არ არის, რომ ამისთანა ნიჭის რიგიანი ჰსწავლა არ მიეცესო. რა გვარიაო ჰკითხა თურმე მეორემ, ესა და ეს გვარიაო.—ვიცი, მაგისი ქება მეც მრავალი გამიგონიაო; მართლა სამწუხარო იქნება, რომ მაგისთანა ცოდნიერმა ყმაწვილმა კაცმა რიგიანი ჰსწავლა ვერ მიიღოსო. და აგ რა მოუხერხოთ: ფულები მოვჰკრიბოთ, კელი შეუწყოთ და სასწავლებლად რუსეთში გავისტუმროთო; ამდენს პაციოსანს ქართველებში თხუთმეტიოდ კაცს როგორ ვერ ვიპოვნით, რომ წელიწადში თორმეტი მანეთის გამოღება არ გაუჭირდეთო; მე თუნდ ახლავე მოგითვლი აის, თორმეტს კაცსა, რომ უეჭველად დიდის სიხარულით გამოიღებენ წელიწადში თორმეტ-თორმეტს მანეთს ამ კეთილი საქმისათჳსაო.—დიახ კარგი იქნებაო, უპასუხა თურმე პირველმა, ესლავ წავალ და იმ ყმაწვლის ამხანაგებს შევატყობინებ, ისინიც უთუოთ შეგვეწევიან ამ საქმეშიაო. ამათ დიდის სიამოვნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიელოთ ეს ანბავი, მაშინვე გაჰკეთებინათ სია-ფულების მოსაკრეფი და რაც ამ საგანს შეეფე-რებოდა: ორიოდ სიტყუა დაეწერათ და თვითანაც თვე და თვე თვით მანეთის მიცემა მოეწერათ მინამ-დისინ ის უმაწვილი სახელმწიფო ხარჯზედ მიი-ღებოდეს; მერე აქა-იქა დაეტარებინათ სია და მე-გროვებინათ თვრამეტ თუმნამდინ; ეყიდნათ სამ-გზავრო ტანისამოსი; აეღოთ პოლიციიდამ მოწ-მობა; ეშოვნათ მგზავრი და უმაწვილი კაცი გა-ესტუმრებინათ. აბა, როგორ არა ეგმართებს მად-ლობა იმათთან, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ კეთილს საქმეებში. ღმერთმა ინებოს, რომ ამ გვარი კეთილი საქმე ხშირად მოხდებოდეს ჩუენს ქუეყანაში, დავრდომილი რომ არის ასეა და მოელის აღდგენსა და აღყვავებას, მხოლოდ ჭეშ-მარიტის ჰსწავლისაგან.—

რასაკვირველია ამ აზრის წინაამდეგნიც გა-მოჩენილან და უთქუამთ: ვინ არის, ვისა ჰგზავ-ნითო და რისთვის ჰგზავნითო; ეგ ჰსწავლულები და მეცნიერები აქაც ბევრნი არიან და არ ვიცი ვის რა ხეირი დააყარესო.—რამდენი ამისთანა სიტყუები გაეგონათ კიდევა ვისაც დაჰქონდათ მოსაწერი სია, აა მაგალითად: ერთს ეთქუა, რა უნდა მოვა-წერო, ეგ უმაღლესის ჰსწავლისათვის მიდის და მე

უმდაბლესიც არ მიმიღიათ. მეორეს მდიდარს სიტყვით ძალიან ეძლო ყმაწვილის გაგზავნა, მაგრამ საქმით ვერ დაემტკიცებინა, რადგანაც ცოლი ახალ კაბას თურმე იკერავდა საბალოთ. მესამეს მანათი მოეწერა, მაგრამ აღარ მიეცა; ჰალსტუხს გავკერავინებ და ფული მჭირდებაო. მეოთხეს ხუთის მანეთის მოეწერა თურმე ეთაკილებოდა, მომატყებული უმძიმდა და ამ კეთილის მიზეზით არა მოეწერა რა. ერთს ჰატივცემულს გვამსაც მკითხა სიის მიმტანისათვის: თქვენ რა საბუთით აგროვებთ მაგ ფულებსაო? არ ვიცოდი რომ კეთილს საქმეს საბუთი მოუნდებოდა, სიის მიმტანს მიეგო. ჰატივცემულს გვამს ეთქვა: მეორე ეს, მაგ ყმაწვილის გვარი ქართველისას არა ჰგავსო და არც მე ვარ ქართველიო, თუმცა...... ვარ ქართველებისაო. რაც ყველა სიტყვს პასუხი მიეცა სიის მტარებელს, მაშინ ეთქვა; მე ვერ მოვაწერ ჴელსა და თქვენც გაფთხილებთო. ერთი ჰატივცემული გვამისათვისაც ეთხოვნათ რომ მოეწერა, მაგრამ უარი ეთქვა. მოაწერეთო თორემ ცისკარში ჩაგწერთო, — ცისკარში არა და ლოცვანშიაც რომ ჩამწეროთ მაინც არ მოვაწერო.

მ. რიყუსელიძე.

(ზოგი იხილეთ შემდეგ წიგნში.)

## წარსულს თვეში «ცისკარს» მოემატნენ შემდგომნი ჴელისმომწერნი:

---

### ქ. ტფილისში.

თ. გრიგოლ დადიანი.
ალექსანდრე რაგოვსკი.
თ. იოსებ ორბელიანი.
ალექსანდრე ბეზიროგანოვი.

### გორის უეზდში.

გიორგი ნანუკოვი.
დავით ზუბალოვი.
იოსებ ოჭანოვი.
ნიკოლაოზ მურადოვი.
დიმიტრი მელჳნეთხუცე-სოვი.
ლეონ მუსხელოვი.
სოლომონ კვალიევი.
თ. რევაზ ერისთავი.
თ. ივანე ციციანოვი.
თ. ზაზა ავალოვი.
მერაბ ლაბუნია.
იოსებ სეგმანოვი.
იაკობ ზაზუმოვი.
სჳმონ ფუზანოვი.
იოსებ ტერსტეფანოვი.
მიხეილ მურადოვი.
იაკობ მამინოვი.
ნიკოლაოზ ამირალოვი.
ალექსანდრე მირიანოვი.
გრიგოლ ალიბეგოვი.
ზაქარია როსტევანოვი.
გიორგი მამუკოვი.
იაკობ ოქროვი.

### ქუთაისში.

თ. ნესტორ წერეთელი.
თ. დავით ერისთავი.

### მეგრელიაში.

თ. პეტრე დადიანი.
თ. ელიზბარ დადიანი.
თ. დიმიტრი წულუკიძე.
თ. ნიკოლაოზ მიქაძე.
თ. მელიტონ დადიანი.
თ. ევგენი დგებუაძე.
გუბ. სეკ. კვინიხიძე.
ანდრონიკე სალაყაია.
თეიმურაზ თოფურია.
ლუარსაბ ჩიჩინაძე.
ალექსი ნანიაშჳლი.
ფესუ სორავა.

სრულებით 41.